

"კათარზისის" უფასო სასადილოს "საქართველოს ტელეკომი" დააფინანსებს

A2



აპირებდნენ თუ არა ტონი ბლერის ვაჟის გატაცებას?

A5



შარაპოვას ფეხებს კონკურენტი გამოუჩნდა

A6

www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | ხუთშაბათი, 19 იანვარი, 2006 წელი. №10 (1162) | ფასი 50 თეთრი

## ამბები

### საზოგადოებრივი მაუწყებლობის სამომავლო პერსპექტივები

საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლობა თავის მაყურებელს გაზაფხულიდან ახალ გადაცემებს სთავაზობს. მარტიდან ეთერში გავა პოლიტიკური თოქშოუ, ასევე მომზადდება დოკუმენტური ფილმების სერია, რომელიც საგანმანათლებლო ხასიათის იქნება. საზოგადოებრივი მაუწყებლობის ბიუჯეტი 2006 წელს 16 მილიონ 500 ათასი ლარით განისაზღვრა.

A2

## ამბები

### "ენგურჰესის რეაბილიტაციის პროექტი" ჩაშლის პირასაა?

გუშინ აფხაზეთის ტერიტორიაზე კრიმინოგენული ვითარების გაუარესების გამო, კომპანია "სიმენსმა" და მისმა კონტრაქტორმა "ფოიტ-სიმენსმა" "ენგურჰესის" რეაბილიტაციაზე დასაქმებული თანამშრომლები საქართველოდან გაიწვიეს.

A2

## სამართალი

### მესამედ დაპატიმრებული კრიმინალური ავტორიტეტი

გუშინ კრიმინალური ავტორიტეტი მურმან ტვილდიანი, ზედმეტსახელად "ხალვა", სპეცრეისით ჩამოიყვანეს.

A5

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

## ამინდი

| | 19/01 | 20 /01 |
|---|---|---|
| თბილისი | 3 | -4 |
| ტყიბული | 5 | 0 |
| სოხუმი | 3 | -2 |
| დმანისი | -3 | -8 |
| გორი | 2 | -4 |
| ონი | -3 | -10 |
| ზუგდიდი | 6 | 1 |
| ახმეტა | 3 | -5 |
| გაგრა | 2 | -2 |
| სამტრედია | 6 | 2 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8075 |
| ევრო | 2.1912 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.1919 |
| რუბლი | 0.0639 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| ამბები | A 3 |
| საზოგადოება | A 4 |
| სამართალი | A 5 |
| სპორტი | A 6 |
| რევიუ | A 7 |
| პროექტი | A 8 |


# სახალხო დამცველი - არც ერთი ნაბიჯი უკან!

გიორგი ასანიშვილი

*საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელთა არანაირი არგუმენტი სახალხო დამცველ სოზარ სუბარზე არ ჭრის. ომბუდსმენი თავის სიმართლეში მტკიცედ არის დარწმუნებული და რელიგიის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის გადასინჯვას კვლავ დაჟინებით ითხოვს. თავის მხრივ, უკანდახევას არც სახელისუფლებო ფრაქციის წევრები აპირებენ. ასე რომ, კანონმდებლებსა და სახალხო დამცველს შორის ერთი თვის წინათ დაწყებული დაპირისპირება საგაზაფხულო სესიაზე კვლავ გაგრძელდება.*

**"ჩემს აზრს ვერავინ შემაცვლევინებს. მიმაჩნია, რომ ის პრივილეგიები და შეღავათები, რომლებსაც საკონსტიტუციო შეთანხმება**

გაგრძელება A3 გვერდზე




*კანონმდებელთა შეტევის წინაშე სახალხო დამცველი მარტო აღმოჩნდა.*

# ზეპირლაპარაკი მართლმადიდებლობის შესახებ

თამარ მაისურაძე

გუშინ საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტი სოზარ სუბარის წინააღმდეგ ერთსულოვნად იყო მიმართული. სახალხო დამცველის თავისუფლებისა და თანასწორობის საკითხთა სამმართველოს ხელმძღვანელმა **ბექა მინდიაშვილმა** საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენელთა პოზიცია მკალავიშვილისა და შარაძის სულისკვეთებას შეადარა. იგი მიიჩნევს, რომ პარლამენტართა უმრავლესობა თავს უფლებას აძლევს, საქმის არსში გარკვევის გარეშე დაიცვას მართლმადიდებელი ეკლესიის პოზიცია. სუბარის პოზიციას მის დაქვემდებარებაში მყოფი სამმართველოს ხელმძღვანელიც იზიარებს და აცხადებს, რომ **"ფსევდონაციონალიზმი და ფსევდორელიგიურობა პოლიტიკური სპექტრისთვის ხალხის თვალში ქულების ჩასაწერადაა მომგებიანი"**. ომბუდსმენის მოთხოვნას, საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა კონფესიების წარმომადგენელთა თანაბარუფლებიანობის შესახებ, საპატრიარქოს პრესსამსახურის წარმომადგენელი **ზურაბ ცხოვრებაძე** პასუხობს: **"საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას იგივე პოზიცია აქვს, რაც დაახლოებით ერთი თვის წინ ჰქონდა, როდესაც სახალხო დამცველმა ამ საკითხის შესახებ პარლამენტში პირველად ისაუბრა. საპატრიარქო გაკვირვებას გამოთქვამს, რადგან ეს საკონსტიტუციო შეთანხმება ნაჩქარევად არ მომზადებულა. მას წინ უძღოდა ხანგრძლივი მსჯელობა და განხილვა, სადაც მონაწილეობას იღებდნენ საზოგადოების წევრები, პოლიტიკური პარტიები, არასამთავრობო ორგანიზაციები და საქართველოში არსებული არამართლმადიდებლური რელიგიის წარმომადგენლები. მაშინ გაკეთდა ერთობლივი განცხადებები კათოლიკების, სომეხი მონოფიზიტების, ბაპტისტური, იუდაისტური თემების მხრიდან, სადაც დაფიქსირდა, რომ ისინი არ იყვნენ ამგვარი საკონსტიტუციო შეთანხმების წინააღმდეგნი.**

გაგრძელება A3 გვერდზე

# 6 მილიონად ღირებული უარი

ოთარ ქირია

*საქართველომ შესაძლოა, 6 მილიონი დოლარი დაკარგოს. სასამართლო დავები, რომლებიც გასული წლის გაზაფხულიდან მიმდინარეობს, ქართულ მხარეს კარგს არაფერს უქადის. ორიოდე დღის წინ ცნობილი გახდა ჟენევის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც ძალაში დატოვა ნიდერლანდური მართლმსაჯულების ვერდიქტი საქართველოს ერთ-ერთი უმსხვილესი კომპანიის ანგარიშის დაყადაღების თაობაზე. რატომ ეთქვა უარი "საქაერონავიგაციას" შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე და რას მოიგებს ქვეყანა, თუ საბოლოო გადაწყვეტილებამ გაურკვეველი წარმოშობის შვეიცარიული კომპანიის მოთხოვნა დააკმაყოფილა?*

გაგრძელება A4 გვერდზე



# ოსური მხარე შეთანხმებას არღვევს

*საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში ცხინვალის ხელისუფლების კუთვნილი საბრძოლო მასალების არსებობას აპროტესტებს. ბეჟუაშვილის განცხადებით, საბრძოლო მასალები განსაკუთრებით შემაშფოთებელია იმ ვითარებაში, როდესაც კონფლიქტის ზონის დემილიტარიზაცია მიმდინარეობს. ეს ფაქტი მხარეებს შორის არსებულ ყველა შეთანხმებას ეწინააღმდეგება.*

ნათია მსხილაძე

ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში შერეული სამშვიდობო ძალების წარმომადგენლებმა დე ფაქტო თავდაცვის სამინისტროს კუთვნილი საზენიტო ტყვიამფრქვევი და მობილური რადიოსადგური ამოიღეს. მომხდართან დაკავშირებით საგარეო უწყებამ სპეციალური საპროტესტო განცხადება გააკეთა.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებით, 13-14 იანვარს ეუთოს მონაწილეობით განხორციელებული სამმხრივი მონიტორინგის შედეგად, ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში, სოფელ დმენისთან, საზენიტო დანადგარის "ზუ 23-2"-ის ამოღების ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს მიღწეული შეთანხმების ოსური მხარის მიერ დარღვევას. **"საქართველოს მხარემ არაერთგზის განაცხადა, რომ კონფლიქტის ზონის მიმდებარე ჯავის რაიონში წარმოებს უკანონო შეიარაღებისა და ბანდფორმირებების კონცენტრაცია, ხოლო მომხდარი ფაქტი ცხადყოფს, თუ რამდენად სწრაფად და ადვილად არის შესაძლებელი მათი კონფლიქტის ზონაში, ანუ სამშვიდობოების მიერ "კონტროლირებად" ტერიტორიაზე გადმოსროლა,"** - ნათქვამია განცხადებაში.

საგარეო უწყებაში მიაჩნიათ, რომ რუსეთის მხარე როკის გვირაბის გავლით რეგიონში უკანონო შეიარაღებისა და საბრძოლო ტექნიკის კონცენტრაციას სერიოზულად არ აღიქვამს. არაერთი პროტესტის მიუხედავად, რუსეთის ფედერაციიდან, როკის გვირაბის გავლით, რეგიონში უკანონო შეიარაღებისა და საბრძოლო ტექნიკის კონცენტრაცია გრძელდება.

გაგრძელება A2 გვერდზე

# ამოცანა, სახელად "მწერალთა კავშირი"

### იერარქიული ხელოვნების ბრძოლა გადარჩენისთვის

სოფო კილასონია

ყველას გვეგონა, რომ თემა, რომელზეც ახლა ვისაუბრებთ, მოძველებულია, მაგრამ ის თავს მაინც არ გვანებებს. თემა, სახელად "მწერალთა კავშირი", უკვე რამდენიმე წელია სხვადასხვა ვარიაციით იქცევს ყურადღებას, თუმცა ისიც ფაქტია, რომ დროთა განმავლობაში მის გარშემო წამოწყებულ საუბრებს უფრო და უფრო მეტი ინერტულობით და უფრო და უფრო მეტად უინტერესო სახეებით ვუსმენთ. მიუხედავად ამისა, გარკვეული პროცესები მასთან მიმართებაში თუ მის ფარგლებში მაინც მიმდინარეობს. რამდენად არიან ისინი ლიტერატურასა და ხელოვნებასთან კავშირში, ძნელი სათქმელია. ყოველ შემთხვევაში, იმ საზოგადოებისთვის, ვინც უბრალოდ თანამედროვე ლიტერატურით არის დაინტერესებული, ვინც ხელოვანთაგან ხელოვნებას ელის, დიდი ხანია ბურუსითაა მოცული ამ ორგანიზმის არსებობის მიზნებიცა და მიზეზებიც. მაჩაბლის 13-ში, ერთ დროს დავით სარაჯიშვილის კუთვნილ შენობაში, რომელიც მეცენატმა ზოგადად ხელოვანებს დაუტოვა და ხელოვნებას უსახსოვრა, აგერ უკვე მრავალი წელია უბრალოდ ხელოვანები და ზოგადად ხელოვნებისა და ლიტერატურის თაყვანისმცემლები არ შეკრებილან.

ალბათ ყველაზე უპრიანი იქნებოდა, მწერალთა კავშირის წარსულისა და მართლაც საინტერესო ამბების თხრობით დაგვეწყო, ისტორიებით, რომლებიც ყველაზე ხშირად იუმორს ნამდვილად არ არის მოკლებული, ისტორიებით, რომლებიც ქართული ლიტერატურის დიდ პერსონებთან არის დაკავშირებული, რომლებიც მიდიოდნენ ამ კავშირში და მოდიოდნენ იქიდან. ეთანხმებოდნენ და აპროტესტებდნენ მის ხედვას, პოლიტიკას და, რაც მთავარია, ატმოსფეროს.

გაგრძელება A7 გვერდზე

# ირანი, სამეცნიერო პროგრესი და მსოფლიოს "ღამის კოშმარი"

ხათუნა გაბიევი

ევროპულმა სახელმწიფოებმა უკვე დაიწყეს ირანის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით დადგენილებაზე მუშაობა, რომელიც უახლოეს მომავალში გაერო-ს უშიშროების საბჭოს გადაეგზავნება. თუმცა, ირანის პრეზიდენტი არც ევროპული სახელმწიფოების გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანამ დააფრთხო.

**"ეს მხოლოდ პოლიტიკურად მოტივირებული ნაბიჯია, რაც ერთი შეხედვითაც ჩანს. ჯობს, ისინი მიწაზე დაეშვნენ და ცოტაოდენი ლოგიკა მაინც გამოიყენონ მოქმედებისას,"** - განაცხადა რადიკალმა პრეზიდენტმა.

დასავლეთის პროტესტის მიუხედავად, ოფიციალური თეირანი მაინც შეუდგა ურანის გამდიდრების პროგრამაზე მუშაობას და როგორც ირანის სულიერმა ლიდერმა აიათოლა ალი ხამენეიმ აღნიშნა, მათ მხოლოდ სამშვიდობო მიზნები ამოძრავებთ და ელექტროენერგიის გამომუშავება სურთ. მისი თქმით, მასობრივი განადგურების იარაღის წარმოება თავად ისლამურ სწავლებასა და ირანის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტერესებს ეწინააღმდეგება და დასავლეთი არ უნდა უშლიდეს ხელს ირანს სამეცნიერო პროგრესში.

**"ირანის ისლამური რესპუბლიკა განაგრძობს სამეცნიერო პროგრესის გზით სიარულს და მსოფლიოში ხელს ვერავინ შეუშლის ირანელი ხალხის ნების განხორციელებას. თანაც ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტომ ხომ გვაღიარა ატომური კლუბის წევრად,"** - თქვა ხამენეიმ ტაჯიკეთის პრეზიდენტთან ემომალი რახმონოვთან შეხვედრისას, რომელიც ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა თეირანში.

გაგრძელება A3 გვერდზე

## ოსური მხარე შეთანხმებას არღვევს

პირველი გვერდიდან

**"სამწუხაროდ, რუსეთის მხარე ჯეროვანი სერიოზულობით არ აღიქვამს მოსაზღვრე უკონტროლო ტერიტორიიდან რეგიონული უსაფრთხოებისათვის მომდინარე მუქარას. სწორედ ამ გარემოებით შეიძლება აიხსნას კონკრეტულ ვადებში კონფლიქტის ზონის სრული დემილიტარიზაციის თაობაზე საქართველოს მხარის ინიციატივის ფაქტობრივი იგნორირება რუსულ და ოსურ მხარეთა მიერ,"** - აცხადებენ სამინისტროში.

საგარეო საქმეთა სამინისტრო შეშფოთებულია ცხინვალის თავდაცვის მინისტრის ანატოლი ბარანკევიჩის განცხადებით, იმის შესახებ, რომ ოსურ მხარეს აქვს ბრძანება ყველა იმ საფრენი აპარატის ჩამოგდების თაობაზე, რომლებიც არასანქცირებულად გადაკვეთენ ე.წ. საზღვარს.

საქართველოს საგარეო უწყების განცხადებით, აღნიშნული კომენტარით ბარანკევიჩი არათუ უარყოფს, რომ საზენიტო დანადგარი ოსური მხარის კუთვნილებაა, არამედ ღიად იმუქრება ტერაქტებით საფრენი აპარატების წინააღმდეგ.

სამინისტრო მიმართავს რუსეთის ფედერაციას და საერთაშორისო თანამეგობრობას, სათანადოდ შეაფასონ სეპარატისტული რეჟიმისა და მის მხარდამჭერთა დესტრუქციული ქმედებები, რათა რეგიონში დაძაბულობის ესკალაცია არ დაუშვან.

## აფხაზებმა კონტროლი გაამკაცრეს

"ქათმის გრიპის" გავრცელების საშიშროების გამო აფხაზურმა ხელისუფლებამ მდინარე ენგურის საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე უსაფრთხოების ზომები გაამკაცრა. საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე გამკაცრებულია მოქალაქეთა ბარგის შემოწმება. ვეტერინარული სამსახურის წარმომადგენლებმა აღკვეთეს ადგილობრივი მაცხოვრებლების მიერ ზუგდიდის რაიონიდან გალში ცოცხალი ფრინველის შეყვანის ფაქტები. გალის აფხაზურმა ადმინისტრაციამ მოსახლეობა გააფრთხილა, რომ ზუგდიდიდან გალში ქათმისა და ქათმის პროდუქტების გადატანა იკრძალება. აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ვეტერინარული სამსახურის თანამშრომლებს გალის რაიონში ქათმის გრიპის გავრცელების ფაქტი ჯერჯერობით არ დაუფიქსირებიათ. **ინტერპრესნიუსი**

Kuzanov Clinic კუზანოვის კლინიკა

1. რინოპლასტიკა
2. მკერდის კორექცია
3. მკერდის აღდგენითი ოპერაციები მასტექტომიის შემდეგ
4. მუცლის პლასტიკა
5. სახის ცირკულარული დაჭიმვა
6. ლიპოსაქცია
7. კელოიდური ნაწიბურების მოცილება
8. დამწვრობისშემდგომი კონტრაქტურების პლასტიკა
9. შეძენილი და თანდაყოლილი დეფექტების კორექცია
10. პერიფერიული ნერვების მიკროქირურგიული აღდგენა
11. ვარიკოზული ვენების ამოკვეთა
12. ადენოიდებისა და პოლიპების ენდოსკოპიური ამოკვეთა
13. მხედველობის ქირურგიული კორექცია
14. ოპერაციები მენისკებზე

**თქვენი არჩევანი - ჩვენი პროფესიონალიზმია**
**გამსახურდიას გამზ. N5**
**ტელ: 424-005, 8(99) 703-703**
**www.kuzanov.com**

**გამაჯანსაღებელი ცენტრი**

**ნაუტილუსი**



**გთავაზობთ:**

- ■ აღმოსავლური მედიცინის ცენტრი
- ■ სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- ■ მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- ■ წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა
- ■ "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ■ ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ■ ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
- ■ უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

**მისამართი:** ი.ჭავჭავაძის 78
**ტელ:** 22 56 26
23 56 26
E-mail: info@nautilus.ge
reception@nautilus.ge







**სიახლე გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსში"**

გაიხსნა აღმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხთუაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:

ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.

გნებავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:

ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.

მობრძანდით აღმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

**მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78**
**ტელ.: 899 55 28 87; 22-56-26; 23-56-26**
**ელ. ფოსტა: info@nautilus.ge**

# საზოგადოებრივი მაუწყებლობის სამომავლო პერსპექტივები

*საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლობა თავის მაყურებელს გაზაფხულიდან ახალ გადაცემებს სთავაზობს. მარტიდან ეთერში გავა პოლიტიკური თოქშოუ, ასევე მომზადდება დოკუმენტური ფილმების სერია, რომელიც საგანმანათლებლო ხასიათის იქნება. საზოგადოებრივი მაუწყებლობის ბიუჯეტი 2006 წელს 16 მილიონ 500 ათასი ლარით განისაზღვრა.*

თამარ დვალი

მას შემდეგ, რაც საზოგადოებრივი მაუწყებლობის სამეურვეო საბჭომ, "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, საზოგადოებრივი მაუწყებლობის 2006 წლის ბიუჯეტი დაამტკიცა, ტელევიზიის ხელმძღვანელმა თამარ კინწურაშვილმა საზოგადოებას თავიანთი მომავალი გეგმების შესახებ აუწყა. **"აქამდე სირთულეს წარმოადგენდა წინა მენეჯმენტის მიერ დამტკიცებული ბიუჯეტი, რადგან ის ცვლილებების განხორციელების საშუალებას არ იძლეოდა. სამწუხაროდ, ახალი ბიუჯეტი ხუთმილიონიანი დეფიციტით დამტკიცდა, რომლითაც ჩვენ ახალი გადაცემების შექმნას ვგეგმავდით. არსებული ბიუჯეტით ორი სატელევიზიო არხისა და სამი რადიოარხის მუშაობა უნდა უზრუნველვყოთ,"** - განაცხადა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე საზოგადოებრივი მაუწყებლობის ხელმძღვანელმა თამარ კინწურაშვილმა. მისივე თქმით, პირველ რიგში, საინფორმაციო სამსახურის რეფორმირება მოხდება. რამდენიმე ხნის წინ მათ წამყვანების კონკურსი ჩაატარეს, ამჟამად კი ჟურნალისტების შესარჩევი კონკურსი მიმდინარეობს. ჟურნალისტებთან, რომლებიც გამოცდებს წარმატებით ჩააბარებენ, ერთწლიანი კონტრაქტები გაფორმდება. კონკურსს გაივლიან ტელევიზიის სხვა თანამშრომლებიც.

ყველაზე მთავარი პრობლემა, რომელიც საზოგადოებრივი ტელევიზიის განვითარებას აფერხებს, კინწურაშვილის თქმით, არის ტექნიკური ბაზა. **"არ მინდა დავკონკრეტდე და იმ დარღვევებზე ვისაუბრო, რომელიც ჩვენს მოსვლამდე არსებობდა, თუმცა ფაქტია, რომ ტექნიკური თვალსაზრისით ტელევიზია უმძიმეს მდგომარეობაშია. ამ საკითხთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება და, ალბათ, ის დაადგენს ყველაფერს. აპარატურის შესაძენად ჩვენ უნდა ჩავატაროთ ტენდერი. მინდა, არასამთავრობო ორგანიზაციებს მოვუწოდო, რომ ჩაერთონ ამ პროცესში და გააკონტროლონ, თუ რამდენად ობიექტურად ჩატარდება ტენდერები,"** - განაცხადა კინწურაშვილმა. მისივე განმარტებით, 2006 წლის ბიუჯეტი ორი მიმართულებით დაიხარჯება: მომზადდება ახალი გადაცემები და მოხდება ტექნიკური გადაიარაღება. ამჟამად ტელევიზიაში შემუშავებულია სამწლიანი გეგმა, რომელიც ტექნიკის ეტაპობრივად შეძენას ისახავს მიზნად.

საზოგადოებრივი ტელევიზია პრიორიტეტად საგანმანათლებლო ხასიათის პროგრამებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ხასიათის გადაცემების მომზადებას მიიჩნევს.

სიახლეებთან ერთად, საზოგადოებრივი არხის ხელმძღვანელს გუშინ იმ ბრალდებაზეც მოუწია პასუხის გაცემა, რომელიც საშობაო წირვის ეთერში შეფერხებით გასვლას უკავშირდებოდა. აღნიშნული ბრალდება კინწურაშვილის მიმართ ხელისუფლების წარმომადგენლებმა მედიის საშუალებებით გამოთქვეს. მათი განმარტებით, საზოგადოებრივი ტელევიზიის ხელმძღვანელმა წირვის ტრანსლაცია განზრახ შეაფერხა. **"ჩვენი არხით გავიდა საშობაო წირვა, თუმცა, მას წინ უძღოდა ტექნიკური შეფერხებები. არ მესმის, რაში დასჭირდათ მაღალი თანამდებობის პირებს იმის დემონსტრირება, რომ ისინი საზოგადოებრივი მაუწყებლობის საქმიანობაში ერევიან, მით უმეტეს მაშინ, როდესაც ასეთ ფაქტს ადგილი არ ჰქონია. ამით თავმოწონება ხელისუფლების მხრიდან ცოტა უცნაურია,"** - აღნიშნა თამარ კინწურაშვილმა.

# "კათარზისის" უფასო სასადილოს "საქართველოს ტელეკომი" დააფინანსებს

*სათნოების სახლ "კათარზისის" უფასო სასადილოს 2006 წლიდან საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კომპანია "საქართველოს ტელეკომი" დააფინანსებს. ყოველდღიურად "კათარზისში" სრულყოფილი რაციონის ცხელი სადილი 355 ხანდაზმულისთვის მომზადდება. კომპანია ამ პროექტით საქველმოქმედო საქმიანობის ახალ ეტაპს იწყებს.*



*"საქართველოს ტელეკომის" საქველმოქმედო აქცია კათარზისში.*

ახალი საქველმოქმედო პროექტის დაწყება სადღესასწაულო ტორტის გაჭრით აღინიშნა. საზეიმო ღონისძიებას "საქართველოს ტელეკომისა" და "კათარზისის" ხელმძღვანელობა დაესწრო. პროექტი ჯერჯერობით სამ თვეზეა გათვლილი. თუმცა, როგორც ოთარ ზუმბურიძე აცხადებს, კოდის - "8-10" მომხმარების ზრდის შემთხვევაში, პროპორციულად გაიზრდება საქველმოქმედო გადარიცხვებიც, რაც არა მარტო მენიუს გაუმჯობესებას, არამედ სასადილოში მიმსვლელთა რიცხვის გაზრდასა და პროექტის ერთ წლამდე გაგრძელებასაც გულისხმობს.

"კათარზისის" პრეზიდენტი ზაურ ალადაშვილი აცხადებს, რომ "საქართველოს ტელეკომის" დახმარებით მენიუ უკვე გაუმჯობესებულია. "კათარზისში" ამჟამად 355 ხანდაზმულია გაწევრიანებული. ერთი სადილი ერთ პიროვნებაზე საქართველოს ტელეკომს 75 თეთრი დაუჯდება, რაც თვეში 7 000 ლარს შეადგენს. აქციის დაწყების ინიციატივა "საქართველოს ტელეკომს" ეკუთვნის. ასეთი შინაარსის ფართომასშტაბიანი საქველმოქმედო პროექტი "საქართველოს ტელეკომისათვის" პირველია და არა უკანასკნელი.

*24 საათი*

# "ენგურჰესის რეაბილიტაციის პროექტი" ჩაშლის პირასაა?

*გუშინ, აფხაზეთის ტერიტორიაზე კრიმინოგენული ვითარების გაუარესების გამო, კომპანია "სიმენსმა" და მისმა კონტრაქტორმა "ფოიტ-სიმენსმა" "ენგურჰესის" რეაბილიტაციაზე დასაქმებული თანამშრომლები საქართველოდან გაიწვიეს. ამის შესახებ "ენგურჰესის რეაბილიტაციის პროექტის" აღმასრულებელმა დირექტორმა მალხაზ ცქვიტიშვილმა საინფორმაციო სააგენტო "ინტერპრესნიუსს" განუცხადა. თუმცა გუშინვე, საღამოს გავრცელდა ინფორმაცია, რომ ქართული მხარე მზად არის, "ფოიტ-სიმენსის" მოთხოვნები შეასრულოს და მას უსაფრთხოების გაძლიერებული ზომები შესთავაზა.*

**"ეს კომპანიები საკუთარი თანამშრომლების უსაფრთხოებაზე ზრუნავენ. თუმცა, სრულიად გაუმართლებლად, "ენგურჰესის" მიმდებარე ტერიტორიაზე 13 იანვარს მომხდარ მკვლელობას პოლიტიკური შეფასება მისცეს,"** - აცხადებს "ენგურჰესის რეაბილიტაციის პროექტის" აღმასრულებელი დირექტორი მალხაზ ცქვიტიშვილი. მისივე თქმით, "ენგურჰესის" მესამე აგრეგატის რეაბილიტაციის დასრულებისთვის 15 დღე იყო საჭირო, თუმცა უცხოელი სპეციალისტების საქართველოდან წასვლამ აგრეგატის ჩართვა შესაძლოა გაურკვეველი ვადით გადადოს. გუშინვე გავრცელდა ინფორმაცია, რომ "ენგურჰესის" გენერალური დირექტორის ლევან მებონიას განცხადებით, ქართული მხარე მზად არის, "ფოიტ-სიმენსის" მოთხოვნები შეასრულოს, რაც უსაფრთხოების გაძლიერებული ზომების გარანტიებს გულისხმობს. ამის შესახებ ლევან მებონიამ საინფორმაციო სააგენტო "ჯი-ეიჩ-ენ"-თან საუბარში განაცხადა. **"მზად ვართ, მათი ყველა მოთხოვნა შევასრულოთ. ამის შესახებ მათ წერილობით ვაცნობეთ და პასუხს უახლოეს დღეებში ველით,"** - განაცხადა მებონიამ.

იმისათვის, რომ კომპანიამ "ენგურჰესზე" სამუშაოების შესრულება განაგრძოს, საცხოვრებელი ბინების გაძლიერებულ დაცვას, სამუშაო ადგილის შემოღობვას, დაჯავშნული მანქანებით მომსახურებასა და შეიარაღებულ ესკორტს ითხოვენ. შეგახსენებთ, რომ ეს მოთხოვნა "ფოიტ სიმენსის" წარმომადგენლებს "ენგურჰესის" თანამშრომლის ამირან უროტაძის მკვლელობის შემდეგ გაუჩნდათ. ლევან მებონიას თქმით, "ენგურჰესის რეაბილიტაციის პროექტს" ჩაშლა არ ელის, რადგან, კონტრაქტის თანახმად, "ფოიტ სიმენსმა" სამუშაოები ბოლომდე უნდა დაასრულოს.

**"ეს ფაქტი, უბრალოდ, პროცესის დროში გაწელვას გამოიწვევს. "ფოიტ სიმენსის" სპეციალისტები მე-3-ე აგრეგატის სამონტაჟო სამუშაოებს ახორციელებდნენ, რაც თითქმის დასრულებულია. უკვე აგრეგატის გამშვები სამუშაოები უნდა დაგვეწყო,"** - განაცხადა მან. მებონიას განმარტებით, უკვე მიმდინარეობს "ენგურჰესის" მე-2-ე აგრეგატის დემონტაჟიც, რომლის რეაბილიტაციაც ასევე "ფოიტ სიმენსმა" უნდა განახორციელოს. აღსანიშნავია, რომ "ფოიტ სიმენსის" მიერ რეაბილიტირებული, "ენგურჰესის" მესამე აგრეგატის გახსნა გასულ წელს რამდენჯერმე გადაიდო.

შეგახსენებთ, რომ კომპანია "ფოიტ-სიმენსი" აფხაზეთის ომის დროს გაძარცულ, "ენგურჰესის" მესამე აგრეგატს არემონტებს. აგრეგატისთვის საჭირო მოწყობილობები კომპანიამ გერმანიაში ჩამოასხა. აღდგენილი მესამე აგრეგატის რეაბილიტაციის შემდეგ საქართველოს ენერგოსისტემას დაახლოებით 260 მეგავატი სიმძლავრე დაემატება. სარეაბილიტაციო სამუშაოები კი სულ სამ აგრეგატზე უნდა ჩატარდეს. ენგურის ჰიდროელექტროსადგურის რეაბილიტაციისთვის ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა 38,7 მილიონი დოლარი 1999 წელს გამოყო, 10 მილიონ ევროს კი, გრანტის სახით, ევროკომისია გაიღებს. ქართულმა მხარემ თანადაფინანსებისთვის 14 მილიონი დოლარი უნდა გამოყოს. საქართველოს პარლამენტმა საკრედიტო ხელშეკრულების რატიფიკაცია 2002 წლის მაისში მოახდინა.

*24 საათი*

# კონფლიქტის ზონაში "ფრინველის გრიპთან" ბრძოლის შტაბი გაიხსნა

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით, ცხინვალის რეგიონის სოფელ თამარაშენში (გამგეობის შენობა), "ფრინველის გრიპთან" ბრძოლის შტაბი გაიხსნა, რომელსაც დახმარების სახით გადაეცა სადეზინფექციო ხსნარები, სპეციალური ტექნიკა და სპეცტანსაცმლის სრული ნაკრები. "ფრინველის გრიპთან" ბრძოლის შტაბები უკვე გახსნილია თბილისში, აჭარის ა/რ-ში, ქუთაისში, ახალციხეში, გურჯაანში, ფოთში, გორში. ცხინვალის რეგიონში "ფრინველის გრიპთან" ბრძოლის შტაბის გახსნის შემდეგ რეგიონში "ფრინველის გრიპთან" დაკავშირებით ყველანაირი ინფორმაციის ოპერატიულად მიღება შესაძლებელი გახდება. მიმდინარეობს მოლაპარაკებები ცხინვალის მხარესთან სადეზინფექციო პუნქტის გახსნის თაობაზე, რათა რუსეთიდან შემოსულ ყველა სახის ავტოტრანსპორტს დეზინფექცია ჩაუტარდეს. საქართველოს მთავრობასა და ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლებას შორის მოლაპარაკებების შედეგად გადაწყდა, რომ უახლოეს დღეებში ქართული მხარე, დახმარების სახით, დეზოხსნარებსა და სადეზინფექციო აღჭურვილობას გადასცემს.

*24 საათი*

# უცნობი თავისუფლება

**გადაცემის სტუმარია პარლამენტის წევრი ფიქრია ჩიხრაძე**

**ალექსანდრე ელისაშვილი:** როდის იწყება საგაზაფხულო სესია? ხალხს, ალბათ, მოენატრა პარლამენტის სხდომა. რა სჯობს პარლამენტის სხდომის ცქერას... მეორე არხზე ასე ბუნდოვნად რომ ჩანს ხოლმე...

**ფიქრია ჩიხრაძე:** ბევრგან გაქრა, სხვათა შორის, მეორე არხი.

**ა. ე.** ქრება, ქრება... საპონივით დნება მეორე არხი...

**ფ. ჩ.** შეიძლება, სხდომების ტრანსლაციაც ერთ მშვენიერ დღეს ეთერიდან გაქრეს. მიუხედავად იმისა, რომ ხშირად ძალიან მოსაბეზრებელი და მოსაწყენი შეიძლება იყოს, ამის გაქრობა მაინც არ უნდა იყოს მიზანშეწონილი. ასე თუ ისე, რაც არ უნდა ცუდი მოვლენები ხდებოდეს პარლამენტში, საზოგადოებამ უნდა იცოდეს, როგორ იქცევიან მის მიერ არჩეული ადამიანები და როგორ ასრულებენ თავიანთ ფუნქციას. რაც შეეხება, საგაზაფხულო სესიის დაწყებას, რეგლამენტის თანახმად, ის თებერვლის პირველ სამშაბათს იწყება.

**ა. ე.** "დემოკრატიული ფრონტის" გეგმები მეტ-ნაკლებად შევიტყვეთ. მომზადებული აქვთ ლუსტრაციის კანონი და კიდევ რამდენიმე ინიციატივა. "ახალი მემარჯვენეები" რაიმე ინიციატივით თუ წარდგებიან ამ საგაზაფხულო სესიაზე?

**ფ. ჩ.** "დემოკრატიული ფრონტი" ახალშექმნილი ფრაქციაა და მათ პირველად უწევთ კანონპროექტების წარდგენა. მათი ჩამონათვალი, შეიძლება ითქვას, უფრო თვალშისაცემია. ჩვენი ფრაქციის ბევრი ინიციატივა უკვე მომზადებულია, ასე ვთქვათ, უკვე დევს დღის წესრიგში. ნაწილის პროცედურები დაწყებულია, ნაწილის - დასაწყებია. და, რა თქმა უნდა, მიმდინარე საკითხებთან დაკავშირებით ბევრი ინიციატივა გვექნება. მაგალითად, საარჩევნო კანონმდებლობასთან დაკავშირებით ციებ-ცხელება იწყება. უკვე ამის პირველი ნიშნები გამოჩნდა., ყველა არჩევნების დაახლოებით ერთი წლით ან რამდენიმე თვით ადრე იწყება ხოლმე "ფაცი-ფუცი" სიებთან დაკავშირებით. საუბედუროდ, სიები ისევ და ისევ პრობლემად რჩება. ამ ხელისუფლების დროსაც ასე იყო, წინა ხელისუფლების დროსაც. და ეს გრძელდება. გუშინ მე ვნახე ამ "ფაცი-ფუცის" დასაწყისი. გვეუბნებიან: ჩვენ დავდგამთ საარჩევნო უბნებში მონიტორებს, უზარმაზარ ტელევიზორებს, სადაც ყველაფერი იქნება ნაჩვენები. მაგრამ არაფერს ამბობენ იმაზე, რომ სიის შედგენას ელემენტარული პოლიტიკური ნება სჭირდება. 2002 წელს ჩვენი რესურსებით ალტერნატიული სიების დადება მოვახერხეთ. ეს არის ძალიან შრომატევადი, მაგრამ, არა შეუძლებელი სამუშაო პოლიტიკური ძალისათვის სახელმწიფოსათვის, თუკი ამგვარი პოლიტიკური ნება იარსებებს. ასე რომ, თუ გვინდა, არჩევნები ნორმალურად ჩატარდეს, ერთადერთი ამოსავალი პირობა ნორმალური საარჩევნო სიების შედგენა უნდა იყოს. დანარჩენი ყველაფერი მერე - კონვერტი გაიხსნება, კონვერტი დაიხურება, ბეჭედი როდის უნდა დაერტყას... ეს არის თანამდევი შემდგომი პროცედურები. ამასთან დაკავშირებით, ჩვენი ინიციატივები არსებობს, წარდგენილია კარგა ხანია, და იმედი მაქვს, ეს პროცედურები, ბოლოს და ბოლოს, დაიწყება იურიდიულ კომიტეტში. ალბათ, წელს ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები საარჩევნო საკითხები იქნება. თქვენ იცით, რომ ერთხელ ჩაგვივარდა თბილისის მერისა და გამგებლების პირდაპირი არჩევითობის შესახებ კანონპროექტი. გასული წლის მაისში. გარკვეული პერიოდი ჩვენ იგივე შინაარსის კანონპროექტით შესვლის უფლება არ გვქონდა. ეს არ არის თემა, რომელსაც შეიძლება წაუყრუო პოლიტიკაში მყოფმა ადამიანმა. ეს არის სერიოზული საზოგადოებრივი დაკვეთა. საერთაშორისო საზოგადოების რეკომენდაციებს და ადგილობრივ ექსპერტთა რეკომენდაციებს რომ თავი დავანებოთ, ალბათ, 90 პროცენტზე ნაკლები არ გეტყვის საქართველოში, რომ მერი და გამგებელი პირდაპირი წესით უნდა იყოს არჩეული. ამ ინიციატივის განმეორებას ჩვენ აუცილებლად ვგეგმავთ საგაზაფხულო სესიაზე.

### მოკლედ

**ზურაბ ნოღაიდელი რუს სამშვიდობოებს უმოქმედობაში ადანაშაულებს**

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში დისლოცირებულ შერეულ სამშვიდობო ძალებს უმოქმედობაში ადანაშაულებს. როგორც გუშინ ჟურნალისტებს ზურაბ ნოღაიდელმა განუცხადა, ცხინვალის რეგიონის სოფელ დმენისში ოსური მხარის კუთვნილი საბრძოლო მასალების აღმოჩენა კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ იქ უკანონო შეიარაღებაა თავმოყრილი, სამშვიდობოები კი მანდატის შესაბამისად არ მოქმედებენ. რაც შეეხება რუსეთის სამშვიდობო ძალების საქართველოში ყოფნის მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტში 10 თებერვალს დაგეგმილ განხილვას, ამ საკითზე კომენტარისაგან ნოღაიდელმა თავი შეიკავა და აღნიშნა, რომ "არ სურს მოვლენებს წინ გაუსწროს". ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში ეუთოს დამკვირვებლებმა და შერეული სამშვიდობო ძალების წარმომადგენლებმა, დე ფაქტო თავდაცვის სამინისტროს კუთვნილი საზენიტო ტყვიამფრქვევი და მობილური რადიოსადგური ამოიღეს. **ინტერპრესნიუსი**

**საქართველოს მთავრობა 15 მილიონი დოლარის მობილიზებას გეგმავს**

საქართველოს მთავრობა "ფრინველის გრიპის" ვირუსის წინააღმდეგ საბრძოლველად, დონორი ორგანიზაციების დახმარებით, 15 მილიონი დოლარის მობილიზებას გეგმავს. ამის შესახებ, პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა ჟურნალისტებს გუშინ, მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ განუცხადა. მისი თქმით, აღნიშნული თანხიდან სოფლის მეურნეობის სამინისტროს 3 მილიონი დოლარი, ჯანდაცვის სამინისტროს კი 5 მილიონი დოლარი გადაეცემა, ხოლო 7 მილიონი დოლარი რეზერვისთვის იქნება გათვალისწინებული. გარდა ამისა, ნოღაიდელის თქმით, "ფრინველის გრიპის" წინააღმდეგ მებრძოლი შტაბების რაოდენობა გაიზრდება - მსგავსი შტაბები 65 რეგიონში ჩამოყალიბდება. "ყველა რეგიონში მოხდება შესაბამისი აღჭურვილობისა და ტექნიკის მობილიზება. პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარება დაევალა ასევე გარემოს დაცვის სამინისტროს," - აღნიშნა პრემიერმა. ზურაბ ნოღაიდელის თქმით, ამ ეტაპზე პროფილაქტიკური სამუშაოები შედეგიანია, თუმცა, ხელისუფლება მოსახლეობას კიდევ ერთხელ მოუწოდებს, ნადირობისგან თავი შეიკავოს. პრემიერ-მინისტრმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ დღეისთვის საქართველოს სავაჭრო ქსელში გასაყიდად გატანილი ფრინველის ხორცი ჯანმრთელობისთვის საშიში არ არის. **ინტერპრესნიუსი**

**უახლოეს მომავალში რეაბილიტაცია დაიწყება**

მთავრობის გუშინდელ სხდომაზე პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა განაცხადა, რომ უახლოეს მომავალში განათლებისა და ჯანდაცვის სისტემების ფართომასშტაბიანი რეაბილიტაცია დაიწყება. ეს დავალება მთავრობის წევრებს პრეზიდენტმა მისცა. "სავარაუდოდ, უკვე მთავრობის მომავალ სხდომაზე მივიღებთ შესაბამის გადაწყვეტილებას და დაიწყება პრეზიდენტის დავალების შესრულება. 2006 წლის განმავლობაში 400-მდე სკოლა გარემონტდება და 20-25 სკოლა აშენდება," - განაცხადა ზურაბ ნოღაიდელმა. თბილისის მთავრობის პრემიერის თემურ ქურხულის განცხადებით კი, გამომცემლობა "სამშობლოს" შენობის გაყიდვიდან შემოსული თანხა ლიფტებისა და სახურავების შეკეთებას, წყალგაყვანილობების მოწესრიგებას მოხმარდება. ჯანდაცვის მინისტრის ვლადიმერ ჭიპაშვილის თქმით, 2006 წლის განმავლობაში საკმაოდ ბევრი საავადმყოფოს, კლინიკებისა და სოფლის ამბულატორიების რეაბილიტაცია იგეგმება. "2008 წლის მიწურულისთვის კი, ფაქტობრივად, დასრულდება ჯანდაცვის სისტემის სრული რეაბილიტაცია და რეორგანიზაცია," - განაცხადა ჯანდაცვის მინისტრმა. **მედიანიუსი**

**ოსური მხარე გიორგი ხაინდრავას პასუხობს**

შერეული საკონტროლო კომისიის ოსური მხარის საინფორმაციო განყოფილებამ კონფლიქტის მოგვარების საკითხებში სახელმწიფო მინისტრის გიორგი ხაინდრავას საპასუხო განცხადება გაავრცელა. ხაინდრავას პოზიციას, რომ ცხინვალის რეგიონში სამშვიდობო ძალების ყოფნის აუცილობლობა აღარ არსებობს და ქართულ-ოსური მხარეები შუამავლის გარეშე უფრო ადვილად გამონახავენ საერთო ენას, ოსური მხარე რეალობას მოკლებულად მიიჩნევს. "არ შეიძლება წარუმატებლობაზე ლაპარაკი, როცა 1992 წლიდან 2004 წლამდე სამშვიდობო ოპერაციის დროს არც ერთი მშვიდობისმყოფელი არ დაღუპულა და არ მომხდარა ისეთი დანაშაულები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა 1992 წლამდე და ხელისუფლებაში მიხეილ სააკაშვილის მოსვლის შემდეგაც," - ნათქვამია საინფორმაციო განყოფილების განცხადებაში.

ოსური მხარე ამტკიცებს, რომ კონფლიქტის ზონიდან რუსეთის სამშვიდობო ძალების გაყვანისთვის საქართველოს პარლამენტის დადგენილება არასაკმარის საკანონმდებლო ბაზას ქმნის. "კონფლიქტის არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება, ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება შერეული სამშვიდობო ძალების გაყვანის შესახებ," - მიიჩნევს ოსური მხარე, რომელიც სამშვიდობო ძალების გაყვანის შესახებ ნებისმიერ განცხადებას "ომის პროპაგანდად" ნათლავს. **მედიანიუსი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . დიზაინი: გიორგი ხმალაძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია

# ირანი, სამეცნიერო პროგრესი და მსოფლიოს "ღამის კოშმარი"

პირველი გვერდიდან

ევროპული სამეული - დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და გერმანია კი მოითხოვს, 2-3 თებერვალს შეიკრიბოს ატომური ენერგიის საერთაშორისო საბჭოს 35 წევრი, რათა კენჭი უყარონ დადგენილების პროექტს, რომელიც ირანის დოსიეს, ოფიციალური თეირანის წინააღმდეგ სანქციების დაწესებისა და დიპლომატიური ზეწოლის გაღრმავებისათვის, გაერო-ს უშიშროების საბჭოში გადააგზავნის. როგორც ფრანგული მხარე აღნიშნავს, ირანის მფლობელობაში ბირთვული იარაღის არსებობა მსოფლიოსთვის, შესაძლოა, "ღამის კოშმარად" იქცეს, სწორედ ამიტომ, ნებისმიერ ფასად უნდა იქნეს მიღწეული ოპტიმალური გამოსავალი.

**"ირანის ბირთვულმა იარაღმა, შესაძლოა, ნამდვილი დრამა გამოიწვიოს ახლო აღმოსავლეთში. სწორედ ამიტომ, დიპლომატებმა ყველა ზომა უნდა მიიღონ მის თავიდან ასაცილებლად,"** - აღნიშნა გენერალმა ანრი ბანტეგემ რადიო "ევროპა 1"-სთვის მიცემულ ინტერვიუში.

ევროპული სახელმწიფოები - დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და გერმანია, რომლებიც აშშ-ს მოთხოვნას, გადაეგზავნათ ირანის ბირთვული დოსიე გაერო-ს უშიშროების საბჭოსთვის, 2003 წლიდან მოყოლებული ეწინააღმდეგებოდნენ. თუმცა, გასულ კვირას მათ უკვე აღიარეს, რომ შეუძლებელია ირანის სხვაგვარად შეჩერება, მას შემდეგ, რაც ოფი-



ციალურმა თეირანმა კვლავ დაიწყო ურანის გამდიდრების პროგრამის განახლება.

თუმცა, აქვე ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ ფართომასშტაბიანმა სანქციებმა შესაძლოა, მნიშვნელოვნად იმოქმედოს ნავთობის ფასებზე და განაახლოს ერაყის ომის დროს გაჩენილი საერთაშორისო გაუცხოება.

რაც შეეხება რუსეთსა და ჩინეთს - ქვეყნებს, რომლებიც გაერო-ს უშიშროების საბჭოში ვეტოს უფლებით სარგებლობენ. ისინი გარკვეულწილად იზიარებენ დასავლეთის შეშფოთებას, თუმცა წინააღმდეგნი არიან ირანისათვის სანქციების დაწესებისა, რადგან ეს უარყოფითად აისახება უშუალოდ მათ კომერციულ ინტერესებზე.

# მინისტრთა კაბინეტი მცირდება - "კადიმას" წევრები მრავლდებიან

არიელ შარონის საავადმყოფოში მოთავსებიდან ორი კვირის შემდეგ ისრაელის პოლიტიკური ცხოვრება ძველებურ რიტმს უბრუნდება. ყოფილი პრემიერ-მინისტრის ავადმყოფობის გამო დროებით ჩრდილში მოქცეული სამთავრობო კრიზისი, როგორც ჩანს, ნელ-ნელა გვარდება. შეგახსენებთ, ისრაელის მმართველ პარტია "ლიკუდ"-ში არსებულმა განხეთქილებამ, ბუნებრივია, მთავრობაში კორექტივების შეტანის აუცილებლობა ჯერ კიდევ შარონის ავადმყოფობამდე წარმოშვა.

ისრაელის პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა ეჰუდ ოლმერტმა ოთხშაბათს მინისტრთა კაბინეტის ახალი შემადგენლობა დაასახელა. კაბინეტში მემარჯვენე "ლიკუდის" მინისტრებს ახალი პარტიის - "კადიმა"-ს წევრები ჩაენაცვლნენ. შეგახსენებთ, ეს პარტია გასული წლის მიწურულს "ლიკუდ"-ში განხეთქილების შემდეგ პრემიერ-მინისტრმა არიელ შარონმა დააარსა. დღეისათვის ახალი პარტიის თავმჯდომარის მოვალეობასაც, შარონის ავადმყოფობის გამო, სწორედ ეჰუდ ოლმერტი ასრულებს.

მოქმედი პრემიერის გადაწყვეტილებით, 28 მარტს დანიშნულ საპარლამენტო არჩევნებამდე საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე სილვან შალომს ყოფილი იუსტიციის მინისტრი (პარტია "კადიმა"-ს წევრი) ციპი ლივნი ჩაენაცვლება. ამ ქალბატონსვე დაევალა ინტეგრაციის მინისტრის მოვალეობის შესრულებაც.

ასევე, "კადიმა"-ს წევრი - ზეევ ბოიმი დაინიშნა მშენებლობისა და განსახლების მინისტრის თანამდებობაზე. გარდა ამისა, მან შეითავსა სოფლის მეურნეობის მინისტრის მოვალეობებიც.

მეცნიერებისა და ინფრასტ-



*ეჰუდ ოლმერტმა ახალ კაბინეტში ხუთი თანამდებობა შეითავსა*

რუქტურის მინისტრი გახდა რონი ბარ-ონი. ჯანდაცვის მინისტრი - იაკობ ედრი, მანვე შეითავსა ნეგევისა და გალილეის რეგიონების განვითარების მინისტრის თანამდებობა.

ტურიზმის მინისტრს, აბრაამ ჰირჩსონს, პრემიერის მოვალეობის შემსრულებელმა კავშირგაბმულობის მინისტრის პორტფელიც დაუმატა. ასევე, დაემატა ფუნქციები ტრანსპორტის მინისტრს, მეირ შეთრითსაც - იგი განათლების სფეროსაც უხელმძღვანელებს.

ფუნქციები გაეზარდა შიდა უსაფრთოხების მინისტრს გიდეონ ეზრასაც - დღეიდან იგი გარემოს დაცვაზეც იქნება პასუხისმგებელი.

თავად ოლმერტმა ხუთი თანამდებობა შეითავსა - პრემიერ-მინისტრის მოვალოების გარდა, იგი ასრულებს შინაგან საქმეთა, ფინანსთა, მრეწველობისა და კეთილდღეობის (სოცუზრუნველყოფის) სამინისტროთა ხელმძღვანელის ფუნქციას.

როგორც ეჰუდ ოლმერტი აცხადებს, მთავრობის შემადგენლობაში ცვლილებები მნიშვნელოვან კორექტივებს არ გამოიწვევს ისრაელის პოლიტიკაში - არც საშინაო და არც საგარეო ასპარეზზე.

# არასამთავრობოები ჯორჯ ბუშს უჩივიან

ადამიანის უფლებათადამცველი ორი ამერიკული ორგანიზაცია ილაშქრებს შეერთებული შტატების მთავრობის პროგრამის წინააღმდეგ, რომელიც ქვეყანაში უსაფრთხოების უზრუნველყოფას ისახავდა მიზნად.

ნიუ იორკისა და დეტროიტის სამოქალაქო თავისუფლების დამცველმა ორგანიზაციებმა აშშ-ს პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის წინააღმდეგ სასამართლოში ორი სარჩელი შეიტანეს. შედეგად, ბუშს ამერიკის მოქალაქეთა სატელეფონო საუბრების უკანონო მოსმენასთან დაკავშირებით ახსნა-განმარტების მიცემა სასამართლოში მოუწევს.

როგორც "ბი-ბი-სი" იუწყება, სამოქალაქო უფლებების ამერიკული კავშირი და კონსტიტუციური უფლებების დაცვის ცენტრი, სასამართლოს ნებართვის გარეშე აშშ-ს მოქალაქეთა თვალთვალის შეწყვეტას მოითხოვს. მოსარჩელეები მთავარ ბრალდებულებად პრეზიდენტ ბუშს და ეროვნული უშიშროების სააგენტოს ხელმძღვანელს კეიტ ალექსანდრის ასახელებენ. მოელიან, რომ სარჩელს შეუერთდებიან სხვა არასამთავრობო ორგანიზაციები და დამოუკიდებელი ჟურნალისტები.

შეგახსენებთ, აშშ-ს პრეზიდენტის საიდუმლო ბრძანებულება, რომელიც ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს მოსახლეობის სატელეფონო საუბრების მოსმენისა და ელექტრონული ფოსტის შემოწმების უფლებას აძლევდა, 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ აქტიურად სრულდებოდა. ამ მიზნით ასეულობით აგენტი დასაქმდა. თუმცა, როგორც ახლა გაირკვა, სრულიად უშედეგოდ - დღემდე რაიმე საეჭვო კავშირების აღმოჩენის შესახებ ინფორმაცია არ გავრცელებულა.

გასული წლის 15 დეკემბერს "ნიუ იორკ ტაიმს"-ში გამოქვეყნებული "მამხილებელი" სტატიის შემდეგ უკანონო გადაწყვეტილების შესახებ უკვე მთელი ამერიკა ხმამაღლა ლპარაკობს. ცნობილია, რომ თებერვალში სენატი იწყებს გამოძიებას, რომლის ობიექტიც ჯორჯ ბუში იქნება. სენატის წევრებს აინტერესებთ, რის საფუძველზე ისმინებოდა ამერიკის მოქალაქეთა სატელეფონო საუბრები. თეორიულად, სენატის გამოძიება შეიძლება პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცესის ინიცირებით დასრულდეს.

რესპუბლიკელების მომხრეები აცხადებენ, რომ ამერიკის ადმინისტრაციის წინააღმდეგ გაჩაღებული კამპანია დემოკრატთა მხრივ პოლიტიკურ ბრძოლაში ქულების დაწერის მორიგი მცდელობაა.

*24 საათი*

## ორი სიტყვით

**თურქეთი.** თურქეთში "ფრინველის გრიპით" დაავადებულთა რიცხვი 21 ადამიანამდე გაიზარდა. როგორც თურქეთის მედია იუწყება, ქვეყნის აღმოსავლეთში მდებარე დოგუბეიაზითის რაიონში დაავადებული ბავშვისთვის აღებული სისხლის ანალიზმა H5N1-ვირუსის არსებობა აჩვენა. თუმცა, საბოლოო პასუხი ლონდონში ანალიზების შემოწმების შემდეგ გახდა ცნობილი. თურქეთის პრესის ინფორმაციით, დოგუბეიაზითის რაიონის ქალაქ ვანის საავადმყოფოში კრიტიკულ მდგომარეობაში იმყოფება "ფრინველის გრიპის" ვირუსით ინფიცირებული ერთი ადამიანი. ამჟამად ექიმები მისი სიცოცხლის გადარჩენისთვის იბრძვიან.

დეკემბრის ბოლოს, იანვრის დასაწყისში სწორედ დოგუბეიაზითში დაფიქსირდა "ფრინველის გრიპის" აფეთქება, რის შედეგადაც ოთხი ბავშვი გარდაიცვალა. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, თურქეთში ამ სასიკვდილო დაავადების მსხვერპლნი ბავშვები გახდნენ, რომლებსაც დასნებოვნებულ შინაურ ფრინველებთან პირდაპირი კონტაქტი ჰქონდათ. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**რუსეთი.** მოსკოვში ძლიერი ყინვა ტროლეიბუსების ქსელის ხაზების გაწყვეტის მიზეზი გახდა. ტროლეიბუსების გაჩერებამ კი კერძო ავტოტრანსპორტის მოძრაობა გააძნელა. ამჟამად შემთხვევის ადგილზე ავარიული ბრიგადები მუშაობენ, რომლებიც გაწყვეტილ მავთულებს არემონტებენ. როგორც "ინტერფაქსი" იუწყება, გაჩერებული ტროლეიბუსების ნაცვლად, მგზავრების გადასაყვანად დედაქალაქის ხელისუფლებამ სამარშუტო ხაზებზე დამატებითი ავტობუსები გაუშვა. მოსკოვის ელექტროსადგურები ჯერჯერობით ჩვეულებრივ რეჟიმში მუშაობენ. ამჟამად რუსეთის დედაქალაქში ტემპერატურა ცელსიუსით მინუს 33 გრადუსია. სინოპტიკოსთა პროგნოზით, დღის განმავლობაში ტემპერატურა მოსკოვში მინუს 35, ოლქში კი მინუს 37 გრადუსამდე დაიწევს.

გასული დღე-ღამის განმავლობაში მოსკოვში ძლიერმა ყინვამ ერთი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. დაბალი ტემპერატურის გამო 16 ადამიანი დაშავდა, აქედან 15 ჰოსპიტალიზებულია. **ინტერპრესნიუსი**

საქართველოს ტელეკომი
TELECOM GEORGIA
დაბალი ტარიფები საქალაქთაშორისო და მობილურ საუბრებზე
დარეკეთ ქალაქის ტელეფონიდან მაგთიზე და ჯეოსელზე 25 თეთრად
(ტარიფი ვრცელდება თბილისის მასშტაბით)
საქართველოს რეგიონებში 12 თეთრად
(ტარიფი ვრცელდება საქართველოს მასშტაბით)
დროის წამობრივი აღრიცხვა
აკრეფვის წესი:
მობილურ ტელეფონზე დასარეკად
8-100+ მობილური ოპერატორის კოდი (99,98,95;77,93,55)
+აბონენტის ნომერი
საქართველოს რეგიონებში
8-100+ ქალაქის კოდი+ აბონენტის ნომერი
8-100
ისაუბრეთ მეტი, გადაიხადეთ ნაკლები
რუსთაველის გამზ. 31 ტელ.: 442828 www.telecom.ge

# სახალხო დამცველი - არც ერთი ნაბიჯი უკან!

პირველი გვერდიდან

**მართლმადიდებელ ეკლესიას ანიჭებს, სხვა რელიგიებზეც უნდა გავრცელდეს. არ შეიძლება, ერთი კონფესიის სასულიერო პირი სავალდებულო სამხედრო სამსახურისგან გათავისუფლებული იყოს, სხვა კონფესიის მსახურებს კი არმიაში იძახებდნენ. არ შეიძლება, ერთი ეკლესია საგადასახადო შეღავათებით სარგებლობდეს, სხვები კი - არა. არ შეიძლება, ერთ ეკლესიაში რეგისტრირებულ ქორწინებას სახელმწიფო აღიარებდეს, სხვაგან რეგისტრირებულს - არა. თუ ერთი კონფესიისთვის დაწესებული შეღავათები სხვებზეც არ გავრცელდება, ეს იქნება უთანასწორობა და დისკრიმინაცია ქვეყანაში,"** - ასეთია სახალხო დამცველის პოზიცია, რომელსაც იგი ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომიტეტის გუშინდელ სხდომაზე მტკიცედ იცავდა.

სოზარ სუბარი ასევე მოითხოვს, რომ ის საეკლესიო ნაგებობები, რომლებიც "წითელ რევოლუციამდე" სხვა, არამართლმადიდებელ კონფესიებს ეკუთვნოდა, კანონიერ პატრონებს დაუბრუნდეს.

როდესაც თავისი მოთხოვნების სამართლიანობაზე საუბრობს, სახალხო დამცველი ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის 2005 წლის მოხსენებას, გაერო-ს დასკვნას და ევროსაბჭოს ექსპერტთა შეფასებებს ეყრდნობა.

სოზარ სუბარის პრინციპულობა და სიჯიუტე საკმაოდ აღიზიანებს საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლებს, რომლებიც შეახსენებენ ომბუდსმენს, რომ იგი საკანონმდებლო ორგანოს წინაშე არის ანგარიშვალდებული. სახელისუფლებო ფრაქციის წევრთა თქმით, სახალხო დამცველის ანგარიში ტენდენციურია, მისი დასკვნები კი - არაკომპეტენტური.

**"მართლმადიდებელი ეკლესია საკონსტიტუციო შეთანხმებით მინიჭებული უფლებების რეალიზებას რომ ვერ ახერხებს, ამაზე რატომ არაფერს წერთ თქვენს ანგარიშში? სხვადასხვა სექტები უკანონო მშენებლობას რომ ეწევიან და პროექტებს არც ერთ უწყებასთან არ ათანხმებენ, რატომ ამაზე არ იღებთ ხმას?"** - სახალხო დამცველს ცალმხრივ მიდგომაში ადანაშაულებს რომან კუსიანი.

**"ასე რატომ არ აღშფოთდი, როდესაც სამსარში უნივერსიტეტის სტუდენტები ჯოხით სცემეს, ან რატომ იმაზე არ აცხადებ პროტესტს, რომ მართლმადიდებლები კუმურდოში ფეხის შედგმასაც კი ვერ ბედავენ?"** - სოზარ სუბარს უტევს ხათუნა გოგორიშვილიც, რომლისთვის ისიც აუხსნელი რჩება, სახალხო დამცველის ანგარიშში რატომ არის დეტალურად განხილული რელიგიასთან დაკავშირებული საკითხები, მაშინ, როდესაც თითქმის არაფერია ნათქვამი ქვეყანაში არსებულ ისეთ მტკივნეულ პრობლემებზე, როგორიცაა ნარკომანიასთან ბრძოლა, ბავშვთა უფლებების დაცვა, სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში არსებული მდგომარეობა და სხვა.

გუშინდელი საკომიტეტო მოსმენის დროს სახალხო დამცველმა ელენე თევდორაძისგანაც მიიღო საყვედური.

**"ომბუდსმენის პოსტზე თქვენი კანდიდატურა მე წამოვაყენე და ამიტომ, სხვებთან შედარებით, მეტ პასუხისმგებლობას ვგრძნობ. სახალხო დამცველმა მხოლოდ პირადი მოსაზრებებით არ უნდა იმოქმედოს,"** - შენიშვნას აძლევს ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე თავის პროტეჟეს და იმ ფაქტსაც შეახსენებს, რომ ერთ-ერთი ქართული ეკლესია წალკაში მათ თვალწინ გადაიღება.

უმრავლესობის წევრები სოზარ სუბარის შეუვალობას იმით ხსნიან, რომ მის უკან გარკვეული პოლიტიკოსები და არასამთავრობო ორგანიზაციები დგანან. დასახელდა მათი ვინაობაც - გიგა ბოკერია, ვანო მერაბიშვილი, "თავისუფლების ინსტიტუტი"...

მოხდა ისე, რომ დეპუტატებთან გუშინდელ დაპირისპირებაში სახალხო დამცველი მარტოდმარტო აღმოჩნდა. მისი "მოკავშირეობა" სხდომაზე დამსწრე უმრავლესობის არც ერთმა წევრმა არ ისურვა, რაც კომიტეტის სახელით მომზადებულ დადგენილების პროექტშიც აისახა. მასში, კერძოდ, ნათქვამია, რომ საქართველოს პარლამენტი აღიარებს სახელმწიფოსა და მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმების პრინციპების ხელშეუხებლობას და, შესაბამისად, არ იზიარებს სახალხო დამცველის მიერ წარმოდგენილი ანგარიშის (თავში "მდგომარეობა რელიგიის თავისუფლების კუთხით") დებულებებს.

ცხადია, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ სახალხო დამცველს პარლამენტში მხარდამჭერები არ ჰყავს. გუშინდელ დისკუსიაში მათ მონაწილეობა არ მიუღიათ და, სავარაუდოდ, მაშინ გააქტიურდებიან, როდესაც საგაზაფხულო სესიაზე ომბუდსმენის ანგარიშის დამტკიცების საკითხი დაისმება.

# ზეპირლაპარაკი მართლმადიდებლობის შესახებ

პირველი გვერდიდან

**საპატრიარქოსთან ერთად განცხადება არასამთავრობო ორგანიზაციათა ერთობამაც გააკეთა, მათ შორის იყო "თავისუფლების ინსტიტუტიც", რომლის წარმომადგენელი სოზარ სუბარიც გახლდათ. უნდა აღინიშნოს, რომ არც პოლიტიკურ, არც არასამთავრობო წიაღში, არც სხვადასხვა რელიგიური მიმდინარეობის წევრებისგან კონკორდატის შინაარსი არავის დაუწუნია. პროექტმა ექსპერტიზა სტრასბურგშიც კი გაიარა და იქიდანაც დადებითი დასკვნა მოვიდა. ამდენად, პროექტი ყველა დონეზე იყო განხილული, შესწავლილი და მოწონებული. შეიძლება ითქვას, რომ ქართულ საზოგადოებაში სრული კონსენსუსი სუფევდა. აქედან გამომდინარე, დღეს გაკვირვებას იწვევს სახალხო დამცველის პოზიცია, რომელიც უკვე მეორედ აფიქსირებს აზრს, რომ კონკორდატი გადასახედია,"** - აღნიშნა ზურაბ ცხოვრებაძემ.

პარლამენტის წევრი **ლევან ბერძენიშვილი** აცხადებს, რომ სოზარ სუბარი ორმაგი დარტყმის ქვეშ იმყოფება. **"მავანნი ამბობენ, რომ სოზარი ლიბერალია. ჩვენ ვამბობთ, რომ სოზარი ლიბერალია ხელისუფლების მიმართ. კარგი იქნებოდა, ყველგან თანამიმდევრული იყოს და ლიბერალობა სხვა საკითხებშიც გამოიჩინოს. ნამდვილად ვიცი, რომ სოზარ სუბარს თავად არ აქვს არანაირი საშუალება იმისა, რომ კონკორდატს გადახედოს. ეს თითქოს რალაცისთვის მებრძოლი ადამიანის, უბრალოდ, ლაპარაკია. მართლმადიდებლობაში პრობლემები შეიძლება არის, შეიძლება - არა. ვინაიდან საკითხზე ჯერჯერობით მხოლოდ ზეპირი ლაპარაკი მიმდინარეობს, გადაჭრით რაიმეს თქმა ძნელია. თუმცა ფაქტია, რომ ლიბერალი ომბუდსმენი ვერ ხედავს პოლიციის დანაშაულს, წამების ფაქტებს, მერაბიშვილის, ახალაიას საქმიანობას. სუბარის ამ უვარგისობის გაკეთილშობილება სურს მის იმიჯ-მეიკერს ლევან რამიშვილს. სოზარი მებრალება მათ ხელში, თუმცა იმასაც გეტყვით, ვერასდროს ვიფიქრებდი, რომ სალარიძის ომბუდსმენობა სანატრელი იქნებოდა. სუბარს საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვა არ აინტერესებს და უფლებების ყველაზე დიდ დამრღვევად საპატრიარქო გამოჰყავს. არადა, ეს ასე არ არის,"** - აცხადებს საპარლამენტო ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი.

პროფესორი ზურაბ კიკნაძე ბუნებრივს უწოდებს იმ რეაქციას, რაც ომბუდსმენის განცხადებას მოჰყვა: **"ომბუდსმენის განცხადება ხელშეკრულების გადახედვის თაობაზე, ბუნებრივია, გამოიწვევდა მკაცრ რეაქციას ეკლესიის მხრიდან და ასეც მოხდა. აქ მოულოდნელი არაფერია. ამ პრობლემას ორი მხარე აქვს. პირველი: ჩემი აზრით, კონკორდატი (ასე დავარქვათ ამ ხელშეკრულებას) არაფერს მატებს მართლმადიდებელ ეკლესიას, რომელიც საქართველოში "დე-ფაქტო" ისედაც განუზომლად უფრო ძლიერია, ვიდრე რომელიმე კონფესია. მართლმადიდებელ ეკლესიას სულიერი ავტორიტეტი ქვეყანაში ისედაც მოპოვებული აქვს იურიდიული სტატუსის და რაიმე კანონმდებლობის გარეშე. მე თუ მკითხავთ, მოთხოვნა "დე-ფაქტო" სტატუსის განმტკიცებისა "დე-იურე"-თი იმის ნიშანია, რომ საპატრიარქოს მესვეურები ნაკლებად არიან დარწმუნებულნი ჩვენი ეკლესიის ძალმოსილებაში და მის მომავალში. ისტორიული (ბიზანტიური) გამოცდილება გვასწავლის, რომ ეკლესია მაშინ კი არ იყო ყველაზე ძლიერი, როცა იმპერატორის ხელისუფლებასთან მძლავრად იყო ჩახუტებული, არამედ - დევნილობის ხანაში. მაცხოვარი გვასწავლის, რომ არ გვეშინოდეს გასაჭირისა, რადგან: "მე მიძლევიეს სოფელსა". ზემოთ ნათქვამს ზედმეტი "ჩახუტების" შესახებ გაუმართლებელ პარადოქსად მხოლოდ ის ჩამითვლის, ვისაც არაფერი ესმის არც ქრისტიანობაში არსობრივად და არც მის ისტორიაში. მზად ვარ, საჯარო პაექრობა გავუმართო ყველას, ვინც ამ დებულებაში დაეჭვდება და ნათქვამს ეკლესიის მიმართ მტრულ გამოხდომად მიიჩნევს. ეს ერთი მხარეა.**

**ახლა შევხედოთ საკითხს მეორე მხრიდან: Audiatur et altera pars - არის თუ არა იურიდიული სფეროდან მომავალი ეს გამონათქვამი უნივერსალური ხასიათისა, თუ აქაც ორმაგი სტანდარტებია გამოსაყენებელი? თუ გვსურს, რომ არამართლმადიდებელ ქვეყანაში მართლმადიდებელ ეკლესიას სრულყოფილი სტატუსი (არასრულყოფილი ვის სჭირდება?) ჰქონდეს, აქედან ჯეროვანი დასკვნა უნდა გამოვიტანოთ კვლავ სახარებისეული (და არა მხოლოდ) უნივერსალური ნორმის საფუძველზე, რომ სხვას ნუ ვუსურვებთ იმას, რასაც ჩვენთვის არასოდეს ვისურვებდით."**

# 6 მილიონად ღირებული უარი

პირველი გვერდიდან

ცხრა წლის წინ, შვეიცარიაში რეგისტრირებულმა კომპანიამ "სიერა ოილმა" ხელშეკრულება გააფორმა "თბილსრესთან", რის თანახმადაც, ქართულ მხარეს 1,9 მილიონი დოლარის ღირებულების (18 ტონაზე მეტი) დიზელის საწვავი უნდა მიეღო. "სიერა ოილმა" დანაპირები შეასრულა. კონტრაქტს წინ უსწრებდა სახელმწიფო ტენდერი, რომლის სუბსიდირებისთვის ნიდერლანდების მთავრობამ 8 მილიონი გულდენი დახარჯა. ტენდერს საქართველოს ფინანსთა და ენერგეტიკის სამინისტროები, "საქენერგო" და "თბილსრესი" ხელმძღვანელობდნენ. ტენდერს ზურგს პრეზიდენტ შევარდნაძის 1997 წლის 18 ოქტომბრის საპრეზიდენტო დეკრეტიც უმაგრებდა. ტენდერი შვეიცარიაში, ქალაქ ცუგში რეგისტრირებულმა კომპანია "სიერა ოილმა" მოიგო. მასსა და "თბილსრესს" შორის გაფორმებული ხელშეკრულების გარანტორად კი "საქენერგო" დამტკიცდა.

ნაკისრი ვალდებულებების აღსრულების შემდეგ, რეგისტრირებულმა კომპანიამ, რასაკვირველია, საფასური მოითხოვა. "თბილსრესმა" საფასურის გადახდის გაჭიანურება დაიწყო. არც გარანტორი "საქენერგო" იბერტყავდა ყურს. არადა, ხელშეკრულების თანახმად, პარტიის მიწოდებიდან 5 საბანკო დღის შემდეგ ყველა ვადაგადაცილებულ დღეზე ქართულ მხარეს საურთო 0.1-პროცენტიანი საურავი ემატებოდა. დაიწყო მიმოწერა. "სიერა ოილმა" საქართველოს ყველა ზემოხსენებულ უწყებას რამდენიმეჯერ მიმართა. ყველა საპასუხო წერილში ქართული მხარე ვალის არსებობას აღიარებდა, მაგრამ თანხას მაინც არ იხდიდა. მოგვიანებით, კომპანიამ ლონდონის საარბიტრაჟოს მიმართა. 2000 წლის 1 აგვისტოს ლონდონის სასამართლომ "თბილსრესს" 2.356 მილიონი აშშ დოლარის გადახდა დააკისრა, რასაც 8-პროცენტიანი საურავიც დაემატა განაჩენის გამოტანიდან ყველა გადაცილებულ წლისთვის. "სიერა ოილმა" და საქართველოს მოლაპარაკებამ მთავრობები განახლეს, რასაც შედეგად მოჰყვა 2001 წლის 23 თებერვლის "მოლაპარაკებათა პროტოკოლი", რომლის მიხედვითაც საქართველოს მთავრობა "სიერა ოილს" სთავაზობდა ვალის ძირითადი ნაწილის დაფარვას იმავე წლის 30 ივნისამდე, გრაფიკის მიხედვით. ხოლო გადაუხდელობის შემთხვევაში, ვალს 25-პროცენტიანი საურავი დაეკისრებოდა. ანუ, ვალის ძირითად ნაწილს რიგით მესამე ტიპის საურავი ეკისრება, რაც იმაზე მეუთითებს, რომ ვალი თავიდანვე ხელოვნურად იბერებოდა.

საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრომ არც ამ შემთხვევაში შეასრულა დათქმული პირობა. "სიერა ოილმა" საქართველოს უზენაეს სასამართლოს მიმართა და პროცესი აქაც მის სასარგებლოდ დასრულდა. 2003 წლის 31 მარტს "სიერა ოილმა" და საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრომ ხელახალი პროტოკოლი გააფორმეს, სადაც სამინისტრო აცხადებდა, რომ მის დაქვემდებარებაში მყოფი "თბილსრესის" ვალზე პასუხისმგებელი თავად გახლდათ. სამინისტრომ უკვე ოფიციალურად აღიარა, რომ მას უცხოური კომპანიის არა 1.9 მილიონი, არამედ 2.7 მილიონი აშშ დოლარი მართებდა. თანხის გადახდას სამინისტრო გრაფიკით აპირებდა, თუმცა აქაც ნათქვამი იყო, რომ გადაუხდელობის შემთხვევაში ხსენებულ 2.7 მილიონს კიდევ 25-პროცენტიანი საურავი დაემატებოდა. რა თქმა უნდა, არც ეს პირობები შესრულდა და დავალიანება 2005 წლისთვის 4.6 მილიონ აშშ დოლარამდე გაიზარდა. საბოლოოდ კი, თანხამ 5,9 მილიონ დოლარს გადააცილა. "სიერა ოილმა" როტერდამის სასამართლოში იჩივლა და მოითხოვა, რომ თანხა ამოღებულ იქნას მესამე მხარიდან. როტერდამის სასამართლომ გადაწყვიტა, რომ **"საქართველოს რესპუბლიკის ვალი ამოღებულ უნდა იქნას მესამე მხარისგან, კერძოდ, "საქაერონავიგაციისგან", რომელიც სახელმწიფო საწარმოა, ავიაკომპანია "ჯორჯიან ეარვეისისგან" და სხვა საწარმოებისგან, რომლებიც საქართველოს რესპუბლიკას სხვადასხვა გადასახადებს უხდის."**

საინტერესოა: გასული წლის ივლისში, მთავრობის სხდომაზე ენერგეტიკის მინისტრმა ნიკა გილაურმა გააკეთა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ასეთი ვალი არსებობს, თუმცა მას არაფერი უთქვამს ბოლო სასამართლო პროცესის შესახებ. ანუ ის, რომ მაისიდან საქმის წარმოება მესამე მხარისგან თანხის ამოღების მოთხოვნით მიმდინარეობს და შარში სულ სხვა ორგანიზაციები ეხვევა.

"*24 საათისთვის*" ცნობილი გახდა ისიც, რომ კომპანია "სიერა ოილი" 1995 წლის ბოლოს დაარსდა. მას მხოლოდ ერთი ოპერაცია აქვს შესრულებული - ამის შესახებ ზემოთ იყო საუბარი. მას შემდეგ კომპანიას სხვა საქმიანობა არ წარუმართავს, სასამართლო დავას თუ არ ჩავთვლით. კომპანია არც ოფისს ფლობს და განთავსებულია სხვა ფირმის, "მეისფილდის" ფართზე. ყოველ შემთხვევაში, ოფიციალური მისამართით ასეა და "სიერა ოილის" ხელმძღვანელის თომას აქსელის ნახვაც სწორედ აქ შეიძლება.

დღეისათვის სასამართლო დავა ორ ქვეყანაში მიმდინარეობს. ჰოლანდიაში, სადაც "სიერა ოილმა" ყადაღის მოთხოვნაზე სარჩელი შეიტანა, და შვეიცარიაში, სადაც "საქაერონავიგაციის" ანგარიში იქნა დაყადაღებული. შემოდგომაზე "საქაერონავიგაციის" იურისტებმა ორივე ქვეყნის სასამართლოში შუამდგომლობა შეიტანეს ყადაღის მოხსნის თაობაზე. ერთგან დადებითი პასუხი მიიღეს, მეორეგან - საპირისპირო. **"მართალია, "საქაერონავიგაციის" 100-პროცენტიან წილს სახელმწიფო ფლობს, ის კერძო სამართლის იურიდიული პირია და, ამდენად, ვალდებული არ არის, სახელმწიფო ვალები გაისტუმროს,"** - აცხადებს "24 საათთან" საუბრისას "საქაერონავიგაციის" მიერ დაქირავებული ებრაული იურიდიული კანტორის ხელმძღვანელი ზევ ჰოლენდერი.

- ჰოლანდიაში პროცესი დეკემბერში დასრულდა, "საქაერონავიგაციის" სასარგებლოდ. გადაწყვეტილებაში ნათქვამია, რომ "საქაერონავიგაცია" არ არის ვალდებული, სახელმწიფოს ვალი გადაიხადოს. თუმცა, პროცესი "სიერა ოილსა" და საქართველოს სახელმწიფოს შორის გრძელდება. ამ შემთხვევაში "საქაერონავიგაციამ" მოიგო პროცესი.

**- ჟენევაში რის გამო აღიძრა სარჩელი?**

- იმიტომ, რომ ანგარიში "საქაერონავიგაციას" სწორედ შვეიცარიაში აქვს საჰაერო ტრანსპორტის საერთაშორისო ასოციაციაში (IATA).

**- ასოციაციას ჰქონდა კი უფლება, "საქაერონავიგაციის" ანგარიში გაეყინა?**

- მას ეს სასამართლომ დაავალა. თუმცა მეორე საკითხია ის, რომ "საქაერონავიგაციამ" პროცესის და ყადაღის შესახებ გვიან გაიგო. სწორედ ამიტომ, ჟენევის სასამართლომ "საქაერონავიგაციის" შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა.

**- ანუ ყადაღა "საქაერონავიგაციის" ანგარიშს ისევ ადევს?**

- დიახ. შვეიცარიის კანონმდებლობით, გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა 10 დღეს შეადგენს. მსოფლიოს უამრავ ქვეყანაში აქვს ჩვენს კანტორას ოფისები. ყველა ქვეყანაში გვქონია პროცესები, მაგრამ ასეთი კაბალური წესი არსად არ არის. ათი დღე შესაძლოა შვეიცარიის რეზიდენტისთვის იყოს საკმარისი, მაგრამ არა უცხოელი პირისთვის.

**- რატომ?**

- ათ დღეში უნდა მოასწრო ვიზის მიღება, საქმის ინგლისურიდან ფრანგულად თარგმნა, ადვოკატის მოძებნა და ა.შ. ამას ემატება ისიც, რომ "საქაერონავიგაციამ" 7 დღის დაგვიანებით მიიღო სასამართლოს გადაწყვეტილება.

**- ეს რატომ მოხდა და რატომ არ გაასაჩივრეთ?**

- ვერ გეტყვით, რატომ მოხდა. ფაქტია, რომ "საქაერონავიგაციამ" შეტყობინება პარასკევს, საღამოს 9 საათზე მიიღო. ეს უკვე მეხუთე დღე იყო გადაწყვეტილების გამოტანიდან. "საქაერონავიგაციამ" ინფორმაცია ორშაბათს მიიღო. ანუ, კიდევ ორი დღე დაიკარგა. სამ დღეში ყველა საბუთს კი არა, ვიზას ვერ მიიღებ. რაც შეეხება გასაჩივრებას, ამ დონეზე გასაჩივრება შეუძლებელია. სასამართლომ შუამდგომლობა საერთოდ არ განიხილა - ორი დღით დააგვიანეთო. თუმცა გუშინწინ ჩვენ შევიტანეთ სარჩელი შვეიცარიის უზენაეს სასამართლოში. აქ კიდევ ერთ საოცრებას წავაწყდით - უზენაეს სასამართლოში გასაჩივრების ვადა მხოლოდ 6 დღეა.

**- ამჯერად მოასწარით?**

- ამ შემთხვევაში ყველაფერი დროზე მოხდა. პროცესი, რამდენადაც ჩემი კანტორის ჟენევის წარმომადგენლისთვის გახდა ცნობილი, სადღაც, თებერვლის შუა რიცხვებში გაიმართება.

**- კონკრეტულად რას ითხოვთ?**

- ყადაღის მოხსნას. ამ შემთხვევაში აუცილებლად მიღებული იქნება მხედველობაში, რომ უცხოელი პირისთვის მართლაც ძალიან რთულია ათ დღეში გასაჩივრება. ესეც რომ არა, ჩვენ ხელთ გვაქვს ჰოლანდიის სასამართლოს გადაწყვეტილება, სადაც დაიწყო ეს პროცესი და რომელიც ამბობს, რომ "საქაერონავიგაცია" აქ არაფერ შუაშია.

**ერთი შეხედვით, თითქოს გასაგებიც არის, რატომ წარიმართა მოვლენები ამგვარად. "საქაერონავიგაციის" არსებობისა და მუშაობის შესახებ ადრე არც არავინ იცოდა. არადა, ის ერთ-ერთი ყველაზე მომგებიანი საწარმოა. თუმცა, რამდენად ნიშნავს ეს იმას, რომ "საქაერონავიგაციის" ანგარიშიდან ნებისმიერი კაპირიზის დაკმაყოფილებაა შესაძლებელი. როგორც ნავიგაციის მესვეურები ამბობენ, "საქაერონავიგაციის" ანგარიშის დაყადაღება და მისთვის 6 მილიონი დოლარის წართმევა თითქმის იგივეა, რაც საწარმოს მუშაობის შეჩერება. "საქაერონავიგაცია" კი ქვეყნის ცაზე საჰაერო ხომალდების მიმოსვლას აკონტროლებს, უზრუნველყოფს თვითმფრინავების აფრენა-დაფრენას, მართავს საქართველოს საჰაერო ტრასებს. გასაკვირი სულაც არ იქნება, თუ გაირკვევა, რომ ხელისუფლება ამ ყველაფრის მნიშვნელობას ვერ აცნობიერებს...**

# ფრინველის გრიპის საშიშროება

სანდრო ნავერიანი

### ალტერნატივა - "ჯორჯიან ინდუსტრიალ კომპანი"

თემა, რომელსაც უნდა შევეხო, პრინციპში, ყველაზე აქტუალურია. აქტუალობასთან ერთად შემზარავიც, რადგანაც შესაძლებელია საქართველოს მოსახლეობა მსხვერპლი გახდეს იმ ვირუსისა, რომელმაც 2003 წელს იჩინა თავი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში და ორი წლის განმავლობაში თითქმის მთელ აზიას მოედო - ფრინველის ჭირის სახელით ცნობილი ფრინველის გრიპი (Avian Influenza - HPAI).

ბოლო ორი წლის განმავლობაში ამ ვირუსის გავრცელების შიში საქართველოს ფარგლებში ხშირად ყოფილა, თუმცა შიში ნელ-ნელა, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ვირუსის სავალალო შედეგების შემცირების გამო ქრებოდა.

სანამ უშუალოდ ამ ვირუსთან გატარებული თუ გაუტარებელი ღონისძიებების შესახებ ვისაუბრებდე, ჩემი მხრიდან მინდა ერთი მეტად მოკრძალებული (მოკრძალებული იმიტომ, რომ მე მედიცინაში თითქმის არაფერი გამეგება) სიტყვა ვთქვა:

მე, სანდრო ნავერიანი ვცხოვრობ საქართველოში და მიმაჩნია, რომ ჩემი ქვეყანა და ჩემი ქვეყნის მოსახლეობა ვიმსახურებთ თუნდაც იმას, რომ არჩევანი ჩვენით გავაკეთოთ. შესაძლოა ჩვენი არჩევანი არასწორი აღმოჩნდეს, მაგრამ ამ შემთხვევაში ყველა დაზღვეულია ზედმეტი პასუხისმგებლობისგან.

### რაში უნდა გავაკეთოთ არჩევანი?

როგორც უკვე მოგახსენეთ, ფრინველის გრიპი საკმაოდ დიდი მასშტაბების ვირუსი აღმოჩნდა და ეს არ არის ჩვეულებრივი გრიპი, რომელიც სურდოს იწვევს. ალბათ, თუ რა შედეგები მოჰყვა ამ ვირუსს, ზუსტი მონაცემები არავის აქვს, მაგრამ ფაქტია, რომ ხალხი იღუპება და, ალბათ დამეთანხმებით, ნებისმიერი დაავადება, რომელიც ადამიანის სიკვდილიანობას იწვევს, ყველასთვის ყველაზე საყურადღებოა.

მე არჩევანის გაკეთება მინდა იმაში, რომ მანახოს სახელმწიფომ რა საშუალებებით იბრძვის ამ ვირუსის გავრცელების წინააღმდეგ. შემოთავაზებულიდან მე საუკეთესოს ავირჩევ და კიდევ ვიმეორებ, არავინ ამით არ დაზარალდება, რადგან მეც და, ვფიქრობ, მთელ საქართველოს აქვს იმდენი შეგნება, რომ ცუდს და კარგს შორის არჩევანი კარგის სასარგებლოდ გააკეთოს.

ჩემი, ასე ვთქვათ, მოხსენების ბოლოს მინდა თხოვნით მივმართო ყველა იმ ორგანოს, რომელიც ვალდებულია ფრინველის გრიპის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაერთოს: არავითარ შემთხვევაში არ ეცადოთ და ბოროტად არ გამოიყენოთ თქვენი მდგომარეობა, ბოლომდე დაიხარჯეთ და გააკეთეთ მაქსიმუმზე მეტი, თავს ზევით ახტით და ყველანაირი, ნებისმიერი საშუალებით შეაჩერეთ ეს იარაღი, რომელიც ისედაც გადაშენების პირას მყოფ ქართველ ერს კიდევ უფრო მოთხრის და თაობა აქ, ამ ათწლეულში განადგურდება. ამას თქვენ გავალდებულებთ თქვენი მორალი, თქვენი შვილების მომავალი და, უბრალოდ, ადამიანურობა.

ნუ გამოიყენებთ ამ მდგომარეობას ბოროტად და ფულის საკეთებლად. აი, სულ ეს იყო ის, რისი თქმაც მე მინდოდა, ახლა კი უშუალოდ იმაზე, თუ რა ზომებია მიღებული და პერსპექტივაში რა ღონისძიებები უნდა გატარდეს ამ საშინელი ვირუსის გავრცელების წინააღმდეგ.

2005 წლის ნოემბერში სოფლის მეურნეობის სამინისტროს "ჯორჯიან ინდუსტრიალ კომპანიმ" შესთავაზა პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა ფრინველის გრიპის წინააღმდეგ პრევენციულ ღონისძიებებს. პრევენციული ღონისძიებები უნდა გატარებულიყო გერმანიის ჰიგიენისა და მიკრობიოლოგიის საზოგადოების (გჰმს) მიერ რეკომენდებული ეფექტური სადეზინფექციო საშუალებით "ალფა გარდი" (Alfa Guard). "ჯორჯიან ინდუსტრიალ კომპანის" მიერ შეთავაზებული პრეპარატები მიეკუთვნება დეზინფექტანტების უმაღლეს კატეგორიას. ეს ის პრეპარატებია რომელთაც რეკომენდაციას უწევს მედინსტრუმენტების მწარმოებელი ისეთი ცნობილი ფირმები, როგორიცაა კარლ შტოლცი, რიჰარდ ვოლფი, პენტაქსი. ეს პრეპარატები შეტანილია ჰიგიენისა და მიკრობიოლოგიის გერმანული საზოგადოების მიერ რეკომენდებული პრეპარატების ნუსხაში. ეს ის დეზინფექტანტებია, რომელთაც იყენებენ გერმანიისა და დასავლეთ ევროპის წამყვანი კლინიკები. ეს არ არის ნაწარმი, რომელსაც თვითონ არ იყენებენ და იმპორტის, უკეთესი ნათქვამი იქნებოდა - გასაღების სახით გზავნიან სხვა ქვეყნებში, როგორც ეს მრავალ სხვა შემთხვევაში ხდება.

"ჯორჯიან ინდუსტრიალ კომპანის" მიერ შემოთავაზებული პრეპარატების ფასები რეალურად ხელმისაწვდომია, რაც, დამეთანხმებით, მთავარი თუ არა, ერთ-ერთი უმთავრესი კრიტერიუმია.

საუკეთესო დეზინფექცია უნდა ხასიათდებოდეს შემდეგი თვისებებით:

1. სწრაფი მოქმედება.
2. მაღალეფექტურობა.
3. დეზინფექტანტის უვნებლობა ადამიანის ჯანმრთელობაზე.
4. დეზინფექტანტის სუნის არარსებობა, უარომატობა.
5. ბიოდეგრადაცია (ბიოლოგიური სისუფთავე).
6. იოლი მოხმარების ფორმა.
7. შენახვის ხანგრძლივი ვადა.
8. მოქმედების ხანგრძლივი დრო.

პირადად, დიდი სიამაყით მინდა აღვნიშნო, რომ "ჯორჯიან ინდუსტრიალ კომპანის" მიერ შემოთავაზებული ყველა პრეპარატი შეიცავს ყველა ამ კომპონენტს და მოთხოვნას ასი პროცენტით აკმაყოფილებს, მთავარია მისი სწორად გამოყენება.

"ჯორჯიან ინდუსტრიალ კომპანი" შეძლებს ეპიდემიების საშიშროების თავიდან აცილებას. ამ ორგანიზაციის პარტნიორები არიან ისეთი ფირმები, რომლებიც ორმოცდაათ წელზე მეტია ამ სფეროში წარმატებულად მოღვაწეობენ: Dr. Deppe, Cloverline export, Detia Degesch...

აქ საუბარია არა მარტო ფრინველის გრიპის ეპიდემიაზე, არამედ ამერიკულ პეპელაზე, მალარიაზე, ლეიშმანიოზზე, ტუბერკულოზზე, A,B და C ჰეპატიტსა და სხვა ვირუსულ ინფექციებზე, ბაქტერიებზე, მიკრობებზე დაავადებათა წარმომქმნელ კერებზე.

"ჯორჯიან ინდუსტრიალ კომპანის" წარმომადგენლობები გახსნილია საქართველოს სხვადასხვა ქალაქში: ქუთაისში, ბათუმში, ფოთში, თელავში.


Deutsche Gesellschaft für Hygiene und Mikrobiologie (DGHM)
- Desinfektionsmittelkommission -

Zertifikat

über die Aufnahme von

**Acetal Combi**

in die Liste der von der DGHM für wirksam befundenen Desinfektionsverfahren.
Die Bewertung erfolgte nach den „Richtlinien der DGHM für die Prüfung und Bewertung chemischer Desinfektionsverfahren".

Hiermit erhält die Firma: Laboratorium Dr. Deppe, Hooghe weg 35, 47906 Kempen

die Bestätigung, daß das Desinfektionsmittel: Acetal Combi

Einsatzgebiet: Flächendesinfektion

Zusammensetzung wirksamer Bestandteile nach Art und Menge: 100 g enthalten: 5,25 g Formacetale; 3,50 g Benzalkoniumchlorid; 2,80 g Glyoxal; 2,80 g Formaldehyd; 1,75 g Glutardialdehyd

aufgrund der vorgelegten Gutachten als wirksam erachtet wird.
Für die Anwendung zur Desinfektion in Krankenhaus und Praxis werden folgende Konzentrationen und Einwirkungszeiten festgelegt:

| | |
|---|---|
| 1,0% | 1 h |
| 0,5% | 4 h |

Das Zertifikat verliert 3 Jahre nach A[illegible] Gültigkeit.

Ort/Datum Bonn, den 04.02.02

(Der Vorsitzende der Des[illegible]mittelkomm[illegible])



ფრინველის გრიპის შესახებ არაერთხელ თქმულა და დაწერილა. სამწუხაროდ, ბეჭდვითი სამყარო არაობიექტურად აშუქებს ფრინველის გრიპის წინააღმდეგ გატარებულ ღონისძიებებს. სტატიები, რომლებიც არაკეთილსინდისიერად აშუქებენ ამ პრობლემას და მისი გადაჭრის ზომებს, მოსახლეობაზე უარყოფითად მოქმედებს და ადამიანი, რომელსაც ობიექტური მიზეზი აქვს იყოს მშვიდად, ამ უაზრო და განუკითხავი, ყოველგვარ სიმართლეს მოკლებული სტატიების გამო შეშფოთებულია. ამ სტატიებში იგრძნობა მწერლის (ამ შემთხვევაში ჟურნალისტის) სრული არაპროფესიონალიზმი და რაც ყველაზე სამწუხაროა - უვიცობა. მაგალითად, ერთ-ერთ სტატიაში დეზინფექცია და სტერილიზაცია მოყვანილი, როგორც ერთი და იგივე მნიშვნელობის სიტყვა. სიმართლე ზევითაც ვაღიარე - მედიცინაში, ფაქტობრივად, არაფერი გამეგება, მაგრამ დეზინფექციასა და სტერილიზაციას შორის განსხვავებას ვხედავ და ვიცი, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ დამაინტერესა და ვიკითხე. აქ ნახსენები სტატიები კი იწერება ერთი ამოსუნთქვით, შეუგნებლად და უბრალოდ იმიტომ, რომ სტატია დაიწეროს და არა იმიტომ, რომ ეს სტატია მკითხველისთვის იყოს ინფორმატორი და არა დეზინფორმატორი. დამეთანხმებით, ალბათ, რომ დეზინფორმაცია ყოველთვის სავალალო შედეგებს იწვევს და არც ახლაა გამორიცხული, უკვე აღმოჩნდეს ისეთი ადამიანი, რომელმაც ამ სტატიებით იხელმძღვანელა.

"ჯორჯიან ინდუსტრიალ კომპანის" კონსულტანტი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი ბატონი გიორგი ჩახუნაშვილი აცხადებს, რომ იმისათვის რათა შეჩერებული იქნეს, ანუ პრევენციული ღონისძიებები შედეგიანად გატარდეს (ანუ გაგრძელდეს, რადგან სოფლის მეურნეობის სამინისტრომ უკვე გაატარა ეს ღონისძიებები. ამაზე ქვემოთ) საჭიროა შეიქმნას ერთგვარი სამკუთხედი. სამკუთხედის ერთი, პირველი და მთავარი კუთხე დღეს დღეობით არის და, ალბათ, მერეც უნდა იყოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო. მეორე კუთხეს ჯანმრთელობისა და სოცუზრუნველყოფის სამინისტრო უნდა წარმოადგენდეს. პრაქტიკულად, დღეს ეს ორი კუთხე ერთობლივად მუშაობს და სწორედ ეს ორი კუთხე უნდა შეკრას მესამემ - გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან არსებულმა ეკოლოგიის დეპარტამენტმა.

ამ სამ სტრუქტურას რეალურად შეუძლია ფრინველის გრიპის წინააღმდეგ შედეგიანი ბრძოლა გააგრძელოს და იმ კონდიციამდე მიიყვანოს, რომ საქართველოში არ შეიქმნება საფრთხე ამ ვირუსის გავრცელებისა.

ბატონი გიორგისა და "ჯორჯიან ინდუსტრიალ კომპანის" აზრით, რომელიც სავსებით რეალურია, შესაძლებელია ბრძოლა ქათმის გრიპთან ისე, რომ საქართველოს სასაზღვრო პუნქტები არ იქნეს ბლოკირებული და მუდმივად იმუშაონ ჩვეულ რეჟიმში.

"საქართველო ცივილიზებული ქვეყანაა და არ შეიძლება ჩვენ, ოცდამეერთე საუკუნეში ვირუსების წინააღმდეგ ქლორით ვიბრძოლოთ. ეს არ შეიძლება, რადგან ქლორის დიდი დოზით გამოყენების შემთხვევაში დაბინძურდება გარემო, რაც გარკვეულწილად დამატებით საზრუნავს გაგვიჩენს, ხოლო უშუალოდ იმ პრობლემას, რომლისთვისაც ქლორი იქნა გამოყენებული, ვერანაირად ვერ გადაჭრის. ჩვენ არ ვართ პაპუასები და უნდა ვაცნობიერებდეთ ამას. უნდა ვიცოდეთ, რომ ექიმბაშის გამოგონილ, კუსტარულად დამზადებულ პრეპარატს ის პრეპარატი სჯობია, რომელსაც სწორედ ის ქვეყნები იყენებენ, რომელთაც გვინდა დავემსგავსოთ და ჩვენთვის ეტალონები არიან . არ შეიძლება ადამიანზე ჩაატარო ექსპერიმენტი მაშინ, როცა ამის აუცილებლობა არ არის და მეტიც, ამ ექსპერიმენტს შესაძლოა, ტრაგიკული შედეგი მოჰყვეს. მაგალითად თურქეთს მოვიყვან. ქვეყანა, რომელსაც პრეტენზია აქვს ევროკავშირში გაერთიანებაზე, ქათმის გრიპს ვენახის შესაწამლი მოწყობილობით ებრძვის - ექსპერიმენტებს ატარებს, რამაც უკუშედეგი მისცა. ჯობია გადაიხადო რაღაც , გარკვეულწილად მეტი თანხა და შეიძინო პრეპარატი, რომელიც დარწმუნებული ხარ, ეფექტურია, ვიდრე გროშები გადაყარო და არ იცოდე რა შედეგს მოგიტანს. საბედნიეროდ, ჩვენმა მთავრობამ, პირადად პრეზიდენტმა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ბატონმა მიხეილ სვიმონიშვილმა გადადგეს სწორი ნაბიჯები და ჩვენ მიერ შეთავაზებული პროგრამის აქტუალობა ჯეროვნად შეფასდა.

დაბოლოს, მინდა ვთქვა, რომ ფრინველის გრიპთან ბრძოლა ეფექტურად მიმდინარეობს, მაგრამ ერთი წამით მოდუნებამაც კი შეიძლება არასასურველ შედეგამდე მიგვიყვანოს. ჩვენ კი, არ გვინდა სავალალო შედეგები. ჩვენ შვილები გვყავს, რომელთაც, უბრალოდ, სჭირდებათ ჯანმრთელობა და ჯანსაღი გარემო. ჩვენ ამისთვის ვიბრძვით და ვიბრძვით მთელი ძალებით. არ გვინდა ჩვენი ძალები დავზოგოთ და ერის და უფლის წინაშე არ ვიყოთ მართალნი."-განაცხადა ბატონმა გიორგიმ მთელი "ჯორჯიან ინდუსტრიალ კომპანის" სახელით.

როგორც ბატონმა გიორგიმ აღნიშნა, მთავრობამ მართლაც მიიღო ზომები ფრინველის გრიპის წინააღმდეგ ბრძოლაში. ჩემი აზრით, ეს ერთ-ერთი იმ იშვიათი შემთხვევათაგანია, როდესაც ხელისუფლება და ხალხი ერთ აზრზე არიან.

დაბოლოს, "ჯორჯიან ინდუსტრიალ კომპანის" პარტნიორ გერმანელ მეცნიერთა ჯგუფისგან შევიტყვე, რომ ფრინველის გრიპი უფრო გამძვინვარდება, რადგან დაიწყება მწერების შემოსევა და ფრინველების გადაფრენა. ორივე მოვლენა თითქმის ორჯერ გაზრდის ვირუსის გავრცელების საფრთხეს.

P.S. ხალხნო, ეს ადამიანები სიკეთეს აკეთებენ და ყველამ თქვენს გულებში ჩაიხედეთ, თქვენ თავს ჰკითხეთ: გინდათ, რომ თქვენი ახლობელი გახდეს ამა თუ იმ ინფექციის ან ვირუსის მატარებელი? დარწმუნებული ვარ, რომ არა და ამიტომაც კიდევ ერთხელ გთხოვთ, რომ ხელი არ შეუშალოთ ამ ხალხს - "ჯორჯიან ინდუსტრიალ კომპანის". პირიქით, დაეხმარეთ, ხელი შეუწყვეთ.

ეს უკანასკნელი სიტყვები არ იყო გათვალისწინებული, მაგრამ ემოციური ვარ, განსაკუთრებით მაშინ, როცა ჩემი ქართველების კეთილდღეობას ეხება საქმე.

# მესამედ დაპატიმრებული კრიმინალური ავტორიტეტი

*პანკისისხეობელი ცნობილი კრიმინალის მევლუდ ჭიჭიაშვილის თბილისში ექსტრადირების შემდეგ, უკვე მეორე შემთხვევაა, როცა თბილისის აეროპორტი ჟურნალისტებისა და სპეცრაზმელების განსაკუთრებული სიმრავლით გამოირჩეოდა. საქმე ისაა, რომ გუშინ კრიმინალური ავტორიტეტი მურმან ტვილდიანი, ზედმეტსახელად "ხალვა", სპეცრეისით ჩამოიყვანეს.*

ინგა ალავიძე

ჭიჭიაშვილის მსგავსად, წითელ ცირკულარში შეყვანილი, ქართველ სამართალდამცველთა და ინტერპოლის მიერ წლების მანძილზე ძებნილი, მურმან ტვილდიანი ლეფორტროვოს იზოლატორში იმყოფებოდა და მისი ექსტრადიციაც სწორედ იქედან განხორციელდა. თუმცა, ჭიჭიაშვილისგან განსხვავებით, თბილისის აეროპორტში ჩამოყვანილ მურმან ტვილდიანთან მიახლოების უფლება ჟურნალისტებს მისცეს, მაგრამ "ხალვამ" ჟურნალისტების შეკითხვებს პასუხი არ გასცა. მურმან ტვილდიანი, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის გაძლიერებული ბადრაგისა და შსს-ს სპეცრაზმის თანხლებით, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N7 საპყრობილეში გადაიყვანეს. "24 საათი" მურმან ტვილდიანის საქმესთან დაკავშირებით არა ერთხელ წერდა და, ამჯერად, მხოლოდ რამდენიმე დეტალს შემოგთავაზებთ.

"ხალვა" სპეცბადრაგირებით ერთხელ უკვე ჩამოიყვანეს საქართველოში - 2005 წლის მაისში. მაშინ ის ესპანეთს აფარებდა თავს. მას ბრალი ედება თბილისში მომხდარ ერთ-ერთ რეზონანსულ დანაშაულში - ბიზნესმენ ირაკლი კორტავას გატაცების ორგანიზებაში. ირაკლი კორტავა 2002 წლის 20 თებერვალს, ვაჟა-ფშაველას გამზირზე III კვარტალში მდებარე მისი საცხოვრებელი სახლიდან გაიტაცეს. გამტაცებლებმა კორტავას ოჯახის წევრებს გამოსასყიდად ჯერ 500 ათასი, ხოლო შემდეგ 50 ათასი დოლარი მოსთხოვეს. კორტავას ახლობლებმა მოთხოვნილი თანხა იმავე დღეს გადაიხადეს და ბიზნესმენიც ტყვეობიდან გაათავისუფლეს.

სამართალდამცველთა ინფორმაციით, ირაკლი კორტავა თბილისში ადამიანის გატაცებაზე მომუშავე "სვანების დაჯგუფებამ" გაიტაცა. იგივე ინფორმაციით, გამტაცებელთა ჯგუფის ლიდერი მურმან ტვილდიანი, მეტსახელად "ხალვა", გახლდათ, რომელსაც ქართველი სამართალდამცველები განსაკუთრებით საშიშ დამნაშავედ მიიჩნევენ და რომლის შესახებაც აცხადებენ, რომ იგი ტარიელ ონიანის უახლოესი ნათესავია.

ირაკლი კორტავას გატაცებაში ბრალდებულმა "ხალვამ" საქართველო წლების წინ დატოვა და ქართველ სამართალდამცველთა ინფორმაციით, ის ესპანეთში მცხოვრებ ავტორიტეტულ კრიმინალთან აფარებდა თავს.

მურმან ტვილდიანი ინტერპოლმა თავდაპირველად 2003 წლის აპრილში, ესპანეთის ერთ-ერთ საკურორტო ქალაქში დააკავა. თუმცა, მისი ექსტრადიცია მაშინ არ განხორციელებულა. ესპანელმა სამართალდამცველებმა მას შემდეგ, რაც საპატიმრო ვადა ამოიწურა, ის გაათავისუფლეს. ვადის ამოწურვის მიზეზი კი ის გახდა, რომ ქართველმა სამართალდამცველებმა ტვილდიანის ექსტრადიცია, ფაქტობრივად, არ მოითხოვეს. ტვილდიანის ბრალეულობის დამადასტურებელი მწირი მასალები გენერალურმა პროკურატურამ საერთაშორისო ნორმების დარღვევით და დაგვიანებით გააგზავნა ესპანეთში, იმ დროს, როცა საერთაშორისო ნორმებით გათვალისწინებული 40-დღიანი ვადა ამოწურული იყო. ამ ფაქტის შესახებ თავის დროზე თბილისში სერიოზული სკანდალი ატყდა. არაოფიციალური ინფორმაციით, ტვილდიანის საქმის ხელოვნური გაჭიანურება გენერალური პროკურატურის მაშინდელ მაღალჩინოსანთა დირექტივით მოხდა, ესპანეთში მცხოვრები ცნობილი "კრიმინალური ავტორიტეტის" ჩარევის შემდეგ და სოლიდური ანაზღაურების საფასურად.

გასულ წლის მაისში მურმან ტვილდიანი ესპანეთში მეორედ დააპატიმრეს. ექსტრადიციის პროცედურას კარგა ხანი დასჭირდა და, საბოლოოდ, ის საქართველოში მაინც ჩამოიყვანეს. მიუხედავად იმისა, რომ ტვილდიანის საქმე საკმაოდ სკანდალური იყო და, წესით, მისი ექსტრადიციის გახმაურება სამართალდამცველთა ინტერესშიც უნდა ყოფილიყო, ასე არ მოხდა. არც ტვილდიანის ექსტრადირებისა და არც სასწრაფოდ დაწყებული სასამართლო პროცესის შესახებ ინფორმაცია არ გავრცელებულა - "ხალვას" საქმის განხილვა ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოში ოპერატიულად და გასაიდუმლოებულად ჩატარდა, თანაც, იმ დროს, როცა კორტავას გატაცების გამო დაკავებულ ტვილდიანის ჯგუფის სხვა წევრებს 10-12-წლიანი პატიმრობა წლების წინ უკვე მისჯილი ჰქონდათ. ვაკე-საბურთალოს სასამართლოს თავმჯდომარემ მამუკა ნოზაძემ სამართალდამცველთა მიერ "საშიშ დამნაშავედ" გამოცხადებულ ტვილდიანს, აღმკვეთი ღონისძიება მსუბუქი სანქციით, პოლიციის ზედამხედველობით შეუცვალა და პატიმრობიდანაც გაათავისუფლა.

არადა, ტვილდიანის საქმის სასამართლო მსვლელობას საზოგადოების გარკვეულ ნაწილში გაჩენილი ძალზე ბევრი, მნიშვნელოვანი კითხვისთვის უნდა გაეცა პასუხი.

საქმე ისაა, რომ წლების წინ ირაკლი კორტავას გამტაცებლების დაკავების სპეცოპერაცია შსს-ს საკმაოდ გასაიდუმლოებულ ვითარებაში ჩაატარა. თავდაპირველად გავრცელებული ვერსიით, დაკავებული ჯგუფის წევრები კახი კალაძის ძმის, ლევან კალაძის გატაცების საქმესთან იყვნენ დაკავშირებული. სხვათა შორის, ლევან კალაძის გატაცებასთან დაკავშირებით არა ერთი ვერსია გაჩნდა. სამართალდამცველები სახელგანთქმული ფეხბურთელის ძმის გამტაცებლებს სხვადასხვა კრიმინალურ დაჯგუფებებში ეძებდნენ. პერიოდულად ჩნდებოდა ინფორმაცია ამ საქმესთან დაკავშირებით სხვადასხვა პირის დაკავების შესახებ, თუმცა, საბოლოოდ, ვერც ერთ მათგანს ლევან კალაძის გატაცების ბრალდება ვერ წაუყენეს.

მიუხედავად ინფორმაციის მრავალფეროვნებისა, ყველა ვერსიას ერთი საერთო აკავშირებდა. საუბარია იმაზე, რომ ძმის გატაცება უშუალოდ კახი კალაძის "მილანში" ტრანსფერს მოჰყვა. შესაბამისად, ყველა ვერსია მიდიოდა იქამდე, რომ გამტაცებლებს სწორედ კახი კალაძის ტრანსფერში გადახდილი თანხა აინტერესებდათ.

კალაძის საქმესთან დაკავშირებით დაკავებული იყო "სვანების დაჯგუფების" ერთ-ერთი ლიდერთაგანი ემზარ გვიჩიანიც, თუმცა, ის მალევე გაათავისუფლეს.

**"ტვილდიანი დაემალა გამოძიებას, გააკეთა ყალბი საბუთები, დატოვა საქართველოს ტერიტორია და თავი შეაფარა რუსეთს, სადაც ცხოვრობდა არალეგალურად. 2005 წლის ივნისში მასზე გამოაცხადა ძებნა. საქართველოს სამართალდამცველი უწყებიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, მურმან ტვილდიანი (კრიმინალური ზედმეტსახელი "ხალვა") წარსულში არაერთხელ ნასამართლევია, იყო ე.წ. სვანური კრიმინალური დაჯგუფების ლიდერი, გააჩნია სერიოზული კავშირები "კრიმინალური სამყაროს" ლიდერებთან, როგორც საქართველოს, ასევე, რუსეთის მასშტაბით,"** - ნათქვამი იყო რუსეთის შსს-ს ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ მებრძოლი დეპარტამენტის ინფორმაციაში, რომელიც ტვილდიანის დაკავების შემდეგ რუსმა სამართალდამცველებმა გაავრცელეს.

არსებული ინფორმაციით, ტვილდიანმა პირველი ჩვენება რუს სამართალდამცველებს ლეფორტოვოში მისცა. მისი ჩვენებით, იგი წარმოშობით ცხინვალიდან იყო და რუსული პასპორტი (ყალბი პასპორტი, რომლის მეშვეობითაც მან საქართველო დატოვა) ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე აიღო.

გავრცელებული არაოფიციალური ინფორმაციით, მისი მფარველი, რომელმაც იგი ორჯერ უკვე იხსნა პატიმრობიდან, ესპანეთის დატოვების შემდეგ, მოსკოვში არალეგალურად ცხოვრობს. იგივე ინფორმაციით, ტვილდიანი მოსკოვში სწორედ მასთან ცხოვრობდა და მისი პატრონაჟის ქვეშ იმყოფებოდა.

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის ბაჩო ახალაიას გუშინდელი განცხადებით, "კრიმინალურ ავტორიტეტს" მურმან ტვილდიანს თუ გასულ წლებში იჭერდნენ და უშვებდნენ, ამჯერად ასე აღარ მოხდება. **"ის ტარიელ ონიანის ახლობელია, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს, ტვილდიანი უკვე აქაა და ასე ადვილად ვეღარ დატოვებს საპყრობილეს,"** - განაცხადა გუშინ ბაჩო ახალაიამ.

# მსჯავრდებულის ცემის ფაქტს მონიტორინგის საბჭოც ადასტურებს

თბილისის N1 საპყრობილეში მყოფი პატიმარი გოჩა ფაცურია სასჯელაღსრულების დაწესებულებების მონიტორინგის საბჭოს წარმომადგენლებმა - თეა თუთბერიძემ და აკაკი მინაშვილმა მოინახულეს. მსჯავრდებულის სასტიკად ცემის ფაქტს საბჭოს წევრებიც ადასტურებენ და რეაგირებისათვის გენერალურ პროკურატურას მიმართავენ.

გავრცელებული ინფორმაციით, ფაცურია ქსნის ტუბერკულოზით დაავადებულ პატიმართა დაწესებულებაში სპეცდანიშნულების რაზმის წევრებმა, ტუბზონის უფროსის მოადგილემ და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ სცემეს.

აღნიშნული ინციდენტის შემდეგ, ნაცემი პატიმარი ქსნის კოლონიაში გადაიყვანეს და კარცერში ჩასვეს, სადაც მას კოლონიის უფროსი და მოადგილე ხელკეტებით გაუსწორდნენ.

15 იანვარს კი სასტიკად ნაცემი გოჩა ფაცურია თბილისის N1 საპყრობილეში გადაიყვანეს. მომხდართან დაკავშირებით, შესაბამისი უწყებების რეაგირებას მოითხოვს საქართველოს სახალხო დამცველი სოზარ სუბარიც, რომელიც თავად ესაუბრა გოჩა ფაცურიას და მის დედას.

**"სოზარ სუბარის განცხადებით, ფაცურია ორჯერ აწამეს - ჯერ ტუბერკულოზით დაავადებულ პატიმართა დაწესებულებაში, შემდეგ ქსნის მეორე კოლონიაში.**

**გოჩა ფაცურიას ქსნის მეორე კოლონიის ხელმძღვანელმა არახამიამ და მისმა მოადგილემ მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა,"** - აცხადებს ომბუდსმენი.

*24 საათი*

# სახალხო დამცველი რელიგიური დაპირისპირების ფაქტის გამოძიებას ითხოვს

სახალხო დამცველი სოზარ სუბარი გენპროკურატურას ახალციხეში ადგილობრივ მოსახლეობას შორის რელიგიურ საფუძველზე მომხდარი დაპირისპირების ფაქტის შესწავლას სთხოვს.

როგორც სახალხო დამცველის აპარატში აცხადებენ, 14 იანვარს, სახალხო დამცველის და "დემოკრატ მესხთა კავშირის" წარმომადგენლები ბექა მინდიაშვილი და გიორგი ანდღულაძე ახალციხის რაიონის სოფელ სხვილისში სომხური წესის კათოლიკე მღვდელს პოღოს გრიგორიანს, ამავე სოფლის კათოლიკე მღვდელს გეორქს და სოფელ წინუბნის თავკაცს სარქის ალაკიანს შეხვდნენ.

2005 წლის 2 დეკემბერს, სოფელ წინუბანში დაკრძალვის პროცესის დროს, სასაფლაოზე თავშეყრილ თანასოფლელებს, რომელთა უმეტესობას კათოლიკეები წარმოადგენენ, მღვდელმა პოღოსმა საჯაროდ მიმართა, სასაფლაოზე არ შეეშვათ თავიანთი თანასოფლელი ორმოცდაათიანელი სექტანტები.

როგორც სახალხო დამცველის აპარატში აცხადებენ, ამ ფაქტის შემდეგ რელიგიურ ნიადაგზე სომეხ ორმოცდაათიანელთა აშკარა დევნა დაიწყო. სოფელში, დაახლოებით, სამასი მოსახლეა, მათგან ოცდათექვსმეტი ორმოცდაათიანელია, რომელთაც არ უნაწილებენ საქართველოს "კარიტასის" ჰუმანიტარულ დახმარებას იმ მოტივით, რომ ის მხოლოდ კათოლიკებს ეკუთვნით. ამასთან, მათ აუკრძალეს სასაფლაოზე მიცვალებულთა დაკრძალვა და ცალკე მიწის ნაკვეთზე სასაფლაოს მოწყობა შესთავაზეს. სოფლის თავკაცის სახელით, ორმოცდაათიანელებს აუკრძალეს ორგანიზაცია "ვორლდ ვიჟენის" მიერ დაფინანსებულ სამუშაოებში მონაწილეობა. გარდა ამისა, მღვდელი პოღოსის ინიციატივით, გროვდება ხელმოწერები ორმოცდაათიანელთა წინააღმდეგ. აღსანიშნავია, რომ კათოლიკური წესის სომხური ეკლესია არ იმყოფება საქართველოს კათოლიკე ეპისკოპოსის მორჩილებაში.

სახალხო დამცველის წარმომადგენელთან შეხვედრაზე მღვდელმა პოღოსმა და სარქის ალაკიანმა დაადასტურეს აღნიშნული ფაქტები.

სახალხო დამცველის სახელზე შედგენილ წერილში, ორმოცდაათიანელებმა არუთუნ გრიგორიანმა და მახო კეროკიანმა დეტალურად აღწერეს მდგომარეობა.

საქართველოს სახალხო დამცველის ოფისი ამჟამად სწავლობს სომეხი ეროვნების ორმოცდაათიანელების დევნის ფაქტებს.

სახალხო დამცველის შეფასებით, ეს არის დისკრიმინაციის აშკარა მაგალითი.

სოზარ სუბარი რეკომენდაციით მიმართავს საქართველოს გენერალურ პროკურატურას, შეისწავლოს აღნიშნული საკითხი და მიიღოს სათანადო ზომები ორმოცდაათიანელთა დარღვეული უფლებების აღსადგენად.

*პრაიმ-ნიუსი*

# აპირებდნენ თუ არა ტონი ბლერის ვაჟის გატაცებას?

## დაუნინგ-სტრიტი დუმილს ამჯობინებს

გუშინ ბრიტანულმა გაზეთმა "სანმა" გაავრცელა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ იგეგმებოდა ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ტონი ბლერის 5 წლის ვაჟის გატაცების ოპერაცია. ორგანიზატორთა სათავეში კი ორგანიზაცია - "მამები სამართლიანობისთვის" იდგა. მეტიც, ბრიტანეთის ხელისუფლება ამ გატაცების შესახებ ინფორმირებულიც კი იყო, თუმცა, არ ეგონა, რომ ბოროტმოქმედებს ეყოფოდათ ძალა და სიმამაცე ჩანაფიქრის განსახორციელებლად. ბრიტანეთის პოლიციის ოფიციალური ცნობების თანახმად, კონკრეტული მოქმედებები ამ მიმართულებით განხორციელებული არ ყოფილა და, შესაბამისად, არავინ დაუპატიმრებიათ.

მიუხედავად იმისა, რომ თავად ორგანიზაცია "მამები სამართლიანობისთვის" უარყოფს ყოველგვარ კავშირს ამ გეგმასთან, პოლიცია, ამ საქმის ძიებისას, სწორედ ამ ორგანიზაციის კვალს დაადგა, ოღონდ ოფიციალურად ამას არ ადასტურებს, ისევე, როგორც არც არაფერს უარყოფს პრემიერ-მინისტრის დაუნინგ-სტრიტზე განთავსებული ადმინისტრაცია. ამგვარი პოზიცია კი, გარკვეული ვარაუდების საფუძველს იძლევა.

მიუხედავად ოფიციალური წყაროების მხრიდან საეჭვო დუმილისა, გაზეთი "სანი" წერს, რომ "მამები სამართლიანობისთვის" აპირებდნენ ტონი ბლერის ვაჟი - ლეო ძალზე მოკლე ხნით, სიმბოლური ვადით გაეტაცებინათ, რითაც მთელ მსოფლიოს დაანახებდნენ სხვა, იმ მამების პრობლემას, რომლებსაც საკუთარ შვილებამდე არ უშვებენ.

"ცხადია, პოლიცია, ყოველივე ამას ძალზე სერიოზულად მიუდგა, - ამბობს "სანის" ერთ-ერთი რედაქტორი გრემ დადმენი, - რადგანაც "მამები სამართლიანობისთვის" ბოლო ხანებში ბევრ გახმაურებულ მოვლენაში მონაწილეობდნენ".

"მამები სამართლიანობისთვის" დამფუძნებელი და ერთ-ერთი ლიდერი მეტ ოკონორი კი უარყოფს ბრალდებას და ამბობს, რომ ლეო ბლერის გატაცების "გროტესკული" გეგმის განხორციელების მცდელობაში ბრალდებაც კი აიძულებს ორგანიზაციის დაშლაზე იფიქროს.

**"მე კითხვის ნიშნის ქვეშ დავაყენებ ამ ორგანიზაციის არსებობას, რადგანაც არ მსურს, რომ ჩემი სახელი რამეთი მაინც უკავშირდებოდეს ისეთ საქმიანობას, როგორიც ბავშვების გატაცებაა",** - ამბობს ოკონორი და ამატებს, რომ იცოდა სკოტლანდ იარდის მიერ მისი ორგანიზაციით დაინტერესების შესახებ.

ჰქონდა თუ არა ადგილი ტონი ბლერის უმცროსი ვაჟის გატაცების მცდელობას, ამაზე მხოლოდ



გაზეთი "სანი" საუბრობს. თავად ტონი ბლერის ოჯახი კი სულ უფრო აძლიერებს თავისი შვილების უსაფრთხოებას.

2000 წელს ლეოს დაბადებასთან ახლდა მის პირად ცხოვრებაზე უფლების იმდენად გამკაცრება, რომ ახალშობილისთვის აცრებიც კი გაასაიდუმლოეს. მეტიც, ბლერებისთვის გადაღებულ ვერც ერთ ფოტოსურათზე მას ვერ იხილავდით. ერთადერთი კაზუსი საფრანგეთის პრეზიდენტის, ჟაკ შირაკის დიდ ბრიტანეთში ვიზიტისას დაუშვეს - შირაკმა ცდუნებას ვერ გაუძლო და მთელ მსოფლიოს აჩვენა ბლერის ოჯახის მიერ მისთვის მიძღვნილი ფოტო წარწერით, რომელზეც ოჯახის სხვა წევრებთან ერთად, სამი წლის ლეოც იყო აღბეჭდილი.

სხვათა შორის, ამ ფოტოების გავრცელებასთან დაკავშირებულ რისკზე სხვადასხვა გაზეთების რედაქტორებს იმთავითვე მიანიშნეს.

გარდა ამისა, "მამები სამართლიანობისთვის" ერთ-ერთი ლიდერი, ედუარდ გორეცკი, რომელიც 2003 წელს სასამართლო პროცესზე ბეტმენის კოსტიუმით გამოცხადდა, ამბობს, რომ ვერასოდეს დაიჯერებს მისი ორგანიზაციის წევრების კავშირს პრემიერ-მინისტრის ვაჟის გატაცების მცდელობასთან. **"მე მიმაჩნია, რომ ადამიანების გატაცება სამარცხვინო რამაა და ის, ვინც ამას სჩადის, ციხეში უნდა იჯდეს,"** - ამბობს გორეცკი და საქვეყნოდ აცხადებს, რომ "მამები სამართლიანობისთვის" ძალადობრივი ორგანიზაცია არ არის.

*24 საათი*

# სკოლის სარდაფში ცხედარი აღმოაჩინეს

ქორეთის საშუალო სკოლის სარდაფში 22 წლის ახალგაზრდა მამაკაცის ცხედარი აღმოაჩინეს. შს სამინისტროს ინფორმაციით, სოფელ ქორეთში მცხოვრებმა, 49 წლის ამირან გოგატიშვილმა განაცხადა, რომ 11 იანვარს, 22 საათზე სახლიდან გავიდა და არ დაბრუნებულა მისი შვილი, 22 წლის მალხაზ გოგატიშვილი. გატარებული ღონისძიებების შედეგად დადგინდა, რომ მალხაზ გოგატიშვილის მკვლელობაში თანამონაწილეობისთვის ეჭვმიტანილია სოფელ ქორეთში მცხოვრები 17 წლის აჩიკო კომლაძე, სავარაუდოდ, მეორე ეჭვმიტანილის დეიდაშვილი. იმავე დღეს, იმერეთის შს სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად გატარებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, წყალტუბოს რაიონის სოფელ ბანოჯაში დააკავეს გ. სისვაძე, რომელმაც აღიარა ჩადენილი დანაშაული და განაცხადა, რომ მან თოფით, ბექის არეში დაჭრა მალხაზ გოგატიშვილი, რის შემდეგაც, აჩიკო კომლაძესთან ერთად, ცხედარი შეკრა წებოვანი ლენტით და ჩააგდო ქორეთის საშუალო სკოლის წყლით სავსე სარდაფში. მოგვიანებით, სარდაფიდან წყლის ამოტუმბვის შედეგად ცხედარი იპოვეს. სისვაძის თქმით, მან მკვლელობის შემდეგ ცეცხლსასროლი იარაღი მდინარე ყვირილაში გადააგდო. მკვლელობა ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე მოხდა. სისხლის სამართლის საქმე დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ტარება-გამოყენების მუხლებით აღიძრა.

*ინტერპრესნიუსი*

ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

თქვენ ისევ სჭირდებით ქვეყანას

"უმუშევართა გადამზადებისა და თვითდასაქმების პროგრამის" ფარგლებში ფონდი "ღია საზოგადოება საქართველო" ატარებს პროფესიული გადამზადების უფასო კურსებს.

პროექტით გათვალისწინებულია სპეციალური სწავლების კურსები **კერძო ბიზნესის** წამოწყების, მისი წარმატებული განვითარებისა და **არასამთავრობო ორგანიზაციების** ფუნქციონირებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების შესაძენად.

პროგრამაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საჯარო სამსახურებიდან გათავისუფლებულ 28-დან 50 წლამდე ასაკის მოქალაქეებს.

კურსის დამთავრებისას ყველა მონაწილეს გადაეცემა შესაბამისი სერტიფიკატი.

წარმატებულ კურსდამთავრებულებს ფონდი ხელს შეუწყობს გრანტებისა და კრედიტების მოძიებაში.

სწავლების კურსებს ახორციელებენ ორგანიზაციები **CTC** (კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრი) და **ESM თბილისი**(მართვის ევროპული სკოლა).

სწავლების ხანგრძლივობაა 6 თვე

დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ CV (ავტობიოგრაფია) და შრომის წიგნაკის ასლი შემდეგ მისამართზე:

ქ. თბილისი, ყაზბეგის 34, ნაკვეთი III

საბუთების მიღება 2006 წლის 5 თებერვლამდე

დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ ტელეფონით: 91 59 16

ეწვიეთ ვებგვერდს: www.osgf.ge

ESM ctc Empowering People for Change

უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

ა ნ კ ე ტ ა

სახელი, გვარი........................................

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი........................................

საკონტაქტო ტელეფონი........................................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

მძლეოსნობა

# ისინბაევას იტალიურ ჭოკს სთავაზობენ

*ჭოკით ხტომაში ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა და მსოფლიოს არაერთგზის რეკორდსმენმა რუსმა ელენა ისინბაევამ იტალიელებისგან მაცდური წინადადება მიიღო. გერმანული გამოცემა* Suddeutsche Zeitung*-ის ინფორმაციით, რომელიც, თავის მხრივ, რუსეთის მძლეოსნობის ფედერაციას ეყრდნობა, რუს ჭოკით მხტომელს იტალიელებმა ექვსი მილიონი დოლარი შესთავაზეს, სანაცვლოდ კი ისინბაევამ იტალიის მოქალაქეობა უნდა მიიღოს.*



*ისინბაევას იტალიელები მოქალაქეობას სთავაზობენ.*

იმ შემთხვევაში, თუ ოლიმპიური ჩემპიონი აპენინელთა წინადადებას დათანხმდება, მაშინ 2005 წლის მსოფლიოსა და ევროპის საუკეთესო მძლეოსანი იძულებული იქნება მსხვერპლიც გაიღოს - მოქალაქეობის შეცვლით ისინბაევას სამი წლის განმავლობაში უფლება არ ექნება ახალი სამშობლოს სახელით იასპარეზოს. ეს იმას ნიშნავს, რომ გაისად რუს ჭოკით მხტომელს ჰელსინკის მსოფლიოს ჩემპიონატზე მოპოვებული ოქროს მედლის დაცვის საშუალება არ ექნება. ისინბაევას 2008 წელს პეკინის ოლიმპიურ თამაშებში ასპარეზობაზე ხელის აღებაც მოუწევს. ერთი სიტყვით, პერსპექტივა რუს ჭოკით მხტომელს სამწლიან იზოლაციას უქადის.

აღსანიშნავია ისინბაევას შარშან ნოემბერში გაკეთებული განცხადება, რომლის მიხედვით დიდმა ჩემპიონმა ახალი მოტივაციის შესაძენად და ახალი მიზნების მისაღწევად მწვრთნელი - ევგენი ტროფიმოვი (რომლის დამსახურებითაც ისინბაევა მსოფლიოს ვარსკვლავად ჩამოყალიბდა) შეიცვალა. მწვრთნელის შეცვლას მოჰყვა მშობლიური ვოლგოგრადიდან დონეცკში, სერგეი ბუბკას ყოფილ მწვრთნელთან ვიტალი პეტროვთან გადასვლა. ერთნი მიიჩნევენ, რომ ისინბაევას ამ ნაბიჯზე გავლენა მოახდინა მეოცე საუკუნის ერთ-ერთმა უდიდესმა სპორტსმენმა, უკრაინის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა და ისინბაევას კერპმა სერგეი ბუბკამ, რომელიც ახლა რუსი ჭოკით მხტომელის ინტერესების დამცველია.

ისინბაევას თქმით, ბუბკას სამშობლოში - დონეცკში მუდმივ საცხოვრებლად გადასვლა სიმართლეს არ შეეფერება.

აქვე გავიხსენოთ შარშან ზაფხულს გავრცელებული ინფორმაცია, რომლის მიხედვით ისინბაევას პერსონით რუსი მილიარდერი რომან აბრამოვიჩი ყოფილა დაინტერესებული. კერძოდ, მხტომელი "სიბნეფტის" სახე უნდა გამხდარიყო, სანაცვლოდ კი ყოველწლიურად ერთი მილიონი ევრო მიეღო. მოგვიანებით 18-გზის მსოფლიოს რეკორდსმენმა განმარტა, რომ მისთვის ასეთი წინადადებით არავის მიუმართავს.

აქვე გეტყვით, რომ ისინბაევას საკუთარი კარიერის განმავლობაში 36 მსოფლიოს რეკორდის დამყარება განუზრახავს, რაც საშუალებას მისცემს ამ მაჩვენებლით საკუთარ კერპს გაუსწროს.

ფეხბურთი

# გონსალესს მარცხენა მოჰკვეთეს

პარაგვაის ნაკრებისა და იტალიის "ვიჩენცას" თავდამსხმელს ხულიო გონსალესს გუშინ მარცხენა ხელის ამპუტაცია ჩაუტარდა.

პარაგვაელი ფეხბურთელი დაახლოებით ოთხი კვირის წინათ ავტოკატასტროფაში მოყვა და სხეულის მძიმე დაზიანებებით საავადმყოფოში გადაიყვანეს. გონსალესმა არაერთი მოტეხილობით 12 საათი ქირურგიულ მაგიდაზე დაჰყო. ავარია იტალიის ჩრდილოეთში მოხდა, მაშინ, როდესაც გონსალესს თანაკლუბელი ჯერარდო გრიგინი აეროპორტში მიჰყავდა.

"ვიჩენცას" პარაგვაელმა ლეგიონერმა 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ეროვნული ნაკრების რიგებში 15 მატჩი ჩაატარა და უმთავრესი ასპარეზობის ფინალურ ეტაპზეც უნდა გამოსულიყო, მაგრამ ავარიამ წერტილი დაუსვა მის კარიერას. თუმცა, ვინ იცის?


*პარაგვაის თავდამსხმელმა, შესაძლოა, ცალხელამ გააგრძელოს კარიერა.*

ფეხბურთში ყოფილა შემთხვევები, როდესაც ცალხელა ფეხბურთელს კარიერა გაუგრძელებია და მსოფლიოს ჩემპიონატზეც გაუმარჯვია. მხედველობაში გვყავს ურუგვაელი თავდამსხმელი ექტორ კასტრო, რომელიც, ცალი ხელის მიუხედავად, ორთაბრძოლებს არ გაურბოდა. 1930 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი მოიგო კიდეც, რა თქმა უნდა, თანაგუნდელებთან ერთად. მართალია, არასდროს ყოფილა კერპი, მაგრამ შეუდრეკელი ხასიათის გამო გულშემატკივრებს შორის დიდი პატივისცემით სარგებლობდა, თუმცა, ბევრს უფრო ებრალებოდა. ერთი სიტყვით, კასტრო ინვალიდი იყო. ბავშვობაში მარჯვენა ხელი დაკარგა. სწორედ ამის გამო შევიდა ექტორ კასტრო მსოფლიო პირველობების ისტორიაში, როგორც ერთადერთი ცალხელა ფეხბურთელი, რომელმაც მსოფლიო თასის ალმართვა შეძლო. 1930 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მატჩში მან არგენტინელთა კარში გოლიც გაიტანა, შეხვედრა კი ურუგვაელთა გამარჯვებით - 4:2 დასრულდა.

ტანვარჯიში

# ოლიმპიური ჩემპიონი ყველაფერს შეელია, მედლებსაც კი

გერმანელ ტანმოვარჯიშეს ანდრეას ვეკერს არცთუ კარგი დღეები უდგას. 36 წლის ოლიმპიურმა ჩემპიონმა და თამაშების არაერთგზის პრიზიორმა კარიერის დასრულების შემდეგ ცხოვრება ვერ ააწყო. შედეგად ვეკერის ფინანსური მდგომარეობა გაუარესდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ იძულებული გახდა საკუთარი მედლები აუქციონზე გაეყიდა. არადა, სპორტული კარიერა ისეთი ჰქონდა, ბევრი ვერც იოცნებებს. სეულის ოლიმპიურ თამაშებზე ვერცხლის მედალი აიღო, ოთხი წლის შემდეგ, ბარსელონას ოლიმპიურ თამაშებზე, მედლების ყულაბა კიდევ ერთი ვერცხლისა და ორი ბრინჯაოს მედლით გაამდიდრა. მესამე ცდაზე, 1996 წელს, ატლანტას ოლიმპიურ თამაშებზე, "ოქრომდე" მისვლა შეძლო. გარდა ამისა, ანდრეას ვეკერმა წარმატებით იასპარეზა მსოფლიოს ჩემპიონატებზე - ერთი ოქროს, ექვსი ვერცხლის და სამი ბრინჯაოს მედალი, მაგრამ რა?

ახლახან ის, რაც მისთვის ყველაზე ძვირფასი იყო, Ebay-ის ინტერნეტ-აუქციონზე გაიტანა. გარდა ამისა, ვეკერმა ბერლინის სიახლოვეს საკუთარი სახლიც გაყიდა.

ფინანსური სიდუხჭირის მიუხედავად, ოლიმპიური ჩემპიონი, რომელიც ამჟამად მისიონერობაზე ფიქრობს, სანუკვარ ჯილდოებთან განშორებას არ ნანობს.

"ჩემთვის მატერიალურ ფასეულობებს მნიშვნელობა არა აქვს. სახლი, ძვირფასეულობა, საათები და მედლები ყოველგვარი სინანულის გარეშე გავყიდე. ახლა მისიონერობას მივყოფ ხელს".

ჩოგბურთი

# როდიკს ნალბანდიანი თუ შეაჩერებს



| | |
|---|---|
| **ვაჟები:** | |
| ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია, 7) - ფილიპ კოლშრაიბერი (გერმანია) | 7:5, 6:2, 6:1 |
| ენდი როდიკი (აშშ, 2) - უესლი მუდი (სარ) | 7:5, 6:3, 6:2 |
| მარიო ანჩიჩი (ხორვატია, 18) - იან ჰერნიხი (ჩეხეთი) | 6:1, 6:4, 6:4 |
| ჯეიმს ბლეიკი (აშშ, 20) - ჟან-კრისტოფ ფარელი (საფრანგეთი) | 2:6, 6:1, 6:4, 6:3 |
| ჟილ სიმონი (საფრანგეთი) - ტომას ბერდიხი (ჩეხეთი, 19) | 6:3, 6:2, 4:6, 6:2 |
| დენის გრემელმაიერი (გერმანია) - რობი ჯინეპრი (აშშ, 13) | 2:6, 5:7, 6:4, 6:3, 6:3 |
| ტომი რობრედო (ესპანეთი, 16) - დმიტრი ტურსუნოვი (რუსეთი) | 7:6, 3:6, 7:6, 6:3 |
| მარკოს ბაგდატისი (კვიპროსი) - რადეკ სტეპანეკი (ჩეხეთი, 17) | 6:4, 6:3, 3:6, 0:6, 7:5 |
| გასტონ გაუდიო (არგენტინა, 8) - ლარს ბურგსმიულერი (გერმანია) | 6:3, 6:2, 6:3 |
| ფელიციანო ლოპესი (ესპანეთი, 31) - ჟილ მიულერი (ლუქსემბურგი) | 6:2, 6:4, 6:7, 6:4 |
| დავიდ ფერერი (ესპანეთი, 11) - დანიელე ბრაჩიალი (იტალია) | 6:4, 6:4, 6:7, 6:2 |
| იარკო ნიემინენი (ფინეთი, 26) - იუ-ცზუ ვანგი (ტაიპეი) | 6:2, 7:6, 6:2 |
| ჟულიენ ბენეტი (საფრანგეთი) - გილიერმო გარსია-ლოპესი (ესპანეთი) | 6:4, 7:6, 6:1 |
| ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) - ანდრეი პაველი (რუმინეთი) | 6:4, 6:1, 6:4 |
| **ქალები:** | |
| ლინდსი დევენპორტი (აშშ, 1) - კაროლინა სპრემი (ხორვატია) | 7:6, 6:3 |
| ჟიუსტინ ენინ-არდენი (ბელგია, 8) - ჰანა სრომოვა (ჩეხეთი) | 7:6, 6:1 |
| სერენა უილიამსი (აშშ, 13) - კამილ პინი (საფრანგეთი) | 6:3, 6:1 |
| მარია შარაპოვა (რუსეთი, 4) - ეშლი ჰარკლროუდი (აშშ) | 6:1, 7:5 |
| ნადეჟდა პეტროვა (რუსეთი, 6) - მარტინა მიულერი (გერმანია) | 6:4, 6:1 |
| სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი, 14) - არანტა პარა სანტონია (ესპანეთი) | 6:2, 6:7, 6:2 |
| მარია კირილენკო (რუსეთი, 25) - გალინა ბოსკობოევა (რუსეთი) | 7:6, 6:4 |
| ელენა ვესნინა (რუსეთი) - იულია შრუფი (გერმანია) | 6:0, 7:5 |
| მარია ელენა კამერინი (იტალია) - ეკატერინა ბიჩკოვა (რუსეთი) | 4:6, 7:6, 6:2 |
| ოლგა სავჩუკი (უკრაინა) - ელენა იანკოვიჩი (სერბეთი, 23) | 6:3, 6:4 |
| მარა სანტანჯელო (იტალია) - კატარინა სრებოტნიკი (სლოვენია) | 7:6, 5:7, 6:3 |
| ელენა კოსტანიჩი (ხორვატია) - ზუზანა ონდრაშკოვა (ჩეხეთი) | 6:2, 6:1 |
| დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი, 17) - აგიულ ამანმურადოვა (უზბეკეთი) | 6:4, 6:1 |
| ვირხინია რუანო-პასკუალი (ესპანეთი) - ელენა ლიხოვცევა (რუსეთი, 18) | 6:4, 6:4 |
| ვირჯინი რაზანო (საფრანგეთი) - კონჩიტა მარტინეს-გრანადოსი (ესპანეთი) | 7:6, 6:3 |
| ლორა გრანვილი (აშშ) - ცვეტანა პირონკოვა (ბულგარეთი) | 7:5, 6:2 |

ენდი როდიკმა მეორე წრეში დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა სამხრეთაფრიკელ უეინ მუდისთან შეხვედრაში და მესამე ეტაპზე ფრანგ ჟულიენ ბენეტის გაეჯიბრება, რომელმაც ასევე დამაჯერებლად სამ სეტში დაამარცხა ესპანელი გილიერმო გარსია-ლოპესი - 6:4, 7:6, 6:1. სპეციალისტთა ვარაუდით, ბადის ამ ნაწილში ნახევარფინალი სწორედ ენდი როდიკმა და სომხური წარმოშობის არგენტინელმა დავიდ ნალბანდიანმა უნდა გაითამაშონ და პასუხი გასცენ კითხვაზე, ვინ უფრო მზად არის დიდი გამარჯვებისთვის.

როდიკმა თამაში ჩვეულ რიტმში წარმართა უძლიერესი მოწოდებით და მაქსიმალურად ზუსტი დარტყმებით. საკმარისია ითქვას, რომ როდიკმა მთელი თამაშის განმავლობაში მხოლოდ 9 უნებლიე შეცდომა დაუშვა და ერთადერთხელ მოუვიდა ორმაგი შეცდომა, მაშინ როცა სამხრეთაფრიკელის ანგარიშზე 25 უნებლიე შეცდომა იყო. ბუნებრივია, რომ ამერიკელი მაღალი კლასის ხარჯზე აიძულებდა მეტოქეს შეცდომები დაეშვა. ამასთან, როდიკის ანგარიშზე 11 ეისია. ამ კომპონენტების ერთობლიობით ტურნირის მეორე ნომერმა შეძლო იოლი გამარჯვება მოეპოვებინა.

საერთოდ კი ვაჟთა ნაწილი სამმა განთესილმა დატოვა. მე-13 ნომრად განთესილმა ამერიკელმა რობი ჯინეპრიმ გერმანელ დენის გრემელმაიერს დაუთმო გზა. ტურნირის მე-17 ნომერი ჩეხი რადეკ სტეპანეკი კვიპროსელ მარკოს ბაგდატისთან შეხვედრაში დამარცხდა, ხოლო კიდევ ერთი ჩეხი, მე-19 ნომრად განთესილი ტომას ბერდიხი ფრანგ ჟილ სიმონთან პაექრობაში დაემშვიდობა ტურნირს.

ქალთა ნაწილში შედარებით სიმშვიდე იყო. ფავორიტებმა თავიანთი შეხვედრები უპრობლემოდ მოიგეს. მხოლოდ რუსი მე-18 ნომერი ელენა ლიხოვცევა დამარცხდა ესპანელ ვირხინია რუანო-პასკუალისთან ორთაბრძოლაში და 23 ნომრად განთესილ სერბ ელენა იანკოვიჩს მოუხდა უკრაინელ ოლგა სავჩუკთან ფარ-ხმლის დაყრა. ლინდსი დევენპორტმა, ჟიუსტინ ენინ-არდენმა, მარია შარაპოვამ და სერენა უილიამსმა კი მეტოქეები ორ-ორ სეტში დაამარცხეს.

# შარაპოვას ფეხებს კონკურენტი გამოუჩნდა

*23 წლის ცნობილი ინგლისელი მოდელი მიშელ კლაკი სხვადასხვა ჯურის ჟურნალებისთვის ნაწილობრივ შიშვლდება და ასე მოშილიფებული მამაკაცთა გულებს იპყრობს. მართალია, ლამაზმანი ინგლისელი ბრიტანეთში პოპულარობის ნაკლებობას არ უჩივის, მაგრამ ეტყობა, ამაზე შეჩერებას არ აპირებს და გაცილებით მეტი პოპულარობის მოსახვეჭად სპორტული სარბიელების დასაპყრობად გეგმა შეუმუშავებია.*



*კლაკი ედი ჯორდანთან და საჯინიბოს კიდევ ერთ სახესთან.*

კლაკის აღიარებით, ინგლისელი მოდელი მზადაა საჩოგბურთო კორტზე გავიდეს და ისეთი ლამაზმანი დაჩრდილოს, როგორიც უიმბლდონის მომგები რუსი მარია შარაპოვაა!

რამდენად სერიოზულად განუზრახავს შარაპოვასთან ბრძოლა? თურმე როგორც კი ფოტოსესიებს შორის დროს გამონახავს, უმალ ჩოგბურთის კორტებისკენ გარბის, რომ სპორტის იმ სახეობაში დახვეწოს საკუთარი ოსტატობა, რომლის მეშვეობითაც შარაპოვასთან კონკურენცია სურს. ამბობენ, მიშელ კლაკი იმდენად მონდომებულია გრძელფეხება რუსთან შესაჭიდებლად, რომ ჩოგბურთში სერიოზული პროგრესი განიცადაო. თქვენ წარმოიდგინეთ, პროფესიული კარიერის დაწყებასაც ფიქრობს. ამასთან, სჯერა, რომ მისთვის არანაირი პრობლემა არ იქნება უიმბლდონის ტრიუმფატორის დაჩრდილვა.

რა გამოვა აქედან, ძნელი გამოსაცნობი არ უნდა იყოს. ცხადია, დიდ ჩოგბურთში შარაპოვას კონკურენციას ვერ გაუწევს. მომხიბვლელობით კი, შესაძლოა, მეტოქე მართლაც დაჯაბნოს.

დიდ ჩოგბურთზე თუ შარაპოვას დამარცხებაზე მეოცნებე კლაკმა ფოტომოდელის კარიერა საკმაოდ ადრეულ ასაკში დაიწყო. 16 წლისა მამაკაცთა ერთ-ერთ ჟურნალში გამოჩნდა საკმაოდ თამამი ფოტოსესიით. ერთხანს თანამშრომლობდა ფორმულა 1-ის საჯინიბო "ჯორდანთან" ეგრეთ წოდებული "პიტ-ბეიბის" რანგში (სამეფო რბოლათა გუნდებისთვის მიღებული პრაქტიკაა, როდესაც ლამაზმანებს საკუთარ საჯინიბოებში სათანამშრომლოდ იწვევენ.-რედ.).

ინგლისელი მოდელის სპორტთან კავშირი მარტო ჩოგბურთელობით არ დასრულებულა. კლაკს ზღვის ტალღებიც იზიდავს - გატაცებულია ვინდსერფინგით, რაშიც გარკვეულწილად მისმა საქმრომ ნიკოლას ბეიკერმაც შეუწყო ხელი. საქმე ისაა, რომ ბეიკერი ალბიონზე ვინდსერფინგის ერთ-ერთ საუკეთესო ოსტატადაა მიჩნეული.



აქცენტი

# ამოცანა, სახელად "მწერალთა კავშირი"

## იერარქიული ხელოვნების ბრძოლა გადარჩენისთვის

პირველი გვერდიდან

კიდევ უფრო თავშესაქცევი იქნებოდა, გაგვეხსენებინა დიდი სხდომები, რომელთა შესახებაც ზოგს გვაგონდება, ზოგს კი უბრალოდ გვსმენია, თვალი გადაგვევლო იმ დარბაზებისთვის, სადაც ნელ-ნელა მკვეთრად იერარქიული საფეხურები აშენდა, სადაც კატეგორიები და კაბინეტები გადანაწილდა, სადაც ლექსითა და სიტყვაკაზმული ტექსტებით ამა თუ იმ დრომ და ეპოქამ ხოტბა მიიღო. ეს ყველაფერი ვიღაცას გაახალისებდა, სხვას კი გააჯავრებდა, მაგრამ რისი მომცემი იქნებოდა კიდევ ერთხელ გამეორება იმ ყველაფრისა, რაც ისედაც ცნობილია, გაუგებარია. საერთოდ, ღირს კი ამ კავშირის დღევანდელობის გამოძიება, მისი შესაძლებლობებისა და პოტენციალის რაიმენაირად განსაზღვრა? ალბათ არ ღირს. და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენი პოზიცია მკაფიოდ არის გამოხატული, არა იმიტომ, რომ საფუძველშივე გვესმის, როგორი უნდა იყოს მსგავსი ორგანიზმი, ანდა ზუსტად ვიცით, რომ იგი ჩვენთვის მიუღებელია. არა მხოლოდ ამიტომ. პირველ რიგში ამ ყველაფერთან დაკავშირებული ჩვენი სიზანტე იმ დიდი ფარსიდან არის გამოწვეული, რასაც მწერალთა კავშირის მიერ და მის გარშემო წამოჭრილი პრობლემები წარმოადგენს.

რატომ დავობენ, რისთვის იბრძვიან, რას, ანდა ვის ემსახურებიან? გუშინ საღამოს ერთ-ერთი სასამართლო პროცესი დასკვნითი გადაწყვეტილების გარეშე 15 თებერვლამდე გადაიდო. პროცესი, რომელიც იმ შენობის კუთვნილების საკითხს განიხილავდა, რომელშიც მწერალთა კავშირი ფუნქციონირებს. დავა უკვე შენობაზეა, ისტორიულ ნაგებობაზე, რომელიც ერთმა მხარემ პირად საკუთრებად აღიქვა, მეორემ კი სახელმწიფო საკუთრებად მიიჩნია. შესაძლოა, კიდევ არის სხვა პრობლემები, მაგალითად, მწერალთა კავშირის მომავალი: როგორ ესახება იგი სახელმწიფოს ანუ კულტურის სამინისტროს და როგორ ესახება იგი თავად ამ კავშირს. რატომ დაიწყო ხელახალი აგონია? პასუხი ამ კითხვაზე მრავალგვარია. ამიტომაც ჰაერს რომ არ გამოვეკიდოთ, რალაცებს უნდა ჩავუღრმავდეთ. თუ მაინცდამაინც შენობის კუთვნილებაზეა საუბარი, როგორც შევიტყვეთ, ბატონმა ზურაბ ჟვანიამ პრემიერ-მინისტრობის ჟამს იგი კულტურის სამინისტროს მფლობელობაში მოაქცია, რათა შექმნილიყო "მწერლის სახლი". მწერალთა კავშირმა ეს გადაწყვეტილება თავის დროზევე გაასაჩივრა. საოლქო სასამართლომ ამ ადამიანებს იმედები გაუცრუა და ამჟამად უკვე უზენაეს სასამართლოს მიმართეს. კონტრარგუმენტი, როგორც ვიცი, ერთია მხოლოდ: ზვიად გამსახურდიას მიერ დაწერილი ბრძანება, რომელშიც ისტორიულ შენობას მწერალთა კავშირის კუთვნილებად აღიარებს, მაგრამ ამ ბრძანებას არ მოსდევს არანაირი კანონქვემდებარე აქტები, რის გამოც მისი იურიდიული ძალა საეჭვო ხდება. ამას გარდა, მწერალთა კავშირის წარმომადგენლები და მისი თავმჯდომარე ქალბატონი მაყვალა გონაშვილი დიდი გალაკტიონის სამართალმემკვიდრეობაზე საუბრობენ. უკომენტაროდ დავტოვოთ... ჩვენ არც სასამართლო პროცესის გარჩევა გვაინტერესებს და არც ის არგუმენტები, რომლითაც მხარეები იბრძვიან, რადგან იბრძვიან მხოლოდ და მხოლოდ შენობისთვის. მწერალთა და ხელოვანთა გარკვეულმა ჯგუფმა პროტესტი გამოხატა იმაზე, რაც, მათი აზრით, მათია და სხვა არავისი. "დღეს არ იქნება შენობა, ხვალ არ იქნებიან არც ისინი, ყოველ შემთხვევაში, როგორც ორგანიზმი, რომელიც ქართული ლიტერატურული პროცესების ერთადერთი ამოსავალი, ერთადერთი დაწესებულება, სადაც ჭეშმარიტი ლიტერატურული იქმნება", - დაახლოებით ასე შეიძლება მათი ერთგვარი



პანიკის ფორმულირება და არც არაფერია ამაში გასაკვირი. ჯერ კიდევ ორი წლის წინ ამ ორგანიზმს სახელმწიფო აფინანსებდა. არავითარი მნიშვნელობა არ ენიჭებოდა იმას, რას და რისთვის ქმნიდნენ და მოღვაწეობდნენ. მიუხედავად ამისა, კავშირი მყარად იდგა და მოთხოვნილებას, რომელიც თავად უჩნდებოდა რაღაცასთან მიმართებაში, თავადვე იკმაყოფილებდა. ბუნებრივია, იყო საუბრები, ღიმილნარევი ტექსტები იმის შესახებ, თუ როგორ ჰგავს მათ კედლებში გამართული საღამოები გასული ეპოქის მასშტაბურ შეხვედრებსა და თავყრილობებს, მაგრამ ჰგავს არა მასშტაბით, არამედ პათეტიკით. მაგრამ ნურც იმაზე ვიდავებთ, რომ ეს ყველაფერი სასაცილოა. სასაცილოა მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენთან ხელოვანთ, თუნდაც დამსახურებულებს, საკუთარი ღვაწლის გამო პრეტენზიების წაყენება ერისა და საზოგადოების წინაშე არა და არ მობეზრდათ. სასაცილოა იმიტომაც, რომ, ავი თუ კარგი, მოკლედ, ნებისმიერი ლიტერატურული პროცესები მწერალთა კავშირისგან ძალიან შორს მიმდინარეობს, თუმცა ამ "ორგანოს" და მის ხელმძღვანელთ ამაზე იმის ნახევარიც არ უდარდიათ, რამდენსაც პრივილეგიებისა და ქონების დაკარგვაზე ნაღვლობენ და ბრაზობენ.

მაინც იბადება კითხვა: რას წარმოადგენს დღეს მწერალთა კავშირი წმინდა იურიდიული თვალსაზრისით? როგორც კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის მოადგილემ, ქალბატონმა თათა ქვარიანმა განმიმარტა, ის ერთდროულად საჯარო სამართლის იურიდიული პირიცაა და შემოქმედებითი გაერთიანებაც. ამ ორი სტატუსის ტანდემს პრინციპში უხეშ გაუგებრობასთან მივყავართ. პირველი სტატუსი კავშირმა ედუარდ შევარდნაძის დროს მიიღო. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ეს შემთხვევა იმ დროისთვის ნამდვილად გამონაკლისი გახლდათ. საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსს კულტურის სფეროში შემავალი დაწესებულებები მხოლოდ ახლა იღებენ, მაგრამ გამონაკლისს თავი დავანებოთ... გასაგებია, მწერალთა კავშირისთვის ერთიც ხელსაყრელია და მეორეც, მიზანი კი ისე არსად ამართლებს საშუალებას, როგორც ჩვენთან.

თავი დავანებოთ ამ აბსურდულ ამბებს და იმ საკითხს დავუბრუნდეთ, რომელიც ზურაბ ჟვანიას ბრძანებას მოსდევს. "მწერლის სახლი" თუ საზოგადოება, რომელიც კულტურის სამინისტროს სურვილით უნდა განთავსდეს ამ შენობაში... თათა ქვარიანის აზრით, შენობა ყველას უნდა ეკუთვნოდეს და არა მხოლოდ მწერალთა გარკვეულ წრეს. მათ, ვინც ამ კავშირთან ასოცირდება და მათაც, ვისაც მათთან ალიანსში სულაც არ სურს ყოფნა. სამინისტროს სურვილით, იქ ყველა ლიტერატურული გაერთიანება უნდა იყრიდეს თავს. ეწყობოდეს შეხვედრები, დისკუსიები, ახალი წიგნების პრეზენტაცია... პროცესები, რომლებიც იქ დაიწყება, ყველა გემოვნების, ყველა თაობისა და ყველანაირი ხედვის შემოქმედისთვის ღია უნდა იყოს.

მთავარი ალბათ ისაა, რომ ეს შენობა, რომლისთვისაც ასე იბრძვიან, შენობად, მხოლოდ ერთის, ორის, თუ მთელი კავშირებისა და ჯგუფების საკუთრებად არ იქცეს.

საინტერესოა, რომ ის მწერლები, რომლებიც მწერალთა კავშირთან არანაირად არ მოიაზრებიან, არავითარ სურვილს არ გამოთქვამენ ამ თემაზე საუბრისთვის. მიუხედავად ამისა, გარკვეული რეპლიკები მაინც არის. ერთნი ფიქრობენ, რომ მწერალთა ფედერაციის იდეა არ უნდა იყოს უინტერესო, ფედერაციისა, რომელშიც ნებისმიერ მწერალს ექნება საშუალება საკუთარი იდეა განახორციელოს და სრული პარიტეტული სისტემით მიმდინარეობდეს პროცესები. თუმცა, ამავდროულად საერთოდ ეჭვქვეშ აყენებენ მიმდინარე დავის ჭეშმარიტ მიზნებს. მეორენი, მათ შორის რატი ამაღლობელი, ამ პრობლემას აქტუალურად არ მიიჩნევს და აღაირებს, რომ მწერალთა კავშირის ალტერნატივაზე არ უფიქრია. ამაღლობელმა საერთოდაც ბევრად უფრო გლობალურად შეხედა საკითხს და მწერალთა კავშირის გარშემო წამოწყებული ამბავი მხოლოდ ერთ პატარა მოვლენად აღიქვა, აღნიშნა, რომ არაფერს არ ეშველება, სანამ კულტურის სამინისტრო მკაფიოდ ჩამოყალიბებულ კულტურის პოლიტიკის პრინციპებს არ გამოკვეთს: "ვერ ვხედავ ვერც პროცესს და ვერც პრიორიტეტებს, რა გვინდა და რისკენ მივდივართ". ასეთი განაცხადის მიუხედავად, ვარაუდები მაინც დავუშვით. მისი აზრით, ეს შენობა არა მხოლოდ მწერლებსა და ლიტერატურას, არამედ ზოგადად ხელოვნებას უნდა მოემსახუროს და ბევრად უფრო მასშტაბური ფუნქცია შეიძინოს.

რატი ამაღლობელს ბევრი ეთანხმება, მაგრამ არა მხოლოდ მწერლები. საზოგადოების ნებისმიერი, საქმეში ოდნავ ჩახედული წარმომადგენლებიც კი ერთ პრინციპულ საკითხზე უნდა შეთანხმდნენ: იმაზე, რომ ჩვენ ყველა ერთად რაღაც ახალს ვქმნით და ყველაფერი, პირველ რიგში კი ჩვენი კულტურის მენტალობა არათუ უნდა გადავასხვაფეროთ, არამედ რადიკალურად უნდა შევცვალოთ. ამისთვის კი ხელოვანები, მწერლები იქნებიან თუ სხვები, კაბინეტებიდან, მაღალი ეშელონებიდან და მყუდრო სავარძლებიდან აზროვნებას უნდა მოეშვან. მეორე საკითხია, რამდენად მზად ვართ და რამდენად ზუსტად ვიცით რა გვსურს საერთოდ და თუნდაც მწერალთა ჯერ არშექმნილ ახალ საზოგადოებასთან მიმართებაში. იქნებ იმაზე უკეთესი ვერც შევქმნათ, რასაც სტრუქტურულად და შინარსობრივად უკვე წარმოადგენს ეს კავშირი? თათა ქვარიანი ამბობს, რომ დაწესებულებას ეყოლება დირექცია, რომელიც უბრალოდ ორგანიზებას გაუკეთებს ღონისძიებებს და სხვას, მაგრამ ამდენი მსჯელობის შემდეგ მაინც იმ აზრამდე მივდივართ, რითიც დავიწყეთ. რა ვქნათ, რომ მთავარი მაინც შემოქმედებითი პროცესია, რომლის ასოცირება გარკვეულ, თუნდაც ყველაზე ჰუმანურ სახელმწიფოებრივ პროექტთან ცოტა გვიჭირს.

სარაჯიშვილის შენობის საქმე, როგორც იქნება, გადაწყდება, მაგრამ ღიად დარჩება საკითხი მისი ახალი ფუნქციის განსაზღვრისათვის. ღიად დარჩება იმიტომ, რომ სახელოვნებო მოვლენების მართვა ძნელია, ჩვენთან და ჩვენთვის კი - მით უფრო ძნელი. ამისთვის და ზოგადად სხვადასხვა კულტურული საკითხების მოგვარებისთვის ძალიან მკაფიო ფორმულირება, ძალიან ფართოდ გააზრებული პროექტებია საჭირო, ანალოგებისა და სხვადასხვა მოდელების გადასინჯვით და ა.შ. სხვა საკითხია, რამდენად მიიღებენ მწერლები სამინისტროს მიერ წარმოდგენილ ვარიანტებს და რამდენად ენდომებათ ზოგადად რაიმენაირ გაერთიანებებად მოღვაწეობა. ეს იოლი საქმე არ უნდა იყოს, მაგრამ რთული საკითხები, როგორც წესი, სახვალიოდ გადაიდება ხოლმე.

დღეს ქალბატონ თათა ქვარიანს დიდი იმედი აქვს, რომ სასამართლო "ყველასთვის სასურველ გადაწყვეტილებას მიიღებს". მწერალთა კავშირის წარმომადგენლები, ბუნებრივია, "მემკვიდრეობით მიღებულ" ქონებას ესარჩლებიან, ახალგაზრდა და არა მხოლოდ ახალგაზრდა მწერლები ამ ისტორიას შორიდან, ოდნავ დაბნეულად, მაგრამ მაინც იმედიანად უყურებენ. იმედიანად იმიტომ, რომ გარკვეული ცვლილება მაინც მოსალოდნელია, ცვლილება, რომელიც ამ ბოლო პერიოდში ისედაც გააქტიურებულ ლიტერატურულ ცხოვრებას რამით მაინც წაახალისებს. დანარჩენი საზოგადოება კი ისევ იმას ელოდება, რასაც მუდამ; იმას, რომ მწერალი წიგნს დაწერს, ფუნქციონერი ნაბიჯებს წინ გადადგამს და არა ადგილზე, და, რაც მთავარია, ყველაფერს თავის სახელს დაარქმევს. ისე კი, არა აქვს მნიშვნელობა სად, რომელ შენობასა და რომელ კაფეში, ის თავის რჩეულს მაინც იპოვის.






მოკლედ

### ბრიტნი სპირსი - დაბერებული ლოლიტა



ყოველწლიურმა რეიტინგებმა ჰოლივუდის ყველაზე უგემოვნო ვარსკვლავად პოპ-მომღერალი ბრიტნი სპირსი აღიარეს. ენამწარე და ძალზე მოდურმა ჰოლივუდელმა კრიტიკოსმა მისტერ ბლეიკველმა სპირსს "დაბერებული ლოლიტა" უწოდა. უკვე მეხუთე წელია, რაც ბრიტნი მსგავს რეიტინგებში ლიდერობს, 2000 წელს კი, ისე როგორც ახლა, მან პირველი ადგილი დაიკავა.

უგემოვნო და მოძველებული სტილის მქონე ქალბატონებად ასევე აღიარეს ახალგაზრდა ტელევარსკვლავი მერი-კეიტ ოლსენი, მომღერალი ჯესიკა სიმპსონი, შაკირა, მერაია ქერი და მსახიობები ლინდსი ლოჰანი და რენე ზელვეგერი.

საუკეთესო გემოვნების ადამიანების გამოსავლენად კრიტიკოსებს ჰოლივუდიდან რამდენიმე ნომინაციის მსგავსი კრიტერიუმები შეუმუშავებიათ: "ბუნებრივი და ძალდაუტანებელი სილამაზე" და "დასამახსოვრებელი სტილი." მსგავს მოთხოვნებს, შემფასებელთა აზრით, არცთუ ისე ბევრი აკმაყოფილებს. მათ შორის არიან ნიკოლ კიდმანი, კეიტ მოსი, სკარლეტ იოჰანსონი, ნატალი პორტმანი, დიონ უორვიკი და რის უიზერსპუნი.

**საქართველოს გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი აცხადებს ხელმოწერას გალაკტიონ ტაბიძის საარქივო გამოცემაზე (26 წიგნი) 2006 წლის 15 იანვრიდან.**
**მისამართი: გ. ჭანტურიას ქ. N8.**
**ტ. 99-86-67, 98-98-89.**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატი აცხადებს ტენდერს საწვავის შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს მასში მონაწილეობის მისაღებად.**

**დაფინანსების წყარო: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტი.**

**შესტიდვის ობიექტი: საწვავი**

| N | პროდუქტის დასახელება | თანხა წლიურად | მიწოდების გრაფიკი | მიწოდების ადგილი |
|---|---|---|---|---|
| 1. | ბენზინი (სუპერი) | 50 000 ლიტრი | მოთხოვნის მიხედვით | ქ. ბათუმი |
| 2. | ბენზინი (რეგულარი) | 12 000 ლიტრი | მოთხოვნის მიხედვით | ქ. ბათუმი |
| 3. | დიზელის საწვავი | 55 000 ლიტრი | მოთხოვნის მიხედვით | ქ. ბათუმი |

დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ განაცხადი და საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე, გაზეთში გამოქვეყნებიდან 15 დღის გასვლის შემდეგ 5 დღის ვადაში, საღამოს 18 საათამდე, მისამართზე: ქ. ბათუმი, კ. გამსახურდიას ქ. N 9, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატი.

ტენდერში გამარჯვებულის მიერ აღნიშნული საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად. ამასთან კანონმდებლობით განსაზღვრული გადასახადები უნდა გადაიხადოს საქონლის მიმწოდებელმა პირმა.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

იურიდიული პირებისათვის:

- ცნობები სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მათი ლიკვიდაცია ან რეორგანიზაცია და არ მიმდინარეობს მის მიმართ სანაციისა და გაკოტრების საქმის წარმოება*

- ცნობა საჯარო რეესტრის შესაბამისი სარეგისტრაციო სამსახურიდან, რომ მათ ქონებაზე არ არის ყადაღა დადებული.

- ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მათი ხელმძღვანელი უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

ფიზიკური პირებისათვის:

- ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია

- ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ ტენდერში მონაწილეობისას იგი უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის

- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირებისათვის:

- ბანკიდან, რომ ანგარიშზე ერიცხებათ გარკვეული თანხა და არ აქვთ დავალიანება

- საგადასახადოდან, რომ ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხებათ დავალიანება.

დაინტერესებული პირები ვერ გაივლიან საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ ზემოთ აღნიშნულ ვადებში არ წარმოადგენენ ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ცნობასა და ინფორმაციას, ან რომელიმე წარმოდგენილი ცნობა ან ინფორმაცია აღმოჩნდება ყალბი.

სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხაზინაში 200 ლარის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, 2006 წლის 4 თებერვლიდან 8 თებერვლის 18 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, კ. გამსახურდიას ქ. N 9, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატი.

სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ: ქ. ბათუმი, კ. გამსახურდიას ქ. N 9, - მთავრობის აპარატის ადმინისტრაციულ შენობაში, ტელ. 3 20 25, მობ. 877 49 66 66.

სატენდერო კომისია.

**1**

**იურიდიული ოფისი „გაპი" და გაზეთი "24 საათი"**

**ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.**

**2**

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში. (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება.) უფასო შეკითხვის ქვითრები გამოქვეყნდება ყოველდღიურად, გაზეთის A7 გვერდზე ხოლო ამომწურავ პასუხს მკითხველი მიიღებს ყოველ ხუთშაბათს გაზეთ "24 საათის" მეშვეობით.

მკითხველი, სურვილის მიხედვით, ავსებს უფასო შეკითხვის ქვითრის ქვემოთ გამოქვეყნებულ ანკეტას. ამავდროულად, სასურველია მკითხველმა მიუთითოს საკონტაქტო ტელეფონი, რათა საჭიროების შემთხვევაში, მოხდეს შეკითხვის დაზუსტება.

**3**

**ყუთები განთავსებული არიან ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართზე:**

1. მეტროს სადგური „ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური „მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური „თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური „წერეთელი";
5. მეტროს სადგური „სამგორი II";
6. მეტროს სადგური „ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური „გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური „დელისი");
8. მეტროს სადგური „ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური „დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფშინის" I სართული.
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი „გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოგზავნოს ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ. 77 იურიდიული ოფისი "გაპი".

# უფასო იურიდიული კონსულტაცია

## "24 საათის" მკითხველისთვის

**თორნიკე ყუფარაძე**

ყველამ ვიცით, რომ საბჭოთა ხელისუფლების დროს აკრძალული იყო ორ ადგილას მუშაობა სამსახურში. გთხოვთ, ამიხსნათ, დღევანდელ კაპიტალისტურ წყობილებაში შეიძლება თუ არა ერთი ადამიანი მუშაობდეს ერთდროულად ორ სახელმწიფო-საბიუჯეტო სამსახურში?

ბატონო თორნიკე,

"საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის მე-60-64-ე მუხლების თანახმად:

**მუხლი 60. სამეწარმეო საქმიანობის შეზღუდვა**

მოსამსახურე არ უნდა იყოს სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტის მუდმივმოქმედი ხელმძღვანელი, საკონტროლო, სამეთვალყურეო და სარევიზიო ორგანოს წევრი.

**მუხლი 61. პარტიული საქმიანობის შეზღუდვა**

სახელმწიფო მოსამსახურეს არ აქვს უფლება თავისი სამსახურებრივი მდგომარეობა გამოიყენოს პარტიული საქმიანობისათვის.

**მუხლი 62. სამსახურებრივ ზედამხედველობასთან დაკავშირებული შეზღუდვა**

1. სახელმწიფო მოსამსახურე არ უნდა იღებდეს შემოსავალს იმ ორგანიზაციებიდან, რომლებსაც სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულების წესით უწევს ზედამხედველობას.

2. არ შეიძლება მოხელეს დაეკისროს სამსახურებრივი ზედამხედველობა იმ ორგანიზაციებისადმი, რომელთა ხელმძღვანელ ორგანოებში საქმიანობენ მისი ოჯახის წევრები.

**მუხლი 63. სამეწარმეო საქმიანობაში მონაწილეობა**

მოხელეს არ აქვს სამეწარმეო საქმიანობის უფლება. მას შეუძლია მხოლოდ ფლობდეს აქციებსა და წილს.

**მუხლი 64. სამსახურებრივი შეუთავსებლობა**

1. სახელმწიფო მოსამსახურეს უფლება არა აქვს ეკავოს სხვა თანამდებობა ან შეთავსებით ასრულებდეს სხვა ანაზღაურებად სამუშაოს სხვა სახელმწიფო

და ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებაში, იყოს ნებისმიერი დონის წარმომადგენლობითი ან საკანონმდებლო ორგანოს წევრი, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

2. სახელმწიფო მოსამსახურეს უფლება აქვს იმავდროულად ასრულებდეს სხვა ანაზღაურებად სამუშაოს საქართველოს კონსტიტუციითა და საკანონმდებლო აქტებით დადგენილი შეზღუდვების გათვალისწინებით.

3. სახელმწიფო მოსამსახურის მიერ შეთავსებით სხვა თანამდებობის დაკავება და ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულება დასაშვებია მხოლოდ იმავე სახელმწიფო დაწესებულების სისტემაში.

**ელზა მახარობლიძე**

1) კოოპერატიული ბინაში მაქვს ერთოთახიანი ბინა, რომელიც არ არის პრივატიზირებული, საჭიროა თუ არა პრივატიზაცია კოოპერატიული ბინის და თუ საჭიროა, როგორ უნდა მოვიქცე? 2) დედის ანდერძით მაქვს ბინა, ვარ ერთადერთი მემკვიდრე, ბინა არის პრივატიზირებული, რა არის საჭირო მისი რეგისტრაციისათვის?

ქალბატონო ელზა,

აღნიშნულ საკითხს არეგულირებს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 5 აგვისტოს N520-ე დადგენილება - "საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო, საზოგადოებრივი და საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების საბინაო ფონდის პრივატიზების დაჩქარების ღონისძიებათა შესახებ", რომლის თანახმად კოოპერატიული ბინის პრივატიზებისთვის საჭიროა, საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის მიერ რწმუნებით აღჭურვილ პასუხისმგებელ პირთან ხელშეკრულების გაფორმება და სანოტარო წესით დადასტურება, შემდეგ კი აღნიშნული წესით გაფორმებული ხელშეკრულების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში.

საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის პირველი ნაწილის "ნ" ქვეპუნქტის თანახმად:

მუხლი 168. გადასახადისაგან განთავისუფლება

1. საშემოსავლო გასახადით დაბეგვრისაგან თავისუფლდება ფიზიკურ პირთა შემოსავლების შემდეგი სახეები:

ნ) პრივატიზების წესით (უსასყიდლოდ), ასევე მიწისძვრითა და სხვა

სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულების მიერ დაზიანებული ბინების სანაცვლოდ იმავე დასახლებულ პუნქტში ან ეკომიგრანტების მიერ სხვა დასახლებულ პუნქტში უსასყიდლოდ მიღებული ბინების ღირებულება.

"სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ" კანონის 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად:

მუხლი 25. საზღაური სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის ხელშეკრულების დამოწმებისათვის

2. ბინის პრივატიზაციის ხელშეკრულების დამოწმებისათვის საზღაური ერთი ლარია.

"საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურის შესახებ" კანონის მე-6 მუხლის 1-ლი ნაწილის "ბ" და "გ" ქვეპუნქტების მიხედვით:

მუხლი 6. საფასურის განაკვეთები და მომსახურების ვადები

1. უძრავ ნივთზე უფლების პირველადი რეგისტრაციისათვის, რომელიც მოიცავს: საკადასტრო რუკების მომზადებას, სააღრიცხვო ბარათების შევსებას, სარეგისტრაციო მოწმობების ან/და ამონაწერის გაცემას, დაწესებულია საფასურის შემდეგი განაკვეთები და ვადები:

ბ) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეგისტრაცია -10 სამუშაო დღე - 36 ლარი;

გ) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეგისტრაციის დაჩქარებული მომსახურება - 1 სამუშაო დღე - 150 ლარი; 3 სამუშაო დღე - 108 ლარი; 5 სამუშაო დღე - 72 ლარი.

რაც შეეხება ანდერძით დატოვებულ ბინას, თქვენ დედათქვენის უკანასკნელი საცხოვრებელ ადგილას მყოფ ნოტარიუსთან უნდა შეიტანოთ განცხადება და მოითხოვოთ სამკვიდრო მოწმობის გაცემა,

სამკვიდრო მოწმობის გაცემის შემდეგ კი უნდა მოახდინოთ აღნიშნული ბინის რეგისტრირება თქვენს სახელზე საჯარო რეესტრში. სამოქალაქო კოდექსის შემდეგი მუხლების თანახმად:

**მუხლი 1324. სამკვიდროს გახსნის ადგილი**

1. სამკვიდროს გახსნის ადგილად ითვლება მამკვიდრებლის საცხოვრებელი ადგილი, ხოლო, თუ იგი ცნობილი არ არის, - სამკვიდროს ადგილსამყოფელი.

2. თუ სამკვიდრო სხვადასხვა ადგილას იმყოფება, მაშინ სამკვიდროს გახსნის ადგილად მიიჩნევა უძრავი ქონების ან მისი ფასეული ნაწილის ადგილსამყოფელი, ხოლო თუ უძრავი ქონება არ არის, მაშინ - მოძრავი ქონების ან მისი ძირითადი ნაწილის ადგილსამყოფელი.

მუხლი 1421. სამკვიდროს მიღება

1. სამკვიდროს იღებს მემკვიდრე, იქნება იგი კანონით თუ ანდერძით მემკვიდრე.

2. მემკვიდრის მიერ სამკვიდრო მიღებულად ითვლება, როდესაც იგი სამკვიდროს გახსნის ადგილის სანოტარო ორგანოში შეიტანს განცხადებას სამკვიდროს მიღების შესახებ ან ფაქტობრივად შეუდგება სამკვიდროს ფლობას ან მართვას, რაც უდავოდ მოწმობს, რომ მან სამკვიდრო მიიღო.

3. თუ მემკვიდრე ფაქტობრივად შეუდგა სამკვიდროს ნაწილის ფლობას, ითვლება, რომ მან მთლიანად მიიღო სამკვიდრო, რაშიც უნდა გამოიხატებოდეს და სადაც უნდა იყოს იგი.

4. თუ ერთ-ერთი მემკვიდრე სამკვიდროდან წილის მიღებაზე უარს იტყვის სხვა მემკვიდრის სასარგებლოდ, ასეთი მოქმედება ჩაითვლება სამკვიდროს მიღებად.

**მუხლი 1424. სამკვიდროს მიღების ვადა**

სამკვიდრო მიღებულ უნდა იქნეს ექვსი თვის განმავლობაში სამკვიდროს გახსნის დღიდან.

**ქეთევან ვანიშვილი**

სოფელში ბინა არის გაფორმებული გარდაცვლილი დედის სახელზე. ვართ ორი შვილი (და-ძმა) პირდაპირი მემკვიდრეები. ძმა წასულია საზღვარგარეთ სამუშაოდ. აქვს თუ არა ძმის მეუღლეს ბინის გაყიდვის უფლება ქმრისა და მულის თანხმობის გარეშე?

ქალბატონო ქეთევან,

აღნიშნული ბინის განკარგვის უფლება აქვთ მხოლოდ მემკვიდრეებს, ისიც მაშინ, როდესაც მემკვიდრეები აიღებენ ნოტარიუსთან სამკვიდრო მოწმობას და დარეგისტრირდებიან საჯარო რეესტრში მესაკუთრეებად. ძმის მეუღლეს არანაირი უფლება არ აქვს განკარგოს სხვის სახელზე რეგისტრირებული ბინა. სამოქალაქო კოდექსის შემდეგი მუხლების თანახმად:

მუხლი 1421. სამკვიდროს მიღება

1. სამკვიდროს იღებს მემკვიდრე, იქნება იგი კანონით თუ ანდერძით მემკვიდრე.

2. მემკვიდრის მიერ სამკვიდრო მიღებულად ითვლება, როდესაც იგი სამკვიდროს გახსნის ადგილის სანოტარო ორგანოში შეიტანს განცხადებას სამკვიდროს მიღების შესახებ ან ფაქტობრივად შეუდგება სამკვიდროს ფლობას ან მართვას, რაც უდავოდ მოწმობს, რომ მან სამკვიდრო მიიღო.

3. თუ მემკვიდრე ფაქტობრივად შეუდგა სამკვიდროს ნაწილის ფლობას, ითვლება, რომ მან მთლიანად მიიღო სამკვიდრო, რაშიც უნდა გამოიხატებოდეს და სადაც უნდა იყოს იგი.

4. თუ ერთ-ერთი მემკვიდრე სამკვიდროდან წილის მიღებაზე უარს იტყვის სხვა მემკვიდრის სასარგებლოდ, ასეთი მოქმედება ჩაითვლება სამკვიდროს მიღებად.

**მუხლი 1424. სამკვიდროს მიღების ვადა**

სამკვიდრო მიღებულ უნდა იქნეს ექვსი თვის განმავლობაში სამკვიდროს გახსნის დღიდან.

**მუხლი 1427. სამკვიდროს განკარგვის დაუშვებლობა**

მემკვიდრეს, რომელიც სხვა მემკვიდრეების გამოცხადებას არ დაელოდება და სამკვიდროს ფლობას ან მართვას შეუდგება, უფლება არა აქვს განკარგოს სამკვიდრო, სამკვიდროს გახსნის დღიდან ექვსი თვის გასვლამდე ან სამკვიდრო მოწმობის მიღებამდე, გარდა ხარჯებისა მამკვიდრებლის მოვლისა და მკურნალობისათვის მისი ავადმყოფობის დროს და დაკრძალვისათვის, მამკვიდრებლის რჩენაზე მყოფი პირების შენახვისათვის, ხელფასის გასტუმრებისათვის და სამკვიდროს დაცვისა და მართვისათვის.

**გიორგი**

ვარ გაზის, წყლის, ელექტროენერგიის და სხვა კომუნალური გადასახადების კეთილსინდისიერი და სისტემატური გადამხდელი. ვხედავ ირგვლივ, რომ არიან ისეთი "აბონენტებიც", რომლებიც წლების მანძილზე აგროვებენ გადასადების ვალს (ამ დროს რალაც მაქინაციებით მაინც ახერხებენ, რომ მუდმივად შეინარჩუნონ კომფორტი) და ამასობაში სახელმწიფო 2-3 წელიწადში ერთხელ მაინც უშვებს ამნისტიას ამ ვალების ჩამოსაწერად, რადგანაც ეს მოქმედება უკვე სისტემატურ ხასიათს იღებს, ამიტომ გამიჩნდა აზრი - "რატომ უნდა გადავიხადო ყოველთვის"? გეკითხებით, არღვევს თუ არა სახელმწიფო მოქალაქის უფლებებს იმასთან დაკავშირებით, რომ გადასახადების მიმართ ყველა თანაბარი უნდა იყოს? მითუმეტეს, რომ გადამხდელს კისერზე აწევს ის დამალული თანხები, რომლებიც არაგადამხდელების სინდისზეა ჯერჯერობით და რატომ უნდა დავისაჯო, თუ სახელმწიფოს მხრიდან აქვს ადგილი დარღვევას, მეც დარღვევით ვუპასუხებ? ახლა ხმები დადის, რომ მომავალი წლიდან წყლის გადასახადების ვალებს ჩამოაწერს სახელმწიფო, ე.ი. ვინც აქამდე იხდიდა, სულელი ყოფილა...

ბატონო გიორგი,

აღნიშნული მომსახურების გამწევი საწარმოები ჩამოყალიბებულნი არიან კერძო სამართლის იურიდიული პირების სახით, შესაბამისად მათი გადასაწყვეტია თუ როგორ უნდა მოექცნენ ურჩ გადამხდელებს, აპატიონ ვალები, თუ მოსთხოვონ ვალები სამართლებრივი გზით. ასევე სახელმწიფოს ნებაზეა დამოკიდებული, თუ რომელი კატეგორიის პირებს აპატიებს ამა თუ იმ ვალს ან გადაიხდის მათ მაგივრად. აღნიშნული ქმედებით არ ირღვევა მოქალაქეთა უფლებები, რადგან კერძო საწარმოები თუ სახელმწიფო მოქმედებენ კანონმდებლობით გათვალისწინებილი ნორმების ფარგლებში, მაგალითად სამოქალაქო კოდექსის შემდეგი მუხლების თანახმად:

**მუხლი 8. კერძო სამართლის სუბიექტები**

1. კერძოსამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი. ეს წესი გამოიყენება როგორც სამეწარმეო, ასევე არასამეწარმეო, საქართველოსა თუ სხვა ქვეყნის პირების მიმართ.

2. სახელმწიფო ორგანოებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების კერძოსამართლებრივი ურთიერთობები სხვა პირებთან ასევე წესრიგდება სამოქალაქო კანონებით, თუკი ეს ურთიერთობები, სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, არ უნდა მოწესრიგდეს საჯარო სამართლით.

3. სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებულნი არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობანი.

**მუხლი 427. ვალდებულების შეწყვეტა კრედიტორის სასარგებლოდ შესრულებით**

ვალდებულებითი ურთიერთობა წყდება კრედიტორის სასარგებლოდ ვალდებულების შესრულებით (შესრულება).

**მუხლი 448. ცნება**

ვალის პატიება მხარეთა შორის შეთანხმებით იწვევს ვალდებულების შეწყვეტას.

**ზიმლარ ბერიძე**

2005 წლის 4 ივნისის პრეზიდენტის N455 ბრძანებით მოქალაქე ვალენტინა საფონოვას დაბადებულს 1934 წელს რუსეთის ფედერაციის ბრიანსკის ოლქში, მცხოვრებს ქ.ბათუმში, საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების საფუძველზე მიენიჭა საქართველოს მოქალაქეობა. გთხოვთ, გაგვიმარტოთ, აქვს თუ არა მოქალაქე ვალენტინა საფონოვას უფლება, ღებულობდეს ორივე სახელმწიფოს პენსიას?

პატივცემულო ზიმლარ,

საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად:

**მუხლი 12**

2. საქართველოს მოქალაქე იმავდროულად არ შეიძლება იყოს სხვა

სახელმწიფოს მოქალაქე, გარდა ამ პუნქტით დადგენილი გამონაკლისი შემთხვევისა. საქართველოს პრეზიდენტის მიერ საქართველოს მოქალაქეობა შეიძლება მიენიჭოს უცხო ქვეყნის მოქალაქეს, რომელსაც საქართველოს წინაშე აქვს განსაკუთრებული დამსახურება ან მისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება გამომდინარეობს სახელმწიფო ინტერესებიდან.

ასევე "სახელმწიფო პენსიის შესახებ" კანონის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად:

მუხლი 1. კანონის რეგულირების სფერო და საგანი

2. ეს კანონი ვრცელდება:

ა) საქართველოს ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებზე;

ბ) პენსიის დანიშვნის თაობაზე განცხადების შეტანის მომენტისათვის ბოლო 10 წლის განმავლობაში საქართველოს ტერიტორიაზე კანონიერ საფუძველზე მუდმივად მცხოვრებ უცხო ქვეყნის მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებზე.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტში მითითებულ პირებს აქვთ საქართველოს მოქალაქეების თანაბარი უფლებები, თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

ამრიგად, მითითებული კონსტიტუციის მუხლის თანახმად, ორმაგი მოქალაქეობა პირს ეძლევა მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში, ხოლო სხვა დანარჩენი პირები არ შეიძლება, იყვნენ ორმაგი მოქალაქეობის მქონენი. ხოლო თუ აღნიშნულ პიროვნებას მოქალაქეობა მიენიჭა მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის მეორე წინადადების საფუძველზე, მაშინ თქვენ საკითხის გასარკვევად უნდა მიმართოთ სახელმწიფო პენსიის გამცემ ორგანოს, რადგან "სახელმწიფო პენსიის შესახებ" კანონი არ არეგგულრებს მითითებულ საკითხს.

**ნათელა ბარამიძე**

ვარ დაბადებული 1950 წელს. ვცხოვრობ ურეკში დედასთან და ძმასთან (დაუოჯახებელია) ერთად. ვარ მესამე ჯგუფის ინვალიდი, მაქვს სხივური ტრამვა - სხივური ჰიპერტონიული ენცეფალიტი და ა.შ. დედა პენსიონერია, დაავადებულია შაქრიანი დიაბეტით და ჰიპერტონიული დაავადებით, არის დავარდნილი, ვუვლი მე, რადგან გაუთხოვარი ვარ. ჩვენი ოჯახის შემოსავალი არ ყოფნის ჩემი და დედაჩემის წამლების თანხას. მაინტერესებს: 1) მეკუთვნის თუ არა შეღავათი ელ.ენერგიის მომსახურების გადახდაზე, როცა ერთ ჭერქვეშ ორივე და-ძმას გვახდევინებენ 10-10 ლარს, თუ არ გვეკუთვნის, ვინ შედის ამ კატეგორიაში? 2) მეკუთვნის თუ არა მიწის ნაკვეთი და რამდენი ჰექტარი უნდა იყოს იგი, აუცილებელია თუ არა, მასზე იყოს პატარა შენობა? 3) მეკუთვნის თუ არა მარტოხელობის დახმარებები და სახელდობრ რა შეღავათები და დახმარებები მეკუთვნის?

ქალბატონო ნათელა,

საქართველოს პარლამენტის 1996 წლის 22 მარტის "სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ" კანონის ამოქმედების თაობაზე" დადგენილების მეორე ნაწილის თანახმად:

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

2. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 18 იანვრის №48, 1992 წლის 6 თებრვლის №128, 10 მარტის №290, 1992 წლის 22 სექტემბრის №949, 1993 წლის 16 იანვრის №39, 1993 წლის 24 თებევლის №148, 1993 წლის 28 ივნისის №503, 1994 წლის 29 ნოემბრის №815, 1995 წლის 10 მარტის №129 დადგენილებების, საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1994 წლის 30 დეკემბრის №249 განკარგულების, 1995 წლის 22 თებერვლის №45 ბრძანებულების, საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 11 თებერვლის №166 ბრძანებულების მოთხოვნების შესაბამისად საქართველოს მოქალაქეთა კომლებისათვის, ოჯახებისათვის გაცემული მიწის ნაკვეთები, აგრეთვე 1992 წლამდე მათ კანონიერ სარგებლობაში არსებული საბაღე, საბოსტნე, სააგარაკო, სამოსახლო, საკარმიდამო ნაკვეთები ცხადდება მათ კერძო საკუთრებად და მათ მიმართ შესაბამისად გამოიყენება კანონი "სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ".

ასევე 1997 წლის 26 ივნისის სამოქალაქო კოდექსის 1513-ე მუხლის მიხედვით:

**მუხლი 1513. საკუთრება საკარმიდამო მიწის ნაკვეთებზე**

ფიზიკურ პირთა კანონიერ სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთები, რომლებზედაც ინდივიდუალური სახლებია განლაგებული, სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებიდან ითვლება ამ პირთა საკუთრებად და მათზე ვრცელდება სამოქალაქო კოდექსით უძრავი ნივთებისათვის გათვალისწინებული წესები.

ამრიგად, თუ თქვენ აკმაყოფილებთ ამ ნორმების მოთხოვნებს, ჩაითვლებით თქვენი ოჯახის (კომლის) მიწის ნაკვეთის თანამესაკუთრედ, ხოლო თუ ცალკე ფლობდით ოჯახისაგან დამოუკიდებლად მიწის ნაკვეთს, ჩაითვლებით ამ მიწის ნაკვეთის მესაკუთრედ. მხოლოდ მითითებული ნორმების საფუძველზე მოხდა უფასოდ მიწის ნაკვეთების გადაცემა ფიზიკური პირებისათვის, სხვა მხრივ თქვენ უფლება გაქვთ, ჩვეულებრივ ნასყიდობის ხელშეკრულების დადებით შეიძინოთ მიწის ნაკვეთი და თქვენ საკუთრებაში მყოფ მიწის ნაკვეთზე ააშენოთ რაიმე ნაგებობა ან არ ააშენოთ, ეს თქვენ ნებაზეა დამოკიდებული.

2006 წლის "სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" კანონის თანახმად დახმარებები გათვალისწინებულია შემდეგი პირებისათვის:

განისაზღვროს 2006 წლის 1 იანვრიდან 2006 წლის 1 ივნისამდე უმწეო მდგომარეობაში მყოფ ოჯახთა

(მათ შორის დევნილთა ოჯახების) კატეგორიები და მათზე ყოველთვიურად გასაცემი თანხის ოდენობა:

ა) მარტოხელა, არამომუშავე პენსიონერთა ერთსულიანი ოჯახები - 22 ლარით, ხოლო არამომუშავე

პენსიონერთა ორ და მეტსულიანი ოჯახები - 35 ლარით;

ბ) დედ-მამით ობოლი ბავშვები მეურვის შრომისუნარიანობის მიუხედავად, ერთ პირზე - 22 ლარით;

გ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, არამომუშავე, პირველი ჯგუფის უსინათლოები, ერთ პირზე -

22 ლარით;

დ) 18 წლამდე ასაკის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები, ერთ პირზე - 22 ლარით;

ე) მრავალშვილიანი ოჯახები, რომელთაც ჰყავთ 7 და მეტი, 18 წლამდე ასაკის ბავშვი - 35 ლარით.

2006 წლის 1 ივნისიდან აღნიშნულ პროგრამას ჩაენაცვლოს სოციალური დახმარების ახალი პროგრამა.

პროგრამის განხორციელების ძირითად პრინციპებს, ღონისძიებათა დაფინანსებისა და ანგარიშსწორების წესს განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა.

სხვა დამატებითი ინფორმაციის მოპოვება შეგიძლიათ შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოებისათვის მიმართვით, რომლებიც ვალდებულნი არიან, გაგცეთ პასუხი თქვენს მიერ დასმული საკითხების ირგვლივ.

# საქართველოს ფინანსთა სამინისტრო აცხადებს ღია ტენდერს საქონლის შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს

**შესყიდვის ობიექტი - ავტოტრანსპორტის ტექნიკური მომსახურება**
**დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი**
**განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ**

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო აცხადებს ღია ტენდერს სამინისტროს ბალანსზე რიცხული ავტოტრანსპორტის ტექნიკური მომსახურების შესყიდვაზე.

სამინისტროს ავტოპარკი შეადგენს 296 ავტომობილს (182 ერთეული რუსეთის და 114 - უცხოური წარმოების). მომსახურება უნდა განხორციელდეს ქალაქ თბილისში, 2006 წლის თებერვლიდან 2006 წლის ბოლომდე.

ტენდერის შედეგად გამოვლენილი იქნება ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატის შემდეგ მისამართზე: 0162, საქართველო, თბილისი, ირაკლი აბაშიძის N70 საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, ტელ: 22-69-07.

შესყიდვაში მონაწილეობის მსურველებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია სატენდერო კომისიის აპარატში, აგრეთვე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას მოსაკრებლის გადახდამდეც.

სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა ტენდერში მონაწილეობის მსურველის მიერ გადახდილი სატენდერო მოსაკრებელის 200 (ორასი) ლარის ოდენობის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ **2006 წლის 8 თებერვლის 17 საათამდე.** შემდეგ მისამართზე: 0162, საქართველო, თბილისი, ირაკლი აბაშიძის N70 საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო

სატენდერო მოსაკრებელი გადახდილი უნდა იქნეს შემდეგ რეკვიზიტებზე:

მიმღები - ზახინის ერთიანი ანგარიში

ანგ. N200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი 220101107

გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, ავტოტექმომსახურება, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

პრეტენდენტებმა ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ **2006 წლის 9 თებერვლის 10 საათიდან 2006 წლის 9 თებერვლის 14 საათამდე,** ზემოაღნიშნულ მისამართზე

პრეტენდენტმა სატენდერო წინადადებასთან ერთად, დახურულ კონვერტში უნდა წარმოადგინოს შემდეგი საკვალიფიკაციო მონაცემები.

**იურიდიულ პირთათვის:**
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
- ცნობას, რომ მის ქონებაზე არის დადებული ყადაღა. (ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);
- ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება (ცნობა სასამართლოდან);
- ცნობას, რომ მის მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან);

**ფიზიკურ პირთათვის:**
- ცნობას, მისი ქმედუნარიანობის შესახებ. (ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან);
- ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის (ცნობა სასამართლოდან);

**როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირთათვის:**
- სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს პრეტენდენტის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს.
- ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველის ფინანსური მდგომარეობის შესახებ (უნდა იყოს წარმოდგენილი აუდიტის დასკვნა);
- ცნობა მასზედ, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (საგადასახადო ინსპექციიდან);
- ინფორმაცია უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში განხორციელებული ანალოგიური მიწოდების შესახებ;

**შენიშვნა:** არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოებიდან ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის სახით.

ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მოთხოვნები ასევე ეხება სუბკონტრაქტორებს მომსახურების გაწევის პროცესში მათი მონაწილეობის შემთხვევაში.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ სატენდერო აპარატს ზემოთაღნიშნულ მისამართზე და ტელეფონზე 22-69-07

*სატენდერო კომისია*

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო აცხადებს ღია ტენდერს სამინისტროს ბალანსზე რიცხული შენობების და მიმდებარე ტერიტორიის მოვლა-დასუფთავების მომსახურების შესყიდვაზე.

ფინანსთა სამინისრტოს ადმინისტრაციული შენობა და მიმდებარე ტერიტორია - თბილისი, ი. აბაშიძის N70

აქციზის გადამხდელთა ინსპექციის შენობა და მიმდებარე ტერიტორია - თბილისი, ც. დადიანის N30,

ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის შენობა და მიმდებარე ტერიტორია - თბილისი, ბაღდათის ქ. N8,

ფინანსური პოლიციის შენობა და მიმდებარე ტერიტორია - თბილისი, უნივერსიტეტის ქ. N2,

საპატრულო პოლიციის შენობაში არსებული საბაჟო-საგადასახადო ინსპექციის ოფისი და მიმდებარე ტერიტორია.

მომსახურება უნდა განხორციელდეს ყოველდღიურად, 2005 წლის აპრილიდან 2005 წლის ბოლომდე.

ტენდერის შედეგად გამოვლენილი იქნება ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატის შემდეგ მისამართზე: 0162, საქართველო, თბილისი, ირაკლი აბაშიძის N70 საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, ტელ: 23-51-17.

შესყიდვაში მონაწილეობის მსურველებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია სატენდერო კომისიის აპარატში, აგრეთვე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას მოსაკრებლის გადახდამდეც.

სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა ტენდერში მონაწილეობის მსურველის მიერ გადახდილი სატენდერო მოსაკრებელის 200 (ორასი) ლარის ოდენობის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ **2006 წლის 8 თებერვლის 17 საათამდე.** შემდეგ მისამართზე: 0162, საქართველო, თბილისი, ირაკლი აბაშიძის N70 საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო

სატენდერო მოსაკრებელი გადახდილი უნდა იქნეს შემდეგ რეკვიზიტებზე:

მიმღები - ზახინის ერთიანი ანგარიში

ანგ. N200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი 220101107

გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, შენობათა მოვლა-დასუფთავება, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

პრეტენდენტებმა ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ **2006 წლის 9 თებერვლის 10 საათიდან 2006 წლის 9 თებერვლის 15 საათამდე,** ზემოაღნიშნულ მისამართზე

პრეტენდენტმა სატენდერო წინადადებასთან ერთად, დახურულ კონვერტში უნდა წარმოადგინოს შემდეგი საკვალიფიკაციო მონაცემები.

**იურიდიულ პირთათვის:**
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
- ცნობას, რომ მის ქონებაზე არის დადებული ყადაღა. (ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);
- ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება (ცნობა სასამართლოდან);
- ცნობას, რომ მის მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან);

**ფიზიკურ პირთათვის:**
- ცნობას, მისი ქმედუნარიანობის შესახებ. (ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან);
- ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის (ცნობა სასამართლოდან);

**როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირთათვის:**
- სატენდერო წინადადება ასევე შეიცავდეს პრეტენდენტის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს.
- ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველის ფინანსური მდგომარეობის შესახებ (უნდა იყოს წარმოდგენილი აუდიტის დასკვნა);
- ცნობა მასზედ, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (საგადასახადო ინსპექციიდან);
- ინფორმაცია უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში განხორციელებული ანალოგიური მიწოდების შესახებ;

***შენიშვნა:*** არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოებიდან ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის სახით.

ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მოთხოვნები ასევე ეხება სუბკონტრაქტორებს მომსახურების გაწევის პროცესში მათი მონაწილეობის შემთხვევაში.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ სატენდერო აპარატს ზემოთაღნიშნულ მისამართზე და ტელეფონზე 22-69-07

*სატენდერო კომისია*

# საქართველოს ფინანსთა სამინისტრო აცხადებს ღია ტენდერს მომსახურების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს

**შესყიდვის ობიექტი - მოწყობილობათა მიმდინარე შეკეთება**
**დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი**

| ლოტი N | დასახელება |
|---|---|
| 1 | კომპიუტერული ტექნიკის შეკეთება |
| 2 | კარტრიჯის დატენვა-აღდგენა |
| 3 | ასლგადამღები ტექნიკის შეკეთება, დატენვა |
| 4 | კონდეციონერების შეკეთება |
| 5 | ფაქსის აპარატების შეკეთება |

მომსახურება უნდა განხორციელდეს 2006 წლის თებერვლიდან 2006 წლის ბოლომდე.

ტენდერის შედეგად გამოვლენილი იქნება ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატის შემდეგ მისამართზე: 0162, საქართველო, თბილისი, ირაკლი აბაშიძის N70 საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, ტელ: 22-69-07.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატის შემდეგ მისამართზე: 0162, საქართველო, თბილისი, ირაკლი აბაშიძის N70 საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, ტელ: 22-69-07.

შესყიდვაში მონაწილეობის მსურველებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია სატენდერო კომისიის აპარატში, აგრეთვე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას მოსაკრებლის გადახდამდეც.

სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა ტენდერში მონაწილეობის მსურველის მიერ გადახდილი სატენდერო მოსაკრებელის 200 (ორასი) ლარის ოდენობის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ **2006 წლის 8 თებერვლის 17 საათამდე.** შემდეგ მისამართზე: 0162, საქართველო, თბილისი, ირაკლი აბაშიძის N70 საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო

სატენდერო მოსაკრებელი გადახდილი უნდა იქნეს შემდეგ რეკვიზიტებზე:

მიმღები - ზახინის ერთიანი ანგარიში

ანგ. N200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი 220101107

გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, მოწყობილობათა მიმდინარე შეკეთება, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

პრეტენდენტებმა ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ **2006 წლის 9 თებერვლის 10 საათიდან 2006 წლის 9 თებერვლის 13 საათამდე,** ზემოაღნიშნულ მისამართზე

პრეტენდენტმა სატენდერო წინადადებასთან ერთად, დახურულ კონვერტში უნდა წარმოადგინოს შემდეგი საკვალიფიკაციო მონაცემები.

**იურიდიულ პირთათვის:**
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
- ცნობას, რომ მის ქონებაზე არის დადებული ყადაღა. (ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);
- ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება (ცნობა სასამართლოდან);
- ცნობას, რომ მის მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან);

**ფიზიკურ პირთათვის:**
- ცნობას, მისი ქმედუნარიანობის შესახებ. (ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან);
- ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის (ცნობა სასამართლოდან);

**როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირთათვის:**
- სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს პრეტენდენტის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს.
- ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველის ფინანსური მდგომარეობის შესახებ (უნდა იყოს წარმოდგენილი აუდიტის დასკვნა);
- ცნობა მასზედ, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (საგადასახადო ინსპექციიდან);
- ინფორმაცია უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში განხორციელებული ანალოგიური მიწოდების შესახებ;

***შენიშვნა:** არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოებიდან ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის სახით.*

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ სატენდერო აპარატს ზემოთაღნიშნულ მისამართზე და ტელეფონზე 22-69-07

*სატენდერო კომისია*

# საქართველოს ფინანსთა სამინისტრო აცხადებს ღია ტენდერს საქონლის შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს

**შესყიდვის ობიექტი - საავტომობილო საწვავი**
**დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი**

| N | დასახელება | განზ. | რაოდენობა |
|---|---|---|---|
| 1 | ბენზინი "რეგულარი" | ლიტრი | 1 336 710,00 |
| 2 | ბენზინი "პრემიუმი" | ლიტრი | 673 830,00 |
| 3 | ბენზინი "სუპერი" | ლიტრი | 13 000,00 |
| 4 | დიზელის საწვავი "ლ-62" | ლიტრი | 239 650,00 |

საწვავი უნდა მიეწოდოდ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და მის საქვეუწყებო ორგანიზაციებს ქ. თბილისში და საქართველოს სხვა რეგიონებში ყოველდღიურად გასამართი სადგურების მეშვეობით, 2006 წლის თებერვლიდან 2006 წლის ბოლომდე.

აუცილებელია საწვავის გაცემის ტალონური სისტემის უზრუნველყოფა. დაწვრილებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ სატენდერო აპარატს ქვემოთ მითითებულ მისამართზე.

შესყიდვაში მონაწილეობის მსურველებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია სატენდერო კომისიის აპარატში, აგრეთვე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას მოსაკრებლის გადახდამდეც.

სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა ტენდერში მონაწილეობის მსურველის მიერ გადახდილი სატენდერო მოსაკრებელის 200 (ორასი) ლარის ოდენობის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ **2006 წლის 8 თებერვლის 17 საათამდე.** შემდეგ მისამართზე: 0162, საქართველო, თბილისი, ირაკლი აბაშიძის N70 საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო

სატენდერო მოსაკრებელი გადახდილი უნდა იქნეს შემდეგ რეკვიზიტებზე:

მიმღები - ზახინის ერთიანი ანგარიში

ანგ. N200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი 220101107

გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, საავტომობილო საწვავი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

პრეტენდენტებმა ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ **2006 წლის 9 თებერვლის 10 საათიდან 2006 წლის 9 თებერვლის 16 საათამდე,** ზემოაღნიშნულ მისამართზე

პრეტენდენტმა სატენდერო წინადადებასთან ერთად, დახურულ კონვერტში უნდა წარმოადგინოს შემდეგი საკვალიფიკაციო მონაცემები.

**იურიდიულ პირთათვის:**
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
- ცნობას, რომ მის ქონებაზე არის დადებული ყადაღა. (ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);
- ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება (ცნობა სასამართლოდან);
- ცნობას, რომ მის მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან);

**ფიზიკურ პირთათვის:**
- ცნობას, მისი ქმედუნარიანობის შესახებ. (ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან);
- ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის (ცნობა სასამართლოდან);

**როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირთათვის:**
- სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს პრეტენდენტის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს.
- ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველის ფინანსური მდგომარეობის შესახებ (უნდა იყოს წარმოდგენილი აუდიტის დასკვნა);
- ცნობა მასზედ, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (საგადასახადო ინსპექციიდან);
- ინფორმაცია უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში განხორციელებული ანალოგიური მიწოდების შესახებ;

**შენიშვნა:** არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოებიდან ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის სახით.

ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მოთხოვნები ასევე ეხება სუბკონტრაქტორებს საქონლის მიწოდების პროცესში მათი მონაწილეობის შემთხვევაში.

ტენდერში გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების გარანტირების მექანიზმი ხელშეკრულების ღირებულების 2%-ის ოდენობით.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ სატენდერო აპარატს ზემოთაღნიშნულ მისამართზე და ტელეფონზე 22-69-07

*სატენდერო კომისია*

# საქართველოს ფინანსთა სამინისტრო აცხადებს ღია ტენდერს სამშენებლო სამუშაოების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს

**დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი**

ლოტი N1 კახეთის რეგიონალური ხაზინის შენობის რემონტი (თელავი ერეკლე II-ს N16)

ლოტი N2 აქციზის გადამხდელთა ინსპექციის შენობის მარჯვენა ფლიგელის ოთხივე სართულისა და მარცხენა ფლიგელის მეოთხე სართულის რემონტი (თბილისი, დადიანის N30)

ლოტი N3 ბათუმის საგადასახადო ინსპექციისა და საბაჟო დასავლეთის შენობის რემონტი (ბათუმი, ფიროსმანის N5)

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატის შემდეგ მისამართზე: 0162, საქართველო, თბილისი, ირაკლი აბაშიძის N70 საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, ტელ: 22-69-07..

სამშენებლო სამუშაოები უნდა დასრულდეს 2006 წლის განმავლობაში.

ტენდერის შედეგად გამოვლენილი იქნება ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატის შემდეგ მისამართზე: 0162, საქართველო, თბილისი, ირაკლი აბაშიძის N70 საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, ტელ: 23-51-17.

შესყიდვაში მონაწილეობის მსურველებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია სატენდერო კომისიის აპარატში, აგრეთვე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას მოსაკრებლის გადახდამდეც.

სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა ტენდერში მონაწილეობის მსურველის მიერ გადახდილი სატენდერო მოსაკრებელის 200 (ორასი) ლარის ოდენობის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ **2006 წლის 8 თებერვლის 17 საათამდე.** შემდეგ მისამართზე: 0162, საქართველო, თბილისი, ირაკლი აბაშიძის N70 საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო

სატენდერო მოსაკრებელი გადახდილი უნდა იქნეს შემდეგ რეკვიზიტებზე:

მიმღები - ზახინის ერთიანი ანგარიში

ანგ. N200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი 220101107

გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, სამშენებლო სამუშაოები, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

პრეტენდენტებმა ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ **2006 წლის 9 თებერვლის 10 საათიდან 2006 წლის 10 თებერვლის 13 საათამდე,** ზემოაღნიშნულ მისამართზე

პრეტენდენტმა სატენდერო წინადადებასთან ერთად, დახურულ კონვერტში უნდა წარმოადგინოს შემდეგი საკვალიფიკაციო მონაცემები.

**იურიდიულ პირთათვის:**
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
- ცნობას, რომ მის ქონებაზე არის დადებული ყადაღა. (ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);
- ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება (ცნობა სასამართლოდან);
- ცნობას, რომ მის მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან);

**ფიზიკურ პირთათვის:**
- ცნობას, მისი ქმედუნარიანობის შესახებ. (ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან);
- ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის (ცნობა სასამართლოდან);

**როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირთათვის:**
- სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს პრეტენდენტის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს.
- ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველის ფინანსური მდგომარეობის შესახებ (უნდა იყოს წარმოდგენილი აუდიტის დასკვნა);
- ცნობა მასზედ, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (საგადასახადო ინსპექციიდან);
- ინფორმაცია უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში განხორციელებული ანალოგიური მიწოდების შესახებ;
- ინფორმაცია სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო ძირითადი მანქანა-მექანიზმები, სატრანსპორტო საშუალებები და მოწყობილობა-დანადგარების შესახებ ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად

| N | მოწყობილობა-მექანიზმების დასახელება | აღწერილობა, მოდელი, ტიპი, მარკა და ასაკი | რაოდენობა | მდგომარეობა (ახალი, ნახმარი, მოძველებული) | საკუთარი, იჯარით აღებული (ვისგან), შეძენილ იქნება (ვისგან) |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | | | | | |
| 2. | | | | | |
| 3. | | | | | |
| . | | | | | |
| . | | | | | |

**შენიშვნა:** არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოებიდან ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის სახით.

ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მოთხოვნები ასევე ეხება სუბკონტრაქტორებს მომსახურების გაწევის პროცესში მათი მონაწილეობის შემთხვევაში.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ სატენდერო აპარატს ზემოთაღნიშნულ მისამართზე და ტელეფონზე 22-69-07

*სატენდერო კომისია*

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა
# ქალაქ თბილისის მთავრობის რეგლამენტის დამტკიცების შესახებ

**"ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლისა და "საქართველოს დედაქალაქის-ქალაქ თბილისის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის N120 ბრძანებულების 30-ე მუხლის შესაბამისად**

**ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს ქ. თბილისის მთავრობის თანდართული რეგლამენტი.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს "ქ. თბილისის მთავრობის რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მერის 1999 წლის 4 ივნისის N32 ბრძანება
3. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**ქ. თბილისის მერი** **გ. უგულავა**



## ქალაქ თბილისის მთავრობის რ ე გ ლ ა მ ე ნ ტ ი

## თავი I
## ზოგადი დებულებანი

**მუხლი 1. ქ. თბილისის მთავრობა**

1. ქალაქ თბილისის მთავრობა არის მერიის ცენტრალური კოლეგიალური ორგანო, რომელიც "საქართველოს დედაქალაქის-თბილისის შესახებ" საქართველოს კანონით, "საქართველოს დედაქალაქის-ქალაქ თბილისის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის N120 ბრძანებულებისა და სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს თბილისის მიერ დედაქალაქის ფუნქციების განხორციელებას, საკრებულოს გადაწყვეტილებათა აღსრულებას და თბილისის, როგორც ერთიანი ტერიტორიული ერთეულის, მართვას.

2. მთავრობას ხელმძღვანელობს პრემიერი, იგი განსაზღვრავს მთავრობის საქმიანობის მიმართულებებს და ორგანიზებას უწევს მის მუშაობას, ახორციელებს მთავრობის წევრთა საქმიანობის კორდინაციასა და კონტროლს, მთავრობის საქმიანობისათვის პასუხიმგებელია საქართველოს პრეზიდენტის, ქ. თბილისის საკრებულოსა და მერის წინაშე.

3. პრემიერის მოვალეობას მისი არყოფნისას, აგრეთვე პრემიერის ცალკეულ დავალებებს ასრულებს ვიცე-პრემიერი.

2 ქ. თბილისის მთავრობის მუშაობის დაგეგმვას, მერის, პრემიერის, მთავრობის, საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელის სამართლებრივი აქტების მომზადების, გაფორმებისა და გამოცემის, ქალაქ თბილისის მთავრობის სხდომების, მერისა და პრემიერის თათბირების მომზადებისა და ჩატარების, ქ. თბილისის (საქალაქო, რაიონული და დაბა წყნეთის) სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამისა და ბიუჯეტის პროექტების, მათი შესრულების ანგარიშების შედგენისა და საკრებულოსათვის დასამტკიცებლად წარდგენის, ქ. თბილისისა და ქ. თბილისის მთავრობის სახელით შეთანხმებათა და ხელშეკრულებათა პროექტების მომზადების ორგანიზაციას, დადების წესს, პროცედურასა და ვადებს განსაზღვრავს ქ. თბილისის მთავრობის რეგლამენტი (შემდგომში-რეგლამენტი).

## თავი II.
## ქ. თბილისის მთავრობის მუშაობის დაგეგმვა და საერთო ორგანიზაცია

**მუხლი 2. მთავრობის სამუშაო გეგმა**

ქ. თბილისის მთავრობა თავის საქმიანობას წარმართავს სამუშაო გეგმის საფუძველზე, რომელსაც შეიმუშავებს ქ. თბილისის მერიის აპარატი (შემდგომში-აპარატი) მერისა და პრემიერის მითითებების საფუძველზე. გამონაკლის შემთხვევაში საკითხი შეიძლება მთავრობის სხდომაზე დამატებით გატანილ იქნეს ქ. თბილისის მერის, პრემიერის, მთავრობის წევრის ან საკრებულოს გადაწყვეტილებით.

**მუხლი 3. მთავრობის სამუშაო გეგმის ამოცანები**

1. მთავრობის სამუშაო გეგმების ხანგრძლივობას განსაზღვრავს მთავრობა და იგი მოიცავს ერთწლიან პერიოდს კვარტალური დაყოფით.

2. მთავრობის სამუშაო გეგმების შემუშავების პროცესს უზრუნველყოფს აპარატი, რის შესახებ ინფორმაცია წარედგინება პრემიერს.

3. მთავრობის სამუშაო გეგმა უნდა უზრუნველყოფდეს ქ. თბილისის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტული ამოცანების გადაწყვეტას, ეკონომიკური რეფორმების გატარებას, დედაქალაქის მმართველობის სისტემის დემოკრატიზაციას, განათლების, კულტურის, სპორტის და სხვა საქალაქო პროგრამების განხორციელებას, დედაქალაქის საგარეო კავშირურთიერთობების განვითარებას და საერთოდ, ქ. თბილისის მიერ დედაქალაქის ფუნქციათა განხორციელებას.

4. მთავრობის სამუშაო გეგმის მომზადების წესი, ეტაპები, ვადები და მათი შესრულებისათვის პასუხისმგებელი პირები განისაზღვრება "საქართველოს დედაქალაქის - ქ. თბილისის მერიის დებულებისა" და ამ რეგლამენტის შესაბამისად.

5. მთავრობის კალენდარული სამუშაო გეგმის შესამუშავებლად საანგარიშო პერიოდის დაწყებამდე არაუგვიანეს 10 დღისა, პრემიერის მოადგილეები, გამგეობები და ქალაქის შესაბამისი სამსახურები აპარატს წარუდგენენ მთავრობის სამუშაო გეგმაში გასათვალისწინებელ საკითხებს.

6. აპარატი განაზოგადებს წარმოდგენილ საკითხებს, ამზადებს მთავრობის სამუშაო გეგმის პროექტს, განმარტებით ბარათს და ათანხმებს მას პრემიერთან.

**მუხლი 4. მთავრობის სამუშაო გეგმის დამტკიცება**

1. მთავრობის სამუშაო გეგმის პროექტს აპარატის უფროსი საანგარიშო პერიოდის დაწყებამდე სულ ცოტა 5 დღით ადრე წარუდგენს პრემიერს.

2. პრემიერი მისთვის წარდგენილი სამუშაო გეგმის საბოლოო რედაქციას წარადგენს ქ. თბილისის მთავრობის უახლოეს სხდომაზე დასამტკიცებლად. დამტკიცებული გეგმა ეგზავნებათ შესაბამის დაქვემდებარებულ ორგანოებს.

**მუხლი 5. პასუხისმგებლობა მთავრობის სამუშაო გეგმის მომზადების და განხორციელებისათვის**

საერთო პასუხისმგებლობა მთავრობის სამუშაო გეგმის შედგენისა და მისი განხორციელებისათვის ეკისრებათ მთავრობის წევრებს და აპარატის უფროსს.

**მუხლი 6. მთავრობის სამუშაო გეგმის შესრულების კონტროლი**

1. მთავრობის სამუშაო გეგმის შესრულებას ფუნქციების განაწილების შესაბამისად აკონტროლებენ მთავრობის წევრები.

2. მთავრობის სამუშაო გეგმის შესრულების კონტროლს ორგანიზაციულად უზრუნველყოფს აპარატი.

3. მთავრობის სამუშაო გეგმის შესასრულებლად ქალაქის შესაბამისი სამსახურების საქმიანობა და მუშაობის შედეგები განიხილება ქალაქ თბილისის მთავრობის სხდომებზე ან პრემიერის სამუშაო თათბირებზე.

## თავი III
## ქალაქ თბილისის მთავრობის სხდომის ორგანიზაცია

**მუხლი 7. მთავრობის სხდომაზე განსახილველ საკითხთა მომზადება**

1. მთავრობის სხდომაზე განსახილველი საკითხები, წარმოდგენილ უნდა იქნეს მთავრობის დადგენილების პროექტის ფორმით.

2. საკითხის შემომტან პირს ეკისრება პასუხისმგებლობა მთავრობის სხდომაზე განსახილველად წარმოდგენილი პროექტის (პროექტების) ხარისხის, თანდართული მასალების უტყუარობისა და სისრულისათვის.

3. მთავრობის სხდომაზე განსახილველ საკითხთა დაინტერესებულ ორგანოებთან შეთანხმებული პროექტები თანდართულ მასალებთან ერთად უნდა ჩაბარდეს აპარატს სხდომამდე სულ ცოტა 15 დღით ადრე, ხოლო ნორმატიული აქტის პროექტი სულ ცოტა 25 დღით ადრე.

4. მთავრობის სხდომაზე საკითხი შეიძლება განხილულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საკითხს გავლილი აქვს სათანადო ექსპერტიზა შესაბამის სამსახურში.

**მუხლი 8. მთავრობის სხდომის მომზადებისა და გამართვის წესი**

1. მთავრობის სხდომას ამზადებს და სხდომაზე მოწვეულ პირებს აღრიცხავს აპარატი.

2. მთავრობის ცალკეული სხდომების ორგანიზებისათვის აუცილებელ წინამოსამზადებელ ღონისძიებებს ახორციელებს აპარატი, რომელიც ადგენს მთავრობის ყოველი სხდომის დღის წესრიგის პროექტს, თანდართულ მასალებს და მთავრობის სხდომამდე 10 დღით ადრე შესათანხმებლად წარუდგენს პრემიერს.

3. მთავრობის სხდომამდე არაუგვიანეს 3 დღისა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი და თანდართული მასალები გადაეცემა მთავრობის წევრებს.

4. მთავრობის სხდომის დღის წესრიგში ცვლილებების შეტანა შეუძლია მხოლოდ პრემიერს. სხდომის დღის წესრიგის მთავრობის წევრებისათვის გადაცემის შემდეგ, მასში ცვლილების შეტანა მთავრობის სხდომამდე დაუშვებელია.

5. მთავრობის სხდომამდე სულ ცოტა ერთი კვირით ადრე, აპარატი აქვეყნებს ინფორმაციას სხდომის, მისი ჩატარების ადგილის, დროისა და დღის წესრიგის შესახებ, ხოლო შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებისას-აგრეთვე მისი დახურვის შესახებ.

6. გადაუდებელი აუცილებლობისას მთავრობა უფლებამოსილია ჩაატაროს სხდომა ამ მუხლის მე-2 პუნქტში გათვალისწინებული წესების დაუცველად. ამ შემთხვევაში აპარატი ვალდებულია გამოაცხადოს სხდომის, მისი ჩატარების ადგილის, დროისა და დღის წესრიგის შესახებ, ხოლო შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებისას-აგრეთვე მისი დახურვის შესახებ.

7. გადაუდებელი აუცილებლობისას, მთავრობის სხდომის ჩატარების ან სხდომის დახურვის შემთხვევაში, აპარატი 3 დღის ვადაში უზრუნველყოფს სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების წესის გამოცხადებას. აპარატს რეესტრში შეაქვს სხდომის დახურვის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად გამართული სახელობითი კენჭისყრის შედეგები, აგრეთვე სხდომის ოქმის მონაცემები საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით.

8. მთავრობის სხდომაზე რიგგარეშე განიხილება მერის მიერ შემოტანილი საკითხები, მისივე მოთხოვნის საფუძველზე.

**მუხლი 9. მთავრობის სხდომები**

1. მთავრობის სხდომას იწვევს და თავმჯდომარეობს პრემიერი.

2. მთავრობის მორიგი სხდომა მოიწვევა ორ კვირაში ერთხელ მაინც, სამშაბათობით. მთავრობის სხდომა იწყება დილის 11:00 სთ-ზე. ცალკეულ შემთხვევაში პრემიერი უფლებამოსილია მთავრობის სხდომა ჩაატაროს სხვა დროს.

3. მთავრობის რიგგარეშე სხდომა მოიწვევა:

ა) ქ. თბილისის მერის ან პრემიერის ინიციატივით;

ბ) საკრებულოს თავმჯდომარის წინადადებით ან საკრებულოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტის დასაბუთებული მოთხოვნით;

გ) მთავრობის წევრთა შემადგენლობის ნახევარზე მეტის მოთხოვნით.

4. მთავრობის რიგგარეშე სხდომას იწვევს პრემიერი ან პრემიერის მოვალეობის შემსრულებელი მისი მოწვევის მოთხოვნიდან არაუგვიანეს ათი დღის ვადაში.

5. მთავრობის სხდომებს ესწრებიან მთავრობის წევრები. სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება მთავრობის წევრთა სრული შემადგენლობის არანაკლებ ორიმესამედი (მთავრობის სხდომის ქვორუმი).

6. მთავრობის სხდომები, როგორც წესი ღიაა და მიმდინარეობს საჯაროდ. აპარატი იღებს ზომებს მთავრობის სხდომების საჯაროობის უზრუნველსაყოფად. მთავრობის სხდომა ან მისი ნაწილი შეიძლება დახურულად გამოცხადდეს მთავრობის გადაწყვეტილებით, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ სხდომის საჯაროობამ შეიძლება გამოიწვიოს სახელმწიფო, კომერციული ან პირადი საიდუმლოების გამჟღავნება.

7. მთავრობის სხდომებზე სათათბირო ხმის უფლებით დასწრების უფლება აქვთ:

ა) ქ. თბილისის მერს;

ბ) ქ. თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეს;

გ) ქ. თბილისის საკრებულოს მდივანს;

დ) ქ. თბილისის საკრებულოს წევრებს, კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ე) აპარატის უფროსს და აპარატის ცალკეული სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელებს;

ვ) იმ საქალაქო სამსახურების ხელმძღვანელებს, რომლებიც არ შედიან მთავრობის შემადგენლობაში;

ზ) საკითხის განხილვასთან დაკავშირებით საკითხის შემომტანის მიერ მოწვეულ პირებს პრემიერთან შეთანხმებით.

8. საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა და სამთავრობო დაწესებულებათა ხელმძღვანელების სხდომაზე მოწვევის საკითხი მათთან უნდა იქნეს შეთანხმებული. მთავრობის სხდომაზე მთავრობის წევრების და მოწვეული პირების დროულ შეტყობინებას, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლების აკრედიტაციას ორგანიზაციულად უზრუნველყოფს აპარატი.

9. მთავრობის სხდომაზე განსახილველი საკითხის გამო, როგორც წესი, მომხსენებელს ეძლევა რეგლამენტი 15 წუთამდე, თანამომხსენებელსა და კამათში გამომსვლელთ 5 წუთამდე, ცნობისათვის (განცხადებებისათვის) -3 წუთამდე.

10. მთავრობის სხდომაზე გადაწყვეტილებები მიიღება სხდომაზე დამსწრე მთავრობის წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით, თუ ამ რეგლამენტით სხვა წესი არ არის დადგენილი. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში სხდომის თავმჯდომარის ხმა გადამწყვეტია. სხდომაზე საკითხის განხილვასთან დაკავშირებით მოწვეული პირები მონაწილეობენ შესაბამისი საკითხების განხილვაში და ამ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღებისას სარგებლობენ სათათბირო ხმის უფლებით.

11. მთავრობის სხდომებზე მიღებული დადგენილებებისა და სხდომის ოქმის გაფორმებას, ტექნიკურად უზრუნველყოფს აპარატის შესაბამისი განყოფილება.

**მუხლი 10. მთავრობის სხდომის თავმჯდომარე**

**1.** სხდომის თავმჯდომარე:

ა) ხსნის და დამთავრებულად აცხადებს სხდომას;

ბ) უზრუნველყოფს რეგლამენტის დაცვას;

გ) განსაზღვრავს კამათის მონაწილეთა რიგითობას და სიტყვას აძლევს მათ;

დ) კენჭისყრაზე აყენებს საკითხს და აცხადებს კენჭისყრის შედეგებს;

ე) ხელს აწერს სხდომაზე მიღებულ გადაწყვეტილებებსა და სხდომის ოქმს;

ვ) აუცილებლობის შემთხვევაში სიტყვას ჩამოართმევს გამომსვლელს, სხდომის მონაწილეს ატოვებინებს სხდომათა დარბაზს;

ზ) საჭიროებისამებრ წყვეტს სხდომის მიმდინარეობას და აცხადებს შესვენებას;

თ) ახორციელებს სხდომის გამართვისათვის აუცილებელ სხვა უფლებამოსილებებს.

2. სხდომის თავმჯდომარეს უფლება აქვს მიიღოს მონაწილეობა საკითხთა განხილვასა და კენჭისყრაში.

3. სხდომის თავმჯდომარის მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტის "ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად მიღებული გადაწყვეტილება კამათს არ ექვემდებარება.

**მუხლი 11 . მთავრობის წევრთა უფლებები სხდომაზე**

მთავრობის სხდომის მსვლელობისას პრემიერს, პრემიერის მოდაგილეებსა და მთავრობის სხვა წევრებს უფლება აქვთ:

ა) წამოაყენონ წინადადებანი და შენიშვნები დღის წესრიგთან და მუშაობის წესთან დაკავშირებით;

ბ) მიიღონ მომხსენებლისაგან დამატებითი განმარტებანი განსახილველ საკითხებზე;

გ) მიიღონ მონაწილეობა კამათში, ნებისმიერ განსახილველ საკითხთან დაკავშირებით გამოთქვან და დაიცვან საკუთარი აზრი;

დ) საჭიროების შემთხვევაში წარმოადგინონ წინადადება საკითხის დამატებით შესწავლის თაობაზე;

ე) მიიღონ ან არ მიიღონ მონაწილეობა კენჭისყრაში;

ვ) წერილობითი ფორმით დააფიქსირონ საკუთარი (განსაკუთრებული) აზრი.

**მუხლი 12. მოხსენება მთავრობის სხდომაზე**

1. მთავრობის სხდომაზე განსახილველ საკითხს მოხსენების სახით წარადგენს პრემიერი, მთავრობის სხვა წევრი, საქალაქო სამსახურის უფროსი ან აპარატის უფროსი.

2. მოხსენება უნდა შეიცავდეს:

ა) საკითხის განხილვის აუცილებლობის მოკლე დასაბუთებას;

ბ) ინფორმაციას საკითხის მომზადების (რომელი აქტის საფუძველზე, ვისი ინიციატივით და ვის მიერ მომზადდა, ვისთან შეთანხმდა ან ვერ შეთანხმდა და სხვა) შესახებ;

გ) განმარტებას საკითხის არსის თაობაზე;

დ) განსახილველ საკითხზე მთავრობის დადგენილების პროექტს.

3. საჭიროების შემთხვევაში საკითხის წარდგენაში შეიძლება მონაწილეობდეს მთავრობის სხვა წევრი - თანამომხსენებელი.

**მუხლი 13. კამათი მთავრობის სხდომაზე**

1. მთავრობის სხდომაზე განსახილველ საკითხზე კამათში შეიძლება მონაწილეობდეს მთავრობის წევრი ან შესაბამისი საკითხის განხილვასთან დაკავშირებით მოწვეული პირი.

2. კამათში მონაწილე უნდა შეეხოს საკითხის არსს ან გამოხატოს თავისი არგუმენტირებული დამოკიდებულება დადგენილების პროექტის მიმართ.

**მუხლი 14. მთავრობის სხდომაზე მოწვეულ პირთა უფლებები**

1. განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მთავრობის სხდომაზე მოწვეულ პირებს უფლება აქვთ:

ა) სხდომის თავმჯდომარის თანხმობით მონაწილეობა მიიღონ საკითხის განხილვაში;

ბ) წარმოადგინონ დამატებითი ინფორმაცია და წინადადებანი განსახილველ საკითხებზე;

2. მთავრობის სხდომაზე მოწვეული პირი კენჭისყრაში არ მონაწილეობს.

**მუხლი 15. კენჭისყრა მთავრობის სხდომაზე**

1. მთავრობის სხდომაზე კენჭისყრა წარმოებს:

ა) სხდომის თავმჯდომარის წინადადებით საკითხის განხილვის პროცედურასთან დაკავშირებით;

ბ) განსახილველი საკითხის შესახებ მთავრობის დადგენილების მიღებასთან დაკავშირებით.

2. მთავრობის სხდომაზე დადგენილებანი, როგორც წესი, მიიღება, ღია კენჭისყრით (ხელის აწევით), პრემიერის წინადადებითა და სხდომის გადაწყვეტილებით შესაძლოა მოეწყოს ფარული კენჭისყრა.

3. ფარული კენჭისყრა ტარდება ფარული კენჭისყრისათვის დადგენილი წესის მიხედვით.

**მუხლი 16. მთავრობის სხდომის ოქმი**

1. მთავრობის სხდომის ოქმს სპეციალური ფორმის ბლანკზე აფორმებს და ხელმოსაწერად ამზადებს აპარატი. ოქმს ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და აპარატის უფროსი.

2. აპარატი, მთავრობის სხდომაზე მიღებულ ოქმს და ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს აფორმებს არაუგვიანეს 7 დღის ვადაში, ხოლო ნორმატიულ აქტს - 3 დღის ვადაში.

3. მთავრობის სხდომის ოქმში შეიტანება:

ა) კოლეგიალური ადმინისტრაციული ორგანოს დასახელება;

ბ) სხდომის დრო და ადგილი;

გ) სხდომის თავმჯდომარისა და წევრების ვინაობა;

დ) სხდომის უფლებამოსილება შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად (ქვორუმი)

ე) განხილვის საგანი;

ვ) კენჭისყრის შედეგები;

ზ) მიღებული გადაწყვეტილება;

თ) კამათში გამომსვლელთა მოთხოვნით, განხილულ საკითხებზე მათი განსაკუთრებული აზრი.

## თავი IV
## მერისა და პრემიერის თათბირების გამართვის ორგანიზაცია

**მუხლი 17. თათბირების მომზადება და გამართვა**

1. მერიაში თათბირებს იწვევს და თავმჯდომარეობს შესაბამისად მერი და/ან პრემიერი.

2. თათბირების ჩატარებას ორგანიზაციულად უზრუნველყოფს აპარატი.

3. თათბირებზე განსახილველ საკითხებს, მათ მომზადებაზე პასუხისმგებელ პირებს, თათბირის მონაწილეთა შემადგენლობას და თათბირის ჩატარების დროს განსაზღვრავს შესაბამისად მერი ან პრემიერი.

4. თათბირზე პირთა მოწვევის ორგანიზაცია ევალება აპარატს. მოსაწვევ პირთა სიას შესაბამისად მერს ან პრემიერს წინასწარ უთანხმებს აპარატის უფროსი შესაბამისი სამსახურების წარდგინებების საფუძველზე. თათბირის გამართვის შესახებ მის მონაწილეებს ატყობინებს აპარატი.

5. მერის ან პრემიერის თათბირზე მონაწილეობისათვის მოწვეული პირები, რომლებიც პასუხისგებელნი არიან განსახილველი საკითხების მომზადებაზე, მერის ან პრემიერის მიერ დადგენილ ვადაში წინასწარ წარუდგენენ მათ სათანადო მასალებს.

**მუხლი 18. ოპერატიული თათბირი**

1. მერიაში ცალკეულ საკითხთან (საკითხებთან) დაკავშირებით შეიძლება ჩატარდეს ქ. თბილისის მერიის სამსახურების ხელმძღვანელთა ოპერატიული თათბირი.

2. ოპერატიულ თათბირს ატარებს პრემიერი, ან მისი დავალებით მისი ერთ-ერთი მოადგილე.

**მუხლი 19. თათბირის (ოპერატიული თათბირის) ოქმი**

1. თათბირის (ოპერატიული თათბირის) ოქმის შედგენას უზრუნველყოფს აპარატი.

2. თათბირის (ოპერატიული თათბირის) ოქმში შეიტანება:

ა) თათბირის (ოპერატიული თათბირის) ჩატარების (გამართვის) დრო;

ბ) თათბირის (ოპერატიული თათბირის) მონაწილეთა შემადგენლობა;

გ) თათბირზე განხილულ საკითხთა ჩამონათვალი;

დ) დავალებების შინაარსი;

ე) დავალების შესრულებისათვის პასუხისმგებელი პირი.

3. თათბირის ოქმს ხელს აწერენ შესაბამისად მერი ან პრემიერი. ოპერტაიული თათბირის ოქმს ხელს აწერს ამ რეგლამენტის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული პირი.

4. თათბირის (ოპერატიული თათბირის) ოქმის ასლები ან ამონაწერი ოქმიდან ეგზავნებათ დავალებათა შესრულებაზე პასუხისმგებელ პირებს და აპარატის შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფებს შესრულების კონტროლისათვის.

5. თათბირის ოქმი ფორმდება მთავრობის სხდომის ოქმების გაფორმებისათვის დადგენილი წესით.

6. სხდომებისა და თათბირების ოქმებს დანიშნულებისამებრ აგზავნის აპარატი.

## თავი V
## მთავრობისა და პრემიერის დავალებათა გაფორმებისა და შესრულების წესი

**მუხლი 20. მთავრობის, მერისა და პრემიერის დავალებათა შესრულების უზრუნველყოფა**

აპარატი უზრუნველყოფს მერიის შესაბამისი სამსახურებისა და თანამდებობის პირებისათვის, თბილისის მთავრობის, მერისა და პრემიერის მიერ გაცემული დავალებებისა და მითითებების დროულ მიწოდებას.

**მუხლი 21. მთავრობის, მერისა და პრემიერის დავალებათა გაფორმება**

შესაბამის სუბიექტთა მიერ მათი კომპეტენციის ფარგლებში გაცემული დავალებები ფორმდება შესაბამისი სამართლებრივი აქტის, ოქმის ან რეზოლუციის სახით, რომელთა შესრულება სავალდებულოა შესაბამისი სამსახურებისა და თანამდებობის პირებისათვის.

**მუხლი 22. დავალების სახეები**

1. დავალება შეიძლება იყოს მიმდინარე, სასწრაფო ან საკონტროლო

2. მიმდინარე დავალების შესრულების ვადაა ორი კვირა, საკონტროლო დავალების შესრულებისა-10 დღე, სასწრაფო დავალების შესრულებისა-5 დღე. დავალებაზე შეიძლება იყოს მითითებული შესრულების სხვა ვადა.

3. დავალების შესრულებისათვის განსაზღვრულ ვადაში დასვენების ან უქმე დღე არ ჩაითვლება.

4. შესრულების ვადა აითვლება შემსრულებლისათვის დავალების გადაცემის მომენტიდან.

**მუხლი 23. დავალების შესრულების ვადის გაგრძელება**

დადგენილ ვადაში დავალების შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში შემსრულებელი მიმდინარე დავალების შესრულების ვადამდე 5 დღით ადრე, სასწრაფო დავალების შესრულების ვადამდე 2 დღით ადრე და საკონტროლო დავალების შესრულების ვადამდე 3 დღით ადრე დავალების გამცემს წარუდგენს მოტივირებულ წინადადებას ვადის გაგრძელების თაობაზე, დავალების შესრულების ახალი თარიღის მითითებით.

**მუხლი 24. მოხსენებითი ბარათი შესრულებულ დავალებაზე**

შესრულებული დავალების თაობაზე შემსრულებელმა უნდა წარმოადგინოს მოხსენებითი ბარათი დავალების გამცემის ან აპარატის სახელზე გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დავალება გულისხმობს თავად შემსრულებლის მიერ მთავრობის სახელზე შემოსულ განცხადებაზე პასუხის გაცემას ან მსგავს მოქმედებას.

**მუხლი 25. დავალების შესრულება რამოდენიმე პირის მიერ**

1. იმ შემთხვევაში, როდესაც დავალების შემსრულებლად მითითებულია ერთზე მეტი თანამდებობის პირი ან სამსახური, დავალებაში მითითებული პირველი პირი ითვლება მთავარ შემსრულებლად, დანარჩენები-თანაშემსრულებლებად.

2. მთავარი შემსრულებელი პასუხისმგებელია დავალების შესრულების კოორდინაციისათვის იგი ორგანიზებას უწევს დავალების შესრულებისათვის საჭირო ღონისძიებათა განხორციელებას. აუცილებლობის შემთხვევაში ან დავალების ოპერატიულად შესრულების მიზნით მთავარი შემსრულებელი უფლებამოსილია შექმნას სამუშაო ჯგუფი.

3. მოხსენებითი ბარათი დავალების შესრულების შესახებ იწერება მთავარი შემსრულებლის მიერ.

**მუხლი 26. დავალებათა შესრულების კოორდინაცია**

1. აპარატი კოორდინაციას უწევს და გასცემს მითითებებს დავალებათა შესრულების მიმდინარეობის თაობაზე.

2. ცალკეულ დავალებათა კონტროლზე აყვანისა და კონტროლიდან მოხსნის საკითხს წყვეტს აპარატის უფროსი.

## თავი VI
## მერისა და მთავრობის სამართლებრივი აქტების მომზადებისა და გაფორმების წესი

**მუხლი 27. მერისა და მთავრობის სამართლებრივი აქტები**

1. მერისა და მთავრობის სამართლებრივი აქტებია:

ა) ნორმატიული აქტები: მერის ბრძანება და მთავრობის დადგენილება;

**გაგრძელება B3 გვერდზე**

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა
# ქალაქ თბილისის მთავრობის რეგლამენტის დამტკიცების შესახებ

B2 გვერდიდან

ბ) ინდივიდუალური აქტი: მერის განკარგულება და მთავრობის დადგენილება;

2. ნორმატიული აქტების მომზადების, მიღების, გამოქვეყნების, მოქმედების, აღრიცხვისა და სისტემატიზაციის წესი განისაზღვრება საქართველოს ორგანული კანონით "ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ", საქართველოს კანონით "საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ", საქართველოს კანონით "ნორმატიული აქტების შესახებ", "საქართველოს დედაქალაქის - ქალაქ თბილისის მერიის დებულებით", ამ რეგლამენტითა და სხვა ნორმატიული აქტებით.

3. მერის ბრძანება გამოიცემა მერის მიერ მთავრობის წევრებთან კონსულტაციის შემდეგ, ხოლო განკარგულება - ერთპიროვნულად მერის მიერ.

4. მთავრობის დადგენილება მიიღება მთავრობის სხდომაზე კენჭისყრის შედეგად. მთავრობის ნორმატიული ხასიათის დადგენილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას ხმა მისცა მთავრობის სრული შემადგენლობის უმრავლესობამ, ხოლო ინდივიდუალური ხასიათის სამართლებრივი აქტი მიღებულად ჩაითვლება თუ მას ხმა მისცა სხდომაზე დამსწრეთა უმრავლესობამ, მაგრამ არანაკლებ სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა.

5. ნორმატიული აქტები შესაბამისი კომპეტენტური პირის ხელმოწერიდან 5 დღის ვადაში გადაეცემა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო რეესტრში გასატარებლად.

6. ნორმატიულ აქტებს უნდა ჰქონდეს სათაური, მითითებული უნდა იყოს მიღების თარიღი და ადგილი, ძალაში შესვლის თარიღი და მოქმედების ვადა (თუ განსაზღვრული ვადითაა მიღებული) უფლებამოსილი თანამდებობის პირის ხელმოწერა, სარეგისტრაციო ნომერი, სახელმწიფო რეესტრის კოდი.

**მუხლი 28. მერისა და მთავრობის სამართლებრივი აქტების პროექტების წარდგენა**

1. მთავრობის სხდომაზე განსახილველად შესაბამისი სამართლებრივი აქტის პროექტის აპარატში წარდგენის უფლება აქვთ:

ა) ქ. თბილისის მერს

ბ) ქ. თბილისის პრემიერს და მთავრობის წევრს

გ) საქალაქო სამსახურს

2. პროექტს თან უნდა ახლდეს:

ა) პროექტის წარმდგენის მიერ ხელმოწერილი წერილი პროექტის წარდგენის თაობაზე;

ბ) განმარტებითი ბარათი, რომელშიც უნდა აისახოს პროექტის მიღების საფუძველი, მოკლე ანოტაცია, საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება, ნორმატიული აქტის ამოქმედების მეშვეობით მოსალოდნელი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები;

გ) შეთანხმებები დაინტერესებულ სამსახურებთან, დაწესებულებებთან და თანამდებობის პირებთან;

დ) საცნობარო ფურცელი, რომელსაც ადგენს აპარატი.

ე) დრეკად მაგნიტურ დისკოზე ჩაწერილი სამართლებრივი აქტის პროექტის ტექსტი (ელექტრონული ვერსია. Acadnusx 14).

**მუხლი 29. ადმინისტრაციული წარმოება მერისა და მთავრობის ნორმატიული აქტების გამოსაცემად**

1. ადმინისტრაციული წარმოება მთავრობის (მერის) ნორმატიული აქტის გამოსაცემად იწყება შესაბამისად მთავრობის (მერის) დადგენილებით (განკარგულებით).

2. წარმოების დაწყებისთანავე აპარატი აქვეყნებს მთავრობის (მერის) ნორმატიული აქტის პროექტს და ცნობას წარმოების დაწყების შესახებ.

3. ცნობაში წარმოების დაწყების შესახებ აღინიშნება:

ა) წარმოების დაწყების შესახებ გადაწყვეტილების შინაარსი;

ბ) ადმინისტრაციული ორგანოს დასახელება, რომელშიც მიმდინარეობს წარმოება;

გ) იმ ადმინისტრაციული ორგანოს მისამართი, რომელშიც შესაძლებელია მოსაზრებების წარდგენა;

დ) მოსაზრებების წარდგენის ვადა;

ე) ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადა;

4. იმ შემთხვევაში თუ წარმოების დაწყების დროს არ არსებობს ნორმატიული აქტის მომზადებული პროექტი, ქვეყნდება მხოლოდ ცნობა წარმოების დაწყების შესახებ, რომელშიც ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ ინფორმაციასთან ერთად მიეთითება პროექტის გამოქვეყნების ვადა.

5. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, მითითებულ ვადაში გამოქვეყნებულ პროექტთან ერთად აღინიშნება იმ საინფორმაციო საშუალების რეკვიზიტები (დასახელება, გამოსვლის თარიღი, ნომერი), რომელშიც გამოქვეყნდა ცნობა წარმოების დაწყების შესახებ.

6. აპარატი ვალდებულია უზრუნველყოს ადმინისტრაციულ წარმოებასთან დაკავშირებული შემდეგი დოკუმენტების (ინფორმაციის) წარდგენა საჯარო გაცნობისათვის:

ა) განცხადება (რომლის საფუძველზეც დაიწყო წარმოება) და მასზე დართული დოკუმენტები, აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება წარმოების დაწყების თაობაზე;

ბ) დასკვნა ან მოსაზრება, რომელიც ამ წარმოებასთან დაკავშირებით იქნა წარდგენილი ადმინისტრაციულ ორგანოში;

გ) მოცემულ ადმინისტრაციულ წარმოებასთან დაკავშირებული იმ დოკუმენტების ნუსხა, რომლებიც არ არის წარდგენილი საჯარო გაცნობისათვის;

**მუხლი 30. მერისა და მთავრობის სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადების ორგანიზაცია**

1. მერისა და მთავრობის სამართლებრივი აქტების პროექტებს ამზადებს აპარატი გამგეობა ან მერიის შესაბამისი სამსახური.

2. სამართლებრივი აქტების პროექტები მერსა და მთავრობას წარედგინებათ მერისა და მთავრობის კომპეტენციებში შემავალ საკითხებზე.

3. მთავრობის სხდომაზე მთავრობის სამართლებრივი აქტების შეტანის მიზანშეწონილობა წინასწარ უნდა შეთანხმდეს პრემიერთან, რაც პროექტზე პრემიერის სათანადო ვიზით დასტურდება.

4. მერისა და მთავრობის სამართლებრივი აქტების პროექტი შეთანხმებული უნდა იყოს ყველა იმ ორგანიზაციასთან, სამსახურთან, დაწესებულებასთან, აგრეთვე თანამდებობის პირთან, რომელთა გამგებლობასაც განეკუთვნება პროექტით გათვალისწინებული საკითხები. პროექტის შემთანხმებელთა ჩამონათვალს განსაზღვრავს აპარატი.

**მუხლი 31. მერისა და მთავრობის სამართლებრივი აქტების გაფორმება**

1. მერისა და მთავრობის სამართლებრივი აქტები ფორმდება შესაბამის ბლანკებზე.

2. მერისა და მთავრობის ნორმატიული აქტი შეიცავს ძირითად ნაწილსა და დასკვნით დებულებებს, საჭიროების შემთხვევაში - აგრეთვე გარდამავალ დებულებებს. ნორმატიულ აქტს შეიძლება ქონდეს პრეამბულა, რომელშიც გადმოიცემა ამ ნორმატიული აქტის დანიშნულება და პრინციპები, რომლებიც მას უდევს საფუძვლად. ნორმატიული აქტის პრეამბულაში მითითებულ უნდა იქნეს, თუ რომელი საკანონმდებლო აქტის შესასრულებლად გამოიცა იგი; ნორმატიული აქტი შეიძლება შეიცავდეს გარდამავალ დებულებებს, თუ განსაზღვრული ვადით დგინდება ძირითადისაგან განსხვავებული ნორმები ან თუ ნორმატიული აქტის სრულად ასამოქმედებლად გარკვეული პირობები და დროა საჭირო. ნორმატიული აქტის დასკვნითი დებულებანი შეიცავს იმ ნორმატიული აქტების ჩამონათვალს, რომლებიც ძალას კარგავენ მოცემული ნორმატიული აქტის ამოქმედების მომენტიდან, აქტის ძალაში შესვლის დროსა და მისი მოქმედების ვადას (თუ იგი განსაზღვრული ვადით არის გამოცემული). თუ ნორმატიულ აქტში შევიდა ცვლილება და/ან დამატება, ნორმატიული აქტის სრული ტექსტის ოფიციალურად გამოქვეყნებისას უნდა მეთითოს ასეთი ცვლილების და/ან დამატების მიღებისა (გამოცემისა) და ძალაში შესვლის თარიღი.

3. ნორმატიული აქტი, შინაარსის მიხედვით, შეიძლება დაიყოს კარებად და თავებად. თითოეულ მათგანს უნდა ქონდეს სათაური. კარებისა და თავების ნუმერაცია უწყვეტია. ნუმერაციისას გამოიყენება რომაული ციფრები. ნორმატიულ აქტში მუხლების ნუმერაცია უწყვეტია. ნუმერაციისას გამოიყენება არაბული ციფრები. თუ მუხლი რამდენიმე აბზაცისაგან შედგება, ისინი უწყვეტად არაბული ციფრებით ინომრება და მათ პუნქტები ეწოდება. თუ მუხლის რომელიმე პუნქტი ქვეპუნქტებადაა დაყოფილი, ისინი ანბანურად ინომრება. მუხლს შეიძლება ქონდეს სათაური, ხოლო მუხლის პუნქტი და ქვეპუნქტი უსათაუროა. ნორმატიული აქტის რომელიმე დებულების მითითება ხდება შემდეგი წესით: უნდა დასახელდეს ნორმატიული აქტის სახე და სათაური, მუხლი, პუნქტი, ქვეპუნქტი, ხოლო თუ აუცილებელია - წინადადებაც.

4. მერის ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტში მითითებულ უნდა იქნეს:

ა) კონკრეტული დავალებები;

ბ) შემსრულებელი სამსახურების, დაწესებულებების, ორგანიზაციების ზუსტი სახელმწოდებები, მათი ხელმძღვანელების გვარები;

გ) შესრულების ვადები;

დ) მითითებები შესრულების კონტროლის თაობაზე;

ე) ის სამართლებრივი აქტი (აქტები), რომლის საფუძველზეც გამოიცემა (მიიღება) დოკუმენტი;

ვ) მითითებები სხვა სამართლებრივი აქტების ან მათი ცალკეული პუნქტების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ, თუ ახალი დოკუმენტი გამორიცხავს (არ შეესაბამება) ადრე გამოცემულის (მიღებულის) მოქმედებას.

5. მერის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი შეიცავს ზოგად და საგანმკარგულებლო ნაწილებს. ზოგად ნაწილში გადმოიცემა დოკუმენტის გამოცემის (მიღების) მოტივები, მიზნები და ამოცანები. დოკუმენტს შეიძლება არ გააჩნდეს ზოგადი ნაწილი. საგანმკარგულებლო ნაწილი იყოფა არაბული ციფრებით უწყვეტად დანომრილ პუნქტებად (საჭიროებისას, აგრეთვე ანბანურად დანომრილ ქვეპუნქტებად).

6. მერის ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტში სხვა სამართლებრივი აქტების აღნიშვნისას მიეთითება ასეთი აქტის მიღების (გამოცემის) თარიღი, აქტის ზუსტი და სრული სახელწოდება, მიმღები (გამომცემი) ორგანო.

7. მერის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით სხვა დოკუმენტების (დებულების, ინსტრუქციის, გეგმის, ფორმის და სხვა) დამტკიცების ან საგანმკარგულებლო დოკუმენტებზე სხვა დოკუმენტების თანდართვისას, თანდართული დოკუმენტები აქტში აღინიშნება როგორც დანართები. დანართს უნდა ჰქონდეს მისი შინაარსის განმსაზღვრელი სათაური და მითითება საგანმკარგულებლო დოკუმენტის (სამართლებრივი აქტის) კუთვნილებაზე.

8. მერისა და მთავრობის სამართლებრივ აქტებში დაუშვებელია ტერმინების შემოკლებული ფორმების გამოყენება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დოკუმენტის ტექსტში მითითებულია სათანადო აღნიშვნა ტერმინის შემოკლებული ფორმით შემდგომი გამოყენების თაობაზე.

**მუხლი 32. პასუხისმგებლობა მერისა და მთავრობის სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადებისათვის**

მერისა და მთავრობის სამართლებრივი აქტების პროექტების შინაარსისა და შესრულების ხარისხისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება პროექტის შემომტანს (ინიციატორს), პროექტის სტილისტურ შესწორებასა და სამართლებრივ შესაბამისობას უზრუნველყოფს აპარატი.

**მუხლი 33. მერისა და მთავრობის სამართლებრივი აქტების გამოცემა (მიღება)**

1. მერის მიერ ან მთავრობის სხდომაზე პროექტის მიმართ შენიშვნებისა და წინადადებების გამოთქმის შემთხვევაში პროექტი, პრემიერის მიერ მითითებულ (დადგენილ) ვადაში უბრუნდება შემომტანს დამატებით დასამუშავებლად და დასაზუსტებლად. პროექტის საბოლოო ვარიანტი შესაბამისი თანამდებობის პირის ხელმოწერით უბრუნდება პრემიერს ხელმოსაწერად.

2. მერის სამართლებრივ აქტს ხელს აწერს მერი. მთავრობის სამართლებრივ აქტს ხელს აწერს პრემიერი. სამართლებრივი აქტის რეკვიზიტში "ხელმოწერა" აღინიშნება ხელისმომწერი პირის თანამდებობა.

3. ხელმოწერილი სამართლებრივი აქტი გადაეცემა აპარატს, რომელიც სამი დღის ვადაში უზრუნველყოფს მათ სათანადოდ გაფორმებას რეგისტრაციის ნომრისა და თარიღის მითითებით) და ნორმატიული აქტის იუსტიციის სამინისტროში რეგისტრაციისათვის გაგზავნას. იუსტიციის სამინისტროში რეგისტრაციისა და დადგენილი წესით გამოქვეყნების შემდეგ, აპარატი უზრუნველყოფს დოკუმენტის ასლების დანიშნულებისამებრ გადაგზავნას.

**მუხლი 34. მერისა და მთავრობის სამართლებრივი აქტების ძალაში შესვლა**

1. მერისა და მთავრობის ნორმატიული აქტები ძალაში შედის "ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით მისი გამოქვეყნებისთანავე, თუ იმავე ნორმატიული აქტით სხვა ვადა არ არის დადგენილი.

2. მერის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი ძალაში შედის ხელმოწერისთანავე, თუ იმავე დოკუმენტში სხვა ვადა არ არის მითითებული, რაც დაუყოვნებლივ ეცნობება დაინტერესებულ პირებს.

3. მერის ბრძანებები და მთავრობის დადგენილებები სავალდებულოა შესასრულებლად დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე მყოფი ყველა საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციისათვის, მიუხედავად მათი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა, აგრეთვე თანამდებობის პირებისა და მოქალაქეებისათვის.

4. მერის მიერ თავის კომპეტენციის ფარგლებში გამოცემული განკარგულებები სავალდებულოა შესასრულებლად ამ აქტით განსაზღვრული ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის.

**მუხლი 35. მერისა და მთავრობის სამართლებრივი აქტების აღსრულების კონტროლი**

მერისა და მთავრობის სამართლებრივი აქტების აღსრულების კონტროლს ორგანიზაციულად უზრუნველყოფს აპარატი.

## თავი VII
## პრემიერის, საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელისა და აპარატის უფროსის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების მომზადებისა და გაფორმების წესი

**მუხლი 36. პრემიერის, საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელისა და აპარატის უფროსის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტები**

1. პრემიერის, საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელისა და აპარატის უფროსის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტებია:

ა) პრემიერის განკარგულება;

ბ) საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელის ბრძანება;

გ) აპარატის უფროსის განკარგულება

2. პრემიერის, საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელისა და აპარატის უფროსის ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტებს შესაბამისად გამოსცემს პრემიერი, საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელი და აპარატის უფროსი.

**მუხლი 37. საკითხები, რომლებიც წესრიგდება პრემიერის, საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელისა და აპარატის უფროსის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტებით**

პრემიერის, საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელისა და აპარატის უფროსის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტები გამოიცემა მთავრობის, დაქვემდებარებული საქალაქო სამსახურებისა და აპარატის საქმიანობის მოწესრიგების საკითხებზე.

**მუხლი 38. პრემიერის, საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელისა და აპარატის უფროსის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების მომზადება, გაფორმება და გამოცემა.**

1. პრემიერის, საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელისა და აპარატის უფროსის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების მომზადებას, გაფორმებასა და გამოცემას უზრუნველყოფს აპარატი და შესაბამისი საქალაქო სამსახური.

2. პრემიერის, საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელისა და აპარატის უფროსის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების მომზადებისა და გაფორმებისათვის გამოიყენება ის წესი, რომელიც დადგენილია ამ რეგლამენტით მერის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების მომზადება-გაფორმებისათვის.

**მუხლი 39. პრემიერის, საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელისა და აპარატის უფროსის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების შესრულების კონტროლი**

პრემიერის, საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელისა და აპარატის უფროსის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების შესრულების კონტროლს უზრუნველყოფს აპარატი და შესაბამისი საქალაქო სამსახური.

**მუხლი 40. ქალაქ თბილისის მერიის ორგანოებისა და თანამდებობის პირების გადაწყვეტილებათა (სამართლებრივი აქტების) შეჩერება და გაუქმება**

ქალაქ თბილისის მერიის ორგანოებისა და თანამდებობის პირების გადაწყვეტილებათა (სამართლებრივი აქტების) შეჩერებისა და გაუქმების წესი განისაზღვრება "ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით, "საქართველოს დედაქალაქის-ქალაქ თბილისის შესახებ" საქართველოს კანონითა და საქართველოს დედაქალაქის- ქალაქ თბილისის მერიის დებულებით.

## თავი VIII
## ქალაქ თბილისის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამისა და ბიუჯეტის პროექტების, მათი შესრულების ანგარიშების შედგენა და საკრებულოსათვის დასამტკიცებლად წარდგენა

**მუხლი 41. ქალაქ თბილისის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამის პროექტი**

ქალაქ თბილისის (საქალაქო, რაიონული და დაბა წყნეთის) სოციალურ-ეკონომიკური განვითპების პროგრამების პროექტები დგება დედაქალაქის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ინდიკატური გეგმისა და ქალაქის განვითარების ეკონომიკური სტრატეგიის გათვალისწინებით.

**მუხლი 42. ქალაქ თბილისის ბიუჯეტის პროექტი**

ქალაქ თბილისის (საქალაქო, რაიონული და დაბა წყნეთის) სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამების გათვალისწინებით. ბიუჯეტის პროექტის შედგენა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**მუხლი 43. ქ. თბილისის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამისა და ბიუჯეტის პროექტების მომზადების ორგანიზაცია**

1. ქ. თბილისის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამისა და ბიუჯეტის პროექტების შესადგენი სამუშაოების ორგანიზაციას პრემიერის განკარგულების (დავალებით) ახორციელებენ ქალაქის ეკონომიკური და საფინანსო სამსახურები. პროექტების მომზადება იწყება ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე რვა თვით ადრე მაინც.

2. ქალაქის შესაბამისი სამსახურები და მათი ქვედანაყოფები შესაბამისი დარგების მიხედვით შეიმუშავებენ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამის ძირითად მიმართულებებს და უზრუნველყოფენ ბიუჯეტის პროექტის შედგენისათვის საჭირო ყველა ინფორმაციის შეგროვებას დაქვემდებარებული ორგანიზაციებიდან, დაწესებულებებიდან და საწარმოებიდან.

3. საკითხები, რომელსაც უნდა მოიცავდეს ქ. თბილისის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამის პროექტი, განისაზღვრება საქართველოს დედაქალაქის ქ. თბილისის მერიის დებულების 31-ე მუხლით.

4. ქ. თბილისის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამისა და ბიუჯეტის პროექტებს ქალაქის ეკონომიკური და საფინანსო სამსახურები კუთვნილებისამებრ ათანხმებენ ქალაქის სხვა სამსახურებთან და ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე სულ ცოტა ხუთი თვით ადრე, პრემიერთან შეთანხმების შემდგომ წარუდგენენ მთავრობის სხდომას განსახილველად.

5. ქ. თბილისის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრგრამისა და ბიუჯეტის საკითხებზე გადაწყვეტილებას იღებს მთავრობის სხდომა. მთავრობის მიერ განხილულ პროექტებში სათანადო ცვლილებებისა და დამატებების შეტანას (თუ ასეთი იქნება) საბიუჯეტო წლის დაწყებამდე სამთვენახევრით ადრე მაინც, უზრუნველყოფენ ქალაქის ეკონომიკური და საფინანსო სამსახურები.

6. მერთან შეთანხმებული რედაქციის მომზადებას უზრუნველყოფენ მერიის შესაბამისი სამსახურები და აპარატი (ორგანიზაციულად) საბიუჯეტო წლის დაწყებამდე ორთვენახევრით ადრე მაინც.

**მუხლი 44. ქ. თბილისის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამისა და ბიუჯეტის პროექტების მერთან შეთანხმება და საკრებულოსათვის წარდგენა**

1. ქ. თბილისის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამისა და ბიუჯეტის პროექტებს მერს შესათანხმებლად წარუდგენს პრემიერი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე ორი თვით ადრე მაინც.

2. მერის შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამისა და ბიუჯეტის პროექტების საბოლოო რედაქციას ამზადებს მერიის შესაბამისი სამსახური (ეკონომიკური ან საფინანსო სამსახური) მერის დავალებით.

3. სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამისა და ბიუჯეტის პროექტების საბოლოო რედაქციას ხელს აწერენ ქ. თბილისის მერი და პრემიერი.

4. ქ. თბილისის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამისა და ბიუჯეტის მერთან შეთანხმებულ პროექტებს საბიუჯეტო წლის დაწყებამდე თვენახევრით ადრე მაინც საკრებულოს წარუდგენს პრემიერი.

**მუხლი 45. ქ. თბილისის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამისა და ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შედგენა და საკრებულოსათვის წარდგენა**

1. ქ. თბილისის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამისა და ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს ადგენენ ქალაქის ეკონომიკური და საფინანსო სამსახურები.

2. ქ. თბილისის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამისა და ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს პრემიერი საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს საბიუჯეტო წლის დასრულებიდან სამი თვის ვადაში.

3. ქ. თბილისის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამის, ბიუჯეტის პროექტების მომზადების ორგანიზაციისა და მათი შესრულების ანგარიშების შედგენას განსაზღვრავს და არეგულირებს "საქართველოს დედაქალაქის - ქ. თბილისის მერიის დებულების" 31-ე, 32-ე, 33-ე და 34-ე მუხლები.

## თავი IX.
## ქ. თბილისის და ქ. თბილისის მთავრობის სახელით შეთანხმებათა და ხელშეკრულებათა დადება

**მუხლი 46. ქ. თბილისის სახელით დადებული შეთანხმებები და ხელშეკრულებები**

1. ქ. თბილისის სახელით იდება შეთანხმებები საქართველოსა და სხვა ქვეყნების (საზღვარგარეთის) სამთავრობო, საქვეუწყებო დაწესებულებებთან, შეთანხმებანი და ხელშეკრულებანი საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნების სხვა ადმინისტრაციულ და ტერიტორიულ ერთეულებთან, რომლებიც დაკავშირებულია (ან არ არის დაკავშირებული) ქონებრივ ან ფინანსურ ვალდებულებებთან;

2. ქ. თბილისის სახელით შეთანხმებებსა და ხელშეკრულებებს დებს მერი და ამტკიცებს საკრებულო.

**მუხლი 47. ქ. თბილისის მთავრობის სახელით დადებული შეთანხმებები და ხელშეკრულებები**

1. ქ. თბილისის მთავრობის სახელით იდება შეთანხმებები საქართველოს სამთავრობო, საქვეუწყებო დაწესებულებებთან და სხვა ტერიტორიული ერთეულების მმართველობის ორგანოებთან, ქ. თბილისის რაიონებისა და დაბა წყნეთის გამგეობებთან, მუნიციპალურ საბჭოებთან, თუ ეს შეთანხმებები არ არის დაკავშირებული ქ. თბილისის საკუთრების გამიჯვნასთან.

2. ქ. თბილისის მთავრობის სახელით შეთანხმებებსა და ხელშეკრულებებს დებს პრემიერი და ამტკიცებს მთავრობის სხდომა.

**მუხლი 48. ქ. თბილისის და ქ. თბილისის მთავრობის სახელით შეთანხმებათა და ხელშეკრულებათა პროექტების მომზადების ორგანიზაცია**

1. ქ. თბილისის და ქ. თბილისის მთავრობის სახელით შეთანხმებათა და ხელშეკრულებათა პროექტების მომზადების ორგანიზაცია განისაზღვრება ამ რეგლამენტის 31-ე მუხლის შესაბამისად.

2. იმ შეთანხმებებისა და ხელშეკრულებების პროექტებს, რომლებიც ითვალისწინებენ ქონებრივ ან ფინანსურ ვალდებულებებს, აუცილებლად თან უნდა ერთვოდეს მერიის ეკონომიკური და საფინანსო სამსახურების ხელმძღვანელთა წინასწარი დასკვნა.

**მუხლი 49. ქ.თბილისის და ქ. თბილისის მთავრობის სახელი დადებულ შეთანხმებათა და ხელშეკრულებათა ძალაში შესვლა**

1. ქ. თბილისის და ქ. თბილისის მთავრობის სახელით დადებული შეთანხმებები და ხელშეკრულებები ძალაშია საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით დამტკიცებისთანავე, თუ შეთანხმებით ან ხელშეკრულებით სხვა ვადა არ არის დაწესებული.

2. ქ. თბილისის და ქ. თბილისის მთავრობის სახელით დადებული შეთანხმებები და ხელშეკრულებები ძალაშია მთავრობის დადგენილებით დამტკიცებისთანავე, თუ შეთანხმებით ან ხელშეკრულებით სხვა ვადა არ არის დაწესებული.

3. მერი (პრემიერი) ვალდებულია ქ. თბილისის (მთავრობის) სახელით ყველა მის მიერ ხელმოწერილი შეთანხმება და ხელშეკრულება, საკრებულოს (მთავრობის) დასამტკიცებლად წარუდგინოს უახლოეს სხდომაზე.

**მუხლი 50. ქ. თბილისის და ქ. თბილისის მთავრობის სახელით დადებულ შეთანხმებათა და ხელშეკრულებათა გაუქმება**

1. ქ. თბილისისა და ქ. თბილისის მთავრობის სახელით დადებული შეთანხმება ან ხელშეკრულება შეიძლება გააუქმოს ქალაქ თბილისის საკრებულომ ან სასამართლომ კანონით დადგენილ შემთხვევებში.

2. იმ ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა გაუქმებისას, რომლებიც ითვალისწინებენ ქონებრივი ან ფინანსურ ვალდებულებებს, მიყენებული ზარალის ანაზღაურება ხდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

**მუხლი 51. პასუხისმგებლობა ქ. თბილისისა და ქ. თბილისის მთავრობის სახელით დადებულ შეთანხმებათა და ხელშეკრულებათა შესრულებაზე**

1. კოლეგიალური პასუხისმგებლობა ქალაქ თბილისისა და ქალაქ თბილისის მთავრობის სახელით დადებული შეთანხმებებით და ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულებაზე, ეკისრება ქალაქ თბილისის მთავრობას.

2. პერსონალურ პასუხისმგებლობას ქალაქ თბილისისა და ქალაქ თბილისის მთავრობის სახელით დადებული შეთანხმებებითა და ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულებაზე ადგენს მერი და პრემიერი.

3. ქალაქ თბილისისა და ქალაქ თბილისის მთავრობის სახელით დადებული ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით განსაზღვრულ ქონებრივ და ფინანსურ ვალდებულებებზე მთავრობა პასუხს აგებს ქალაქ თბილისის ბიუჯეტიდან.

4. ქალაქ თბილისისა და ქალაქ თბილისის მთავრობის სახელით დადებული შთანხმებებისა და ხელშეკრულებების მომზადების ორგანიზაციას, მათი ძალაში შესვლისა და გაუქმების წესს, არეგულირებს "საქართველოს დედაქალაქის - ქალაქ თბილისის მერიის დებულების" 35-ე,36-ე,37-ე,38-ე და 39-ე მუხლები.

## თავი X
## მოქალაქეთა მიმართვების განხილვის წესი

**მუხლი 52. მოქალაქეთა მიმართვებზე მუშაობა და საჯარო ინფორმაციის გაცემა**

1. მთავრობაში მოქალაქეთა წერილობით მომართვებზე (განცხადება, საჩივარი) მუშაობასა და საჯარო ინფორმაციის გაცემას უზრუნველყოფს აპარატი საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით.

2. მოქალაქეთა საჩივრებისა და განცხადებების განხილვის ვადა, როგორც წესი, განისაზღვრება ერთი თვით.

## თავი XI.
## დასკვნითი დებულებანი

**მუხლი 53. დასკვნითი დებულებანი**

1. ქალაქ თბილისის მერიის საქმიანობის ყველა საკითხი, რომელიც არ არის მოწესრიგებული იმ რეგლამენტით, რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით.

2. თუ ამ რეგლამენტში ვადების ბოლო დღე ემთხვევა დასვენების ან უქმე დღეს, ვადის გასვლის დღედ ითვლება შემდეგი (მომდევნო) სამუშაო დღე.

3. ცვლილებები და დამატებები ამ რეგლამენტში შეიტანება მერის ბრძანებით.

## განცხადება მასალების შესყიდვის შესახებ

### სააქციო საზოგადოება "საქჰიდროენერგომშენი" შეისყიდის საწვავს (ბენზინი)

დაინტერესებულმა პირებმა (როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირები) უნდა მოგვმართონ უმოკლეს ვადაში და უზრუნველყონ ქვემოჩამოთვლილი პირობები:

1. მისაწოდებელი ინერტული მასალების მოცულობა:
ბენზინი REGULAR - მინიმუმ 35 ტონა.
2. მიწოდების ვადები:
- დასაწყისი - 15 თებერვალი 2006 წ.
- დამთავრება - 31 დეკემბერი 2006 წ.
3. მიწოდების ადგილი:
წალენჯიხის რაიონი, ენგურჰესის თაღოვანი კაშხალი. დასახ. ფოცხო-ეწერი.
4. პროდუქციის მიწოდება უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად.
5. დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ პროდუქტის შესაბამისობის სერთიფიკატი და განზომილების ერთეულის ღირებულება.
6. მიწოდებული პროდუქციის ღირებულების ანაზღაურების ფორმაა უნაღდო.
7. საკვალიფიკაციო მონაცემების წარდგენის ბოლო ვადაა 2006 წლის 3 თებერვალი.
8. სატენდერო წინადადებების წარდგენის ბოლო ვადაა 2006 წლის 10 თებერვალი. დოკუმენტაცია წარდგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე.
9. სატენდერო მოსაკრებელი შეადგენს 200 ლარს, რომელიც გადახდილი უნდა იქნას შემდეგ ანგარიშზე: სს ბანკი "რესპუბლიკის" ცენტრალური ფილიალი, ს/კ 220101757 ა/ა 13605011140.
10. დამატებითი ინფორმაციის მიღება შეიძლება სს "საქჰიდროენერგომშენი"-ს ოფისში მისამართზე: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 50. ტელ. 25-09-59, 22-05-00.

ან წალენჯიხის რაიონი, დას. ფოცხო-ეწერში. ტელ. 8-215-30146, 8-215-30199.

*საკონტაქტო პირები: მერაბ დავითაია, გია ქადარია. ზაურ სამადაშვილი*

## განცხადება მასალების შესყიდვის შესახებ

### სააქციო საზოგადოება "საქჰიდროენერგომშენი" შეისყიდის პორტლანდ ცემენტს

დაინტერესებულმა პირებმა (როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირები) უნდა მოგვმართონ უმოკლეს ვადაში და უზრუნველყონ ქვემოჩამოთვლილი პირობები:

1. მისაწოდებელი ინერტული მასალების მოცულობა:
ცემენტი, წვრილმარცვლოვანი, M400 მარკა - მინიმუმ 3600 ტონა.
2. მიწოდების ვადები:
- დასაწყისი - 15 თებერვალი 2006 წ.
- დამთავრება - 31 დეკემბერი 2006 წ.
3. მიწოდების ადგილი:
წალენჯიხის რაიონი, ენგურჰესის თაღოვანი კაშხალი. დასახ. ფოცხო-ეწერი.
4. პროდუქციის მიწოდება უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად, ცემენტის გადამზიდი სპეციალური ავტომობილებით.
5. დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ პროდუქტის შესაბამისობის სერთიფიკატი და განზომილების ერთეულის ღირებულება.
6. მიწოდებული პროდუქციის ღირებულების ანაზღაურების ფორმაა უნაღდო.
7. საკვალიფიკაციო მონაცემების წარდგენის ბოლო ვადაა 2006 წლის 3 თებერვალი.
8. სატენდერო წინადადებების წარდგენის ბოლო ვადაა 2006 წლის 10 თებერვალი. დოკუმენტაცია წარდგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე.
9. სატენდერო მოსაკრებელი შეადგენს 200 ლარს, რომელიც გადახდილი უნდა იქნას შემდეგ ანგარიშზე: სს ბანკი "რესპუბლიკის" ცენტრალური ფილიალი, ს/კ 220101757 ა/ა 13605011140.
10. დამატებითი ინფორმაციის მიღება შეიძლება სს "საქჰიდროენერგომშენი"-ს ოფისში მისამართზე: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 50. ტელ. 25-09-59, 22-05-00.

ან წალენჯიხის რაიონი, დას. ფოცხო-ეწერში. ტელ. 8-215-30146, 8-215-30199.

*საკონტაქტო პირები: მერაბ დავითაია, გია ქადარია. ზაურ სამადაშვილი*

## ცნობა

მ/წლის 20 იანვარს, ქალაქ თბილისის მერიაში, 11.00 სთ-ზე მოწვეულია ქალაქ თბილისის მთავრობის რიგგარეშე სხდომა.

*ქალაქ თბილისის მერიის აპარატი*

## სწავლა დიდ ბრიტანეთში

**- ლონდონი, ოქსფორდი, კემბრიჯი, ბრაიტონი**
**- ინგლისური ენის ცენტრი თბილისში**

**- გთავაზობთ სწავლას დიდ ბრიტანეთში ინგლისური ენის კოლეჯებში და საუნივერსიტეტო პროგრამებზე: A-Level, Foundation, და Pre-MBA. საქართველოს ბანკის მიერ სწავლების დაფინანსების შესაძლებლობით.**
**- მომზადებას ინგლისურ ენაში თანამედროვე მეთოდებით მაღალკვალიფიციური ინგლისელი და ქართველი სპეციალისტების მონაწილეობით. აბიტურიენტების მომზადებას ეროვნული გამოცდებისათვის.**

**საგანმანათლებლო სააგენტო ELL**
**თბილისი, ვაჟა-ფშაველას 30ა II სართული**
**ტელ: 39 92 46, 899 50 40 12**
**E-mail: n_makatsaria@yahoo.com**

## განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

1. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი აცხადებს ღია ტენდერს უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების და ტერიტორიის დაცვაზე.
2. მომსახურების განხორციელებაზე სასურველი ვადაა 2006 წლის 16 თებერვლიდან 2006 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 7 თებერვლიდან 10 თებერვლის 12 საათამდე შემდეგ მისამართზე: თბილისი, ვაჟა-ფშაველას 33, მე-3 სართული.
4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და მონაცემებს:
- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები);
- ცნობები სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;
- დადგენილება სასამართლოში რეგისტრაციის შესახებ;
- ცნობა ნოტარიუსთა პალატიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;
- ცნობა შსს-დან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;
- ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება;
- საქმიანობასთან დაკავშირებული ლიცენზია, სერთიფიკატი ან ნებართვა.
5. პრეტენდენტი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობასა და ინფორმაციას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 11-დან 13 თებერვლამდე მხოლოდ ტენდერის იმ მონაწილეზე, რომელმაც გაიარა საკვალიფიკაციო შერჩევა და გადაიხადა კანონით გათვალისწინებული მოსაკრებელი (200 ლარი) შემდეგ ანგარიშზე: თსსუ, თი ბი სი ბანკის მარჯანიშვილის ფილიალი, კოდი 220101850, აა 609229.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგ მისამართზე: ვაჟა-ფშაველას 33, მე-3 სართული, ოთახი 310. ტელ. 31 14 98, 39 29 91.

*სატენდერო კომისია*

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად აცხადებს ტენდერს 48 ათასი ლიტრი "პრემიუმი" მარკის ბენზინის შესყიდვაზე 2006 წლისათვის და გიწვევთ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად. საწვავს უნდა გააჩნდეს ხარისხის დამადასტურებელი სერთიფიკატი დამოწმებული შესაბამისი სპეციალიზირებული ლაბორატორიის მიერ, ამასთან, ტენდერში გამარჯვებულმა ორგანიზაციამ უნდა უზრუნველყოს სასამართლოს კუთვნილი ავტომანქანების შეუფერხებელი გამართვა მისი კუთვნილი ბენზინგასამართი სადგურებიდან ტალონების მეშვეობით. ანგარიშსწორება ტენდერში გამარჯვებულ ორგანიზაციასთან მოხდება როგორც ნაღდი, ასევე უნაღდო ანგარიშსწორებით, კონსიგნაციის გათვალისწინებით.
2. საქონლის მიწოდების ვადა განისაზღვრება 2006 წლის 15 თებერვლიდან 2007 წლის 15 თებერვლამდე.
3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე ამ განცხადების გამოქვეყნებიდან 20 კალენდარული დღის შემდეგ, 2006 წლის 18 იანვრიდან 6 თებერვლის 14 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. № 29, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, ოთახი №220.
4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:
4.1. იურიდიული პირისათვის:
ა) ცნობას, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა სასამართლოდან) და მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (ნოტარიუსთა პალატა);
ბ) ცნობას, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან);
გ) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე (სასამართლოდან).
4.2. ფიზიკური პირისათვის:
ა) ცნობა ქმედუნარიანობის შესახებ (სასამართლოდან);
ბ) მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს გაკოტრების საქმის წარმოება (სასამართლოდან);
გ) უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ უნდა იყოს მსჯავრდებული ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მის მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან).
5. საკვალიფიკაციო მონაცემებს სატენდერო კომისია შეაფასებს საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენი პირების მონაცემების საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის გზით.
6. საკვალიფიკაციო მონაცემების შერჩევის დასრულება მოხდება ა.წ. 7 თებერვლის 14 საათზე. საკვალიფიკაციო შერჩევის შედეგების შეტყობინება პრეტენდენტისათვის მოხდება მიმდინარე წლის 7 თებერვალს.
7. იურიდიული პირები ვერ გაივლიან საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ ისინი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენენ მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას ან რომელიმე მათგანი აღმოჩნდება ყალბი.
8. ტენდერში მონაწილეობის მიღების შემთხვევაში სატენდერო დოკუმენტაციის მისაღებად შესატანია სატენდერო მოსაკრებელი 200 ლარის ოდენობით, მ/წ 7 თებერვლიდან 9 თებერვლამდე. ჩვენი რეკვიზიტებია: საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი 220101107, მიმღები მთაწმინდა-კრწანისის საოლქო საგადასახადო ინსპექცია. ანგ. № 507121303 სახაზინო კოდი 3133.
9. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს სატენდერო მოსაკრებელის გადახდის შემდეგ შეეძლებათ მ/წ 9 თებერვლიდან 10 თებერვლის 17 საათამდე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში მისამართზე: ქ. თბილისი რუსთაველის გამზირი №29 ოთახი № 220.
10. სატენდერო დოკუმენტაცია დგება ქართულ ენაზე, რომელიც პრეტენდენტებს გადაეცემათ საკვალიფიკაციო შერჩევიდან 3 დღის ვადაში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სატენდერო კომისიაში.
11. დამატებითი ინფორმაციის ან სხვა დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება სატენდერო კომისიაში მე-9 მუხლში მითითებულ მისამართზე. საკონტაქტო ტელეფონებია: 99-78-97 ირაკლი ჩიხლაძე, 92-08-82 მაგდა გვაზავა.

*საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სახელით
სატენდერო კომისია*

# განცხადება
# სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებელი" აცხადებს ტენდერს საწვავის შესყიდვაზე

რეკვიზიტები - ქ. თბილისი კოსტავას ქ. N68

| ლოტი N | მისაწოდებელი საქონლის მოკლე დასახელება | რაოდენობა (ლიტრი) | მიწოდების ადგილი | მიწოდების გრაფიკული ვადები |
|---|---|---|---|---|
| 1 | ბენზინი რეგულარი AA-92 | 192 000 | სატალონო სისტემა. საქართველოში არსებული მიმწოდებლის საკუთარი ბენზოგასამართი სადგურებიდან | ხელშეკრულების დადებიდან - 31.12.06 ჩათვლით |
| 2 | ბენზინი პრემიუმი AA-95 | 12 000 | სატალონო სისტემა საქართველოში არსებული მიმწოდებლის საკუთარი ბენზოგასამართი სადგურებიდან | ხელშეკრულების დადებიდან - 31.12.06 ჩათვლით |
| 3 | დიზელი AL-62 | 8 000 | სატალონო სისტემა საქართველოში არსებული მიმწოდებელის საკუთარი ბენზოგასამართი სადგურებიდან | ხელშეკრულების დადებიდან - 31.12.06 ჩათვლით |

ყველა შესასყიდი საქონელი უნდა იყოს მაღალი ხარისხის.

ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

ტენდერში გამარჯვებულების მიერ აღნიშნული საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს შემსყიდველის მიერ წინასწარ განსაზღვრული საქონლის მოცულებისა და მიწოდების გრაფიკის შესაბამისად, ზემოთ ჩამოთვლილ მისამართებზე ცხრილის მიხედვით.

**საკავალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას**

**იურიდიული პირებისათვის:**
- ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების საქმის წარმოება
- ცნობას საგადასახადოდან, რომ არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.
- ცნობას რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.
- ცნობას რეგისტრაციის შესახებ (ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, გაცემული შესაბამისი რაიონის საგადასახადო ორგანოს მიერ ან არასაწარმეო იურიდიული პირების რეესტრიდან, გაცემული იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო რეგისტრაციის სამმართველოს მიერ)

**ფიზიკური პირებისათვის:**
- ცნობას, შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ იგი ქმედუნარიანია;
- ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.
-

**როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

- სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს.
- ინფორმაციას ქონებრივი მდგომარეობის შესახებ;
- ინფორმაციას ბენზოგასამართი სადგურების რაოდენობისა და განთავსების შესახებ;

ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია გადაეცემათ მათ მიერ სატენდერო მოსაკრებლის (200ლ.) გადახდის შემდეგ, 2006წ. 9 თებერვლის 11 საათიდან 13 თებერვლის 17 საათამდე. შემდეგ მისამართზე: თბილისი, კოსტავას 68 ოთახი N 341.

**სატენდერო მოსაკრებელი 200.0 ლარის ოდენობით უნდა გადაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე:**
**მიმღების დასახელება: სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებელი" (2585)**
**მიმღების ანგარიში: 000141408**
**მიმღების ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი**
**მიმღების ბანკის კოდი: 220101107**
**გადახდის დანიშნულება: სატენდერო მოსაკრებელი**

ტენდერში .მონაწილეობის მსურველებმა სატენდერო კომისიას "სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" კანონის შესაბამისად საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადადებები დალუქულ კონვერტში, ორიგინალის სახით უნდა წარმოუდგინონ ქართულ ენაზე (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილ უნდა იქნეს უცხო ენაზე, ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმნის დართვით) 2006წ. 14 თებერვლის 11 საათიდან 17 თებერვლის 12 საათამდე. შემდეგ მისამართზე: თბილისი, კოსტავას 68, სააქტო დარბაზი.

წარმოდგენილი უნდა იქნეს სუბკონტრაქტორის (არსებობის შემთხვევაში) საკვალიფიკაციო მონაცემებიც.

პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამებიან სატენდერო დოკუმენტაციისა და განცხადების მოთხოვნებს

**დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ საკონტაქტო პირს -
ნათია ზამთარაძე ტელ: 33-23-64**